სოფლის მეურნეობის ქართველი მოღვაწეები

გრ. თოდუა

ცოდნისკარი არაგვის ხეობაში

შრომის წითელი დროშის ორდენის
საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი

თბილისი — 1963

63(09)
92 ; 63
37 : 63

„ცოდნისკარი არაგვის ხეობაში“ ეხება პირველ ქართულ სასოფლო-სამეურნეო სკოლას, რომელიც დაარსებულ იქნა ოთხმოცი წლის წინათ სოფელ წინამძღვრიანთკარში (დუშეთის მაზრა), ცნობილი საზოგადო მოღვაწის ილია წინამძღვრიშვილის თაოსნობითა და იმდროინდელი მოწინავე ქართველი ინტელიგენციის მხარდაჭერით.

წიგნში მოკლედაა განხილული XIX საუკუნის საქართველოში სასოფლო-სამეურნეო განათლების მდგომარეობა და ვრცლადაა მოცემული წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სკოლის ისტორია, მისი უცვლელი მზრუნველის ილია წინამძღვრიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა.

სერიული გამოცემის — **სოფლის მეურნეობის ქართველი მოღვაწეები**—სარედაქციო კოლეგია: ლ. კალანდაძე, ა. მენაღარიშვილი, ი. სარიშვილი (თავმჯდომარე), გ. ტალახაძე, ვ. ქანთარია, ი. ჩხენკელი, ი. ჯაში, პ. თავხელიძე და ნ. პაიჭაძე.

წინასიტყვაობა

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები, პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები მიმდინარე წლის შემოდგომაზე დიდი ზეიმით აღნიშნავენ წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლის დაარსების 80 წლისთავს.

წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლის სახელოვანი იუბილე განსაკუთრებით ახარებს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტს, მის მრავალათასიან კოლექტივს, რადგან ჩვენს ინსტიტუტს იგი თავის წინამორბედად მიაჩნია.

წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი ითვლება პირველ ქართულ სასოფლო-სამეურნეო სკოლად. შეიძლება ითქვას, რომ მთელ რუსეთის იმპერიაში იგი პირველი იყო, რომელშიაც მოსწავლეები მშობლიურ ენაზე სწავლობდნენ. ამის გამო იმ დროში ასეთი სკოლის გახსნა დიდი მამაცობისა და გმირობის სამაგალითო ნიმუშად უნდა მივიჩნიოთ.

წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლის დამაარსებლისა და მისი უცვლელი მზრუნველის ილია წინამძღვრიშვილის დამსახურება მეტად დიდია. როდესაც ეცნობით ამ დიდი ბუნების ადამიანის ბიოგრაფიას და საზოგადოებრივი საქმისადმი იმ თავდადებულ ბრძოლებს, რომლებსაც მაშინ ეწეოდნენ პროგრესულად მოაზროვნე ქართველი ინტელიგენტები ილია ჭავჭავაძის მეთაურობით, სიამოვნებისა და სიამაყის მაღალი გრძნობები გიპყრობთ. ყოველივე ეს სამაგალითო უნდა იყოს ჩვენი სახელოვანი ახალგაზრდობისათვის კომუნისტური საზოგადოების აშენების დიად საქმეში.

აღნიშნულ საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კოლექტივმა გადაწყვიტა

ქმედითი დახმარება გაუწიოს წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმს, რომელიც აღმოცენებულია წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სკოლის ბაზაზე. ინსტიტუტის სათანადო კათედრები აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ ტექნიკუმის ლაბორატორიების მოწყობასა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესების საქმეში.

წინამდებარე ნაშრომი—„ცოდნისკარი არაგვის ხეობაში" მიძღვნილია წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლის დაარსების 80 წლისთავისადმი. იგი ამავე დროს წარმოადგენს ჩვენი ინსტიტუტის მიერ წამოწყებული სერიული გამოცემის — „სოფლის მეურნეობის ქართველი მოღვაწეების" ერთ-ერთ წიგნს.

პროფ. ი. სარიშვილი

სასოფლო-სამეურნეო განათლების წინამძღვარი

... ცოდნა, სწავლა-განათლება, მარტო სამკაული კი არ არის კაცისა, პირველი წყების საჭიროებაა, როგორც პური, როგორც წყალი, როგორც საჭმელი და სასმელი, ერთის სიტყვით, როგორც ყოველივე ის, ურომლისოდაც კაცს გაძლება და ხეირი ამ ქვეყანაზედ არ შეუძლიან.

ი. ჭავჭავაძე

გიემაჟი არაგვის მარცხენა მხარეს, სადაც ცად აზიდული გოლითათი მყინვარი ზვიადად დაჰყურებს „გარემო თვისსა ატეხილ ილებს", მდებარეობს სოფელი წინამძღვრიანთკარი.

მომხიბლავია წინამძღვრიანთკარი თავისი ბუნებით. აქედან ლაზად მოჩანს პოეტთა მუზისმომგვრელი მდინარე არაგვი მისი ლობის ცოცხალი პეიზაჟით.

უცქერი ამ დიდებულ სანახაობას და უნებლიედ გახსენდება გენიალური ქართველი პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილის გულში ამწვდომი სიტყვები:

„ჰოი, ნაპირნო, არაგვის პირნო,
მობიბინენო, შვებით მომზირნო,
ქართველსა გულმა როგორ გაუძლოს,
ოდეს შვენება თქვენი იხილოს,
რომ თქვენს ბუჩქებში არა ჩამოხდეს,
რაც უნდა გზასაც ეშურებოდეს..."

წინამძღვრიანთკარისაკენ გზა მცხეთიდან მიდის. გაივლით წიმურს, საგურამოს, თეძმის ხევის რიყნარს, გადაჰკვეთთ სოფელ ლავანს და პირდაპირ წინამძღვრიანთკარში შეხვალთ. თბილისი-

დან წასულ მგზავრს დასჭირდება 35 კილომეტრის გავლა წინამძღვრიანთკარში მისასვლელად.

გარდა გალავნისა, წინამძღვრიანთკარის მოსაზღვრე სოფლებია: ჯიღაური, ბიწმენდი და ზაქარო.

წინამძღვრიანთკარს ძველად არჯაკელა ეწოდებოდა, შემდეგ მისთვის ზეიდლიანთკარი დაურქმევიათ, ბოლოს კი ის სახელი, რომლითაც იგი დღესაა ცნობილი.

ეს სოფელი იმითაა შესანიშნავი, რომ აქ, შეძლებული აზნაურის ოჯახში, დაიბადა ილია ივანეს ძე წინამძღვრიშვილი, 60-იანი წლების გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე, რომელმაც მრავალი დაბრკოლების გადალახვის შემდეგ, იმდროინდელი მოწინავე ქართველი ინტელიგენციის მხარდაჭერით, თავის სოფელში — წინამძღვრიანთკარში დააარსა პირველი ქართული სასოფლო-სამეურნეო სკოლა.

ილია წინამძღვრიშვილის დაბადების თარიღი დიდხანს არ იყო სწორად დადგენილი. ზოგნი (ვ. ქაჯაია, ვ. კიკნაძე და სხვები) მისი დაბადების თარიღად თვლიან 1846 წელს, ზოგნი კი (ს. ჩოლოყაშვილი, რ. გედევანიშვილი, ს. ცაიშვილი და სხვები)—1834 წელს.

სინამდვილეში ორივე ეს თარიღი არასწორი აღმოჩნდა. დ. ნავდარაშვილმა საქართველოს სახელმწიფო ცენტრალურ არქივში მიაკვლია ი. წინამძღვრიშვილის 1868—1900 წლების პირად საქმეს, რომელშიც გარკვევით წერია: „იოსებ (იგივე ილია) ივანეს ძე წინამძღვრიშვილი დაიბადა 1836 წლის 3 მაისს“ (იხ. საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური არქივი, ფონდი 116, საქმე № 73). ამასვე ადასტურებს გაზეთ „დროებაში“ (1909, № 88) გამოქვეყნებული ი. წინამძღვრიშვილის წერილი[1].

მიუხედავად იმისა, რომ საბოლოოდ დადგინდა ი. წინამძღვრიშვილის დაბადების თარიღი, ხშირად ჟურნალ-გაზეთებში და ცალკე წიგნებშიც კი მახინჯდებოდა იგი[2].

---

1 გაზ. „სახალხო განათლება“, 1961, № 41.

2 ამასწინათ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ გამოსცა რ. ჩხეიძის „ქართველი აგრონომები“, რომელშიც ი. წინამძღვრიშვილის დაბადების თარიღის შესახებ განმეორებულია ძველი შეცდომა. გარდა ამისა, გასულ წელს, ჩვენს პრესაში გამოაქვეყნეს ცნობა ი. წინამძღვრიშვილის დაბადების 125 წლისთავის იუბილეს მოწყობის შესახებ, ცხადია, რომ ეს თარიღიც არაა სწორი, თუმცა, სხვადასხვა მიზეზების გამო, აღნიშნული იუბილე არ ჩატარებულა.

თუ საიდან წარმოიშვა წინამძღვრიშვილების გვარი, ამის შე-
ახებ ოფიციალური ცნობები არ არსებობს. ზოგიერთები ფიქრო-
ენ, რომ მისი წარმოშობა დაკავშირებულია სასულიერო წოდე-
ასთან,[1] რადგან სიტყვაში—წინამძღვარი, რომელიც გამოხატავს
ოძღვარსაც, იგულისხმება სასულიერო პირი. ამის შესახებ
ავა შეხედულებებიც არსებობს. მაგრამ ჩვენ ყველაზე საინტე-
უსოდ მივიჩნიეთ ის ცნობები, რომლებიც გადმოგვცეს ი. წინამ-
ღვრიშვილის ახლო ნათესავებმა. ამჟამად წინამძღვრიანთკარში
ცხოვრებმა—პავლე (დაბადებული 1889 წელს) და ვახტანგ (დაბა-
ებული 1892 წელს) წინამძღვრიშვილებმა.

აღნიშნული პირების აზრით, რომელიც დაყრდნობილია წინა-
ართა გადმოცემებზე, წინამძღვრიშვილების პირველი გვარი ყოფი-
ა ზეიდლიშვილი, რომლისგანაც შემდეგ, როგორც ზემოთ გვქონ-
ა აღნიშნული, სოფლის სახელი „ზეიდლიანთკარი" წარმომდგარა.

ზეიდლიშვილის გვარის წარმოშობა დაკავშირებული ყოფილა
ანმე ზეიდალის სახელთან, რომელიც თითქოს ერთ დროს ქარ-
ულ ჯარში წინამძღოლის მოვალეობას ასრულებდა. ერთ-ერთი
რძოლის დროს ზეიდლიშვილს თავი უსახელებია იმით, რომ მას
�ელების რკალი გმირულად გაურღვევია, თან ხუთასი მე-
ბარი გაუყვანია და ამ მცირე ლაშქრით სპარსელებისათვის ზურ-
�ან დაურტყამს, ზეიდლიშვილს მტერი დაუმარცხებია, მისთვის
ურთმევია სამარი დროშა, რომელიც სვეტიცხოველში მიუტანია.

დიდად კმაყოფილ ქართველ მეფეს მამაცი ზეიდლიშვილი შეუქია
მისთვის უთქვამს:—შენ ქართველ ჯარს კარგად უწინამძღვრე.
ამიტომ ამიერიდან შენი გვარი წინამძღვრიშვილი იქნებაო. გარდა
ამისა, მეფეს ზეიდლიშვილი დიდძალი მამულით დაუსაჩუქრებია.

თუ რამდენად სწორია ეს გადმოცემა, ამის თქმა ძნელია, ერთი კი
ალადია, რომ წინამძღვრიშვილების წინაპრები უფრო მეტად მხე-

კლასიკურ გიმნაზიაში მიაბარა, რომლის სრული კურსი წარჩინებით დაამთავრა 1856 წელს.

სწავლას მოწყურებულ ახალგაზრდას უნდოდა პეტერბურგის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე შესულიყო, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო მან ეს სურვილი ვერ განახორციელა.

რაკი სწავლის გაგრძელების საშუალება არ მიეცა, ი. წინამძღვრიშვილი სახელმწიფო სამსახურში შევიდა.

1858 წლიდან 1868 წლამდე იგი მუშაობდა თბილისის გუბერნიის სამმართველოში, სადაც ასრულებდა მწერლის, საქმისმწარმოებლის, სამიჯნო კომისიის თავმჯდომარის თანაშემწისა და სხვა თანამდებობებს. შემდეგ მას ირჩევენ თბილისის მესამე განყოფილების მომრიგებელ მოსამართლედ, სადაც დაჰყო 32 წელიწადი, ხოლო 1900 წლიდან ნიშნავენ ნოტარიუსად. ამ თანამდებობაზე ილია წინამძღვრიშვილი მუშაობდა გარდაცვალებამდე.

წელთა დამსახურების გამო ილია წინამძღვრიშვილს მინიჭებული ჰქონდა — კოლეჟსკი რეგისტრატორის, კოლეჟსკი სეკრეტარისა და სხვა ჩინები. 1912 წელს დაენიშნა პენსია, წლიურად 587 მანეთი და 13 კაპიკი.

ი. წინამძღვრიშვილის მეუღლე, ოლღა მიხეილის ასული არღუთაშვილი, მეტად მომხიბლავი და სათნო ადამიანი ყოფილა. მისი დიდი პატივისცემა ჰქონია ილიას. ბედნიერება დიდხანს არ გაგრძელებულა, ოლღა 6 თვის ფეხმძიმე ყოფილა, როცა სახლის კიბიდან გადმოვარდნილა და მას შემდეგ მძიმე ავადმყოფობა დასჩემებია. საყვარელი მეუღლის ავადმყოფობით შეწუხებულმა ილიამ არ იცოდა რა ექნა. ბოლოს ავადმყოფი საფრანგეთში წაიყვანა სამკურნალოდ, მაგრამ მომაკვდავს ვერაფერი უშველა. იგი გარდაიცვალა პარიზში. მეუღლის ნეშთი ილიას წინამძღვრიანთკარში ჩამოუსვენებია. იგი, როგორც ადგილობრივი მკვიდრნი გადმოგვცემენ, ეკლესიაშია დაკრძალული[1].

ი. წინამძღვრიშვილი თავიდანვე ხალხის სამსახურით იყო დაინტერესებული. მისი სამოღვაწეო გეგმა ფართო ამოცანებს ისახავ-

---

[1] ეს ამბავი მხატვრულად აქვს აღწერილი მწერალ რაჟდენ გვეტაძეს მოთხრობაში „ლაშაური საღამოები".

და, მაგრამ, თუ თვალს გადავავლებთ XIX საუკუნის ისტორიას, ნათლად წარმოგვიდგება ის დიდი სიძნელეები. რომლებიც წინ ეღობებოდა ი. წინამძღვრიშვილის მიერ ახალგაზრდობიდანვე შეგნებულად არჩეულ გზას.

საქართველოს რუსეთთან შეერთებას ქართველი ხალხისათვის დიდი პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა.

რუსეთის პროგრესულმა მეცნიერებამ და ლიტერატურამ, რუსეთის უაღრესად რევოლუციურმა პროლეტარიატმა განუზომლად დიდი და კეთილმყოფელური დახმარება გაუწია საქართველოს და საერთოდ, ამიერკავკასიის ხალხებს.

კულტურულ-ეკონომიურად დაწინაურებულ რუსეთთან შეერთებამ ჩვენს ქვეყანაში გამოიწვია მრეწველობისა და ვაჭრობის, აგრეთვე, სოფლის მეურნეობის აღმავლობა.

XIX საუკუნის კულტურულ-საგანმანათლებლო მოძრაობა აღმავლობით ხასიათდებოდა, ეყრებოდა საფუძველი განათლების ახალ კერებს, აარსებდნენ სკოლებს, სცემდნენ ჟურნალ-გაზეთებსა და წიგნებს, განახლების გზაზე დგებოდა თეატრი.

ი. წინამძღვრიშვილი სწორედ იმ დროს გამოვიდა სამოღვაწეო ასპარეზზე, როდესაც საქართველოს საზოგადოებრივ, ეკონომიურ და კულტურულ ცხოვრებაში ძირითადი გარდატეხა ხდებოდა. ეს იყო XIX საუკუნის მეორე ნახევარში, როდესაც გარდამავალ ფეოდალიზმსა და აღმავალ კაპიტალიზმს შორის ხანგრძლივი ბრძოლა კაპიტალისტური წყობილების გამარჯვებით დამთავრდა, რასაც მოჰყვა საგლეხო რეფორმის განხორციელება და კაპიტალიზმის სწრაფი ტემპით განვითარება.

მეფის მთავრობის კოლონიალურმა პოლიტიკამ მთელი რუსეთის იმპერიაში გამოიწვია ნაციონალურ-გამათავისუფლებელი მოძრაობა, რომელიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული ამავე პერიოდის რუსეთის რევოლუციურ-გამათავისუფლებელ მოძრაობასთან.

საქართველოში ამ მოძრაობის მებაირახტრენი იყვნენ რუსი ხალხის სახელოვანი შვილების, დიდი რევოლუციონერ-დემოკრატების ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვის, გერცენის, ბელინსკისა და სხვათა იდეებზე აღზრდილი ქართველი მწერლები და მოღვაწეები: ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ი. გოგებაშვილი, ნ. ნიკოლაძე, კირ.

ლორთქიფანიძე, ს. მესხი, ბეს. ღოღობერიძე, თვით ი. წინამძღვრიშვილი და სხვები.

ი. წინამძღვრიშვილი მტკიცედ ამოუდგა გვერდში აღნიშნული მოძრაობის სულის ჩამდგმელს — ილია ჭავჭავაძეს და მთელ თავის ენერგიას სიკვდილამდე ხალხის სამსახურს ანდომებდა.

ცარიზმის კოლონიალურმა პოლიტიკამ თავი იჩინა სახალხო განათლების დარგშიაც. მეფეს არ უნდოდა განაპირა ქვეყნებში განათლების შეტანა, ამიტომ იგი ყოველნაირად ცდილობდა ჩვენში კულტურულ-საგანმანათლებლო კერების დახშობას.

საქართველოში ფაქტიურად გაუქმებული იყო ქართულ ენაზე სწავლა. ქართულ ენას ასწავლიდნენ მხოლოდ დაბალ კლასებში, როგორც არასავალდებულო საგანს, დანარჩენი საგნები დაბალ კლასებშიაც კი ისწავლებოდა რუსულ ენაზე. რუსული ენის არმცოდნე ბავშვებს დიდად უძნელდებოდათ საგნების შეთვისება. სწავლა სქოლასტიკურ ხასიათს ატარებდა. მასწავლებლები მოითხოვდნენ გაკვეთილების ზეპირად დასწავლას. მოსწავლეებიც ზეპირობდნენ ისე, რომ საგნის შინაარსზე წარმოდგენაც არ ჰქონდათ.

ერთი სიტყვით, საქართველოსა და მთელი კავკასიის განათლების სისტემაში სრულიად არ იყო გათვალისწინებული ადგილობრივი თავისებურებები, იგი მთლიანად ნიველირებული იყო სრულიად რუსეთის საიმპერიო განათლების სისტემაში.

ასეთ პირობებში ეროვნულ ნიადაგზე დამყარებული სკოლის დაარსებაზე ფიქრიც კი ძნელი იყო.

სოფლის მეურნეობაში კაპიტალიზმის შეჭრით, რაც ინტენსიურად ხორციელდებოდა XIX საუკუნეში, გაიზარდა მოთხოვნილება სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე. ამიტომ ამ პერიოდში, ისე როგორც მთელ მსოფლიოში, ჩვენშიც აგრონომიული მეცნიერების სწავლებას უფრო პრაქტიკული ხასიათი მიეცა. იწერებოდა ან ითარგმნებოდა წიგნები და ბროშურები ცალკეულ კულტურებზე, მათ მოვლასა და გაშენებაზე.

თავად ივანე გრიგოლის ძე გრუზინსკის კერძო ბიბლიოთეკაში მოიპოვება „დარიგება მოყვანისათვის ამერიკულის თამბაქოსი, თარგმნილი პლ. იოსელიანისა ქ. თბილისს 1841 წელს... ენდროს

მოყვანისათვის თარგმნილი რუსულით ქართულსა ენასა ზედა 1841 წელს... მოკლე დარიგება დათესვისა, დაკრეფისა. შენახვისა და მოყვანისათვის კარტოფილისა 1841 წელს ქ. თბილისს... სანოვაგეთ, შაქარლამათა და სასმელთა შესამზადებელი, გადმოთარგმნილი საქართველოს მეფის გიორგის ძისა ბაგრატისა, წელსა 1818...»[1].

მაგრამ საქმეს ხელს უშლიდა სასოფლო-სამეურნეო და ტექნიკური სასწავლებლების უქონლობა. ამიტომ პირველი რიგის საქმედ იქცა სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლებისა და სახელოსნო სკოლების ჩამოყალიბებაზე ზრუნვა.

1833 წელს თბილისში, ხოლო 1852 წელს ქუთაისში მებაღეობის საცდელ ფერმებთან არსდება „საბაღოსნო" სასწავლებლები. მაგრამ 50-იან წლებში, როდესაც აღმავლობას იწყებს სოფლის მეურნეობა, რომელსაც სათავეში ჩაუდგა სოფლის მეურნეობის კავკასიის საზოგადოება, დაისვა საკითხი რათა აღნიშნულ ფერმებს მხოლოდ და მხოლოდ სასწავლო ხასიათი და დანიშნულება მისცემოდა. ეს ღონისძიება განხორციელდა 1855 წელს. რის შედეგად თბილისსა და ქუთაისში შეიქმნა საბაღოსნო სასწავლებლები, რომელთა მიზანი იყო გამოცდილი მებაღეების მომზადება. აღნიშნულ სასწავლებლებში ღებულობდნენ 12—17 წლის ასაკის ჭაბუკებს. სწავლების ხანგრძლივობა იყო 4 წელიწადი. ასწავლიდნენ: მებაღეობას, მეღვინეობასა და მებოსტნეობას. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა პრაქტიკულ სწავლებას, რაც პირველი კურსიდანვე იწყებოდა.

აღნიშნული სასწავლებლების გარდა თბილისის პოტანიკურ ბაღთან არსებობდა სპეციალური სასწავლებელი, რომელიც ამზადებდა მოწაფეებს ქალაქის პარკებში სამუშაოდ.

1846 წელს თბილისში დაარსდა სამიჯნო სკოლა. რომელმაც ფაქტიურად მუშაობა დაიწყო 1847 წლის 17 მარტიდან. მასში ღებულობდნენ 12-დან 16 წლის ასაკამდე ჭაბუკებს. სკოლაში შემსვლელს უნდა ცოდნოდა რუსული წერა-კითხვა და გრამატიკის საწყისები, ხოლო ქრისტიან ბავშვებს დამატებით—კატეხიზმო. სწავლის ხანგრძლივობა იყო 4 წელიწადი. ასწავლიდნენ: საღვთო სჯულს, რუსულ სიტყვიერებას, რუსეთის ისტორიას, ქარ-

---

[1] А. А. Цагарели—Сведения о памятниках Грузинской письменности, вып. III, С.-Пб., 1894, стр. 237.

თულ და თათრულ (აზერბაიჯანულ) ენებს, არითმეტიკას, გეომეტრიას, ალგებრას, სწორხაზოვან და სფერულ ტრიგონომეტრიას, ლოგარითმების თეორიას, ზოგად გეოგრაფიას, გეოდეზიას, სამიჯნო კანონებს, კალიგრაფიას, ხატვასა და ხაზვას, პრაქტიკულ გადაღებებს და სამიჯნო საქმეს, საფრონტო (სამხედრო) საგნებსა და ცეკვებს.

კურსდამთავრებულები ღებულობდნენ მიწისმზომელის ან მისი თანაშემწის წოდებას. სწავლა სახელმწიფო ხარჯზე იყო. მოწაფეები ცხოვრობდნენ პანსიონში. კურსის დამთავრების შემდეგ ვალდებულნი იყვნენ ემსახურათ კავკასიაში 10 წლის განმავლობაში მაინც[1].

სოფლის მეურნეობაში მანქანა-იარაღების სწორი გამოყენებისათვის საჭირო იყო დიდი რაოდენობის კვალიფიციური ხელოსნის მომზადება. საქართველოში ხელოსნებს ძველი დროიდანვე შეგირდობის წესით ამზადებდნენ. სწავლებას მხოლოდ პრაქტიკული ხასიათი ჰქონდა, თეორიულ-ტექნიკური ცოდნა კი თვით ხელოსნებსაც, ე. ი. შეგირდების მასწავლებლებსაც არ გააჩნდათ.

ორმოცდაათიან წლებში, როდესაც ჩვენში დაიწყეს გაუმჯობესებული სასოფლო-სამეურნეო მანქანების შემოტანა, საჭირო გახდა უფრო კვალიფიციური ხელოსნების მომზადება.

ცნობილი საზოგადო მოღვაწე კონსტანტინე მამაცაშვილი 1862 წელს გაზეთ „გუთნის დედაში“, აქვეყნებს წერილს „სახელოსნო სკოლათათვის საქართველოში“. იგი წერდა: „უმჯობესად გაკეთება მიწისა სამუშაო იარაღით შეიძლება, როცა გავრცელდება სახელოსნო სკოლები ჩვენში. სახელოსნო სკოლებში უნდა ასწავლიდნენ დურგლობას, ხუროობას, ხარატობას და მჭედლობას.

არა ერთ გზის დავრწმუნდი, რომ არამც თუ მებატონეები, არამედ გლეხებიც კი მზად არიან შემოიტანონ ხმარებაში ევროპული კუთნები, ფარცხი, სალეწი მაშინა, მაგრამ რამდენმა მებატონემ დაიბარა ახალი გუთანი და სალეწი დიდი ხარჯით, შემდგომად პირველისა გატეხისა, რომ არ ყავდათ ვის გაეკეთებინა, ხელი უნდა

---

1 გ. თ ა ე ზ ი შ ვ ი ლ ი — სახალხო განათლებისა და პედაგოგიკური აზროვნების ისტორია საქართველოში. წიგნი II, 1948, გვ. 141, 166.

აელოთ ახლად შემოღებულისაგან". (გაზ. „გუთნის დედა", 1862. № 6).

კ. მამაცაშვილი მოითხოვდა თითოეულ მაზრაში 3—4 სასოფლო-სამეურნეო სკოლის დაარსებას. სახელოსნო სკოლებში უნდა ესწავლათ: დურგლობა, ხარატობა, მეკასრეობა, მჭედლობა, ზეინკლობა და მეუნაგრობა.

მთავრობამ მხოლოდ ფორმალურად მოიწონა სახელოსნო სკოლების დაარსების საკითხი, მაგრამ მისი მოგვარება საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა იკისრეს, კერძოდ, რუსეთის ტექნიკური საზოგადოების კავკასიის განყოფილებამ, რომლის თავმჯდომარე იყო მიხეილ გარსევანიშვილი, ხოლო აქტიური წევრი—კ. მამაცაშვილი (გაზ. „საბჭოთა აგრონომი", 1962, № 25).

ამ საზოგადოების „ხელოსნობის გამავრცელებელმა კომისიამ" კ. მამაცაშვილის ხელმძღვანელობით 1869 წელს ნიკოლოზის სახელობის თბილისის სკოლასთან (ავლაბარში) ჩამოაყალიბა სახელოსნო განყოფილება, სადაც ასწავლიდნენ: დურგლობას, ხარატობას, მჭედლობას, ზეინკლობას, აგრეთვე სახელოსნო ხაზვას და მასალათმცოდნეობას. სავალდებულო იყო მხოლოდ ერთი ხელობის შესწავლა ერთი წლის მანძილზე.

სახელოსნოს განყოფილებამ დიდი ინტერესი გამოიწვია მოსწავლეებში, მაგრამ ეს განყოფილება არ იყო დამოუკიდებელი, ექვემდებარებოდა სკოლას და არ ჰქონდა სათანადო ხელის შეწყობა. ამიტომ, იმავე საზოგადოების ხელმძღვანელობით იგი გამოეყო აღნიშნულ სკოლას და 1871 წელს ჩამოყალიბდა დამოუკიდებელი სახელოსნო (კუკიაში), რომელმაც სულ მოკლე ხანში საჩვენებელ სასწავლო სახელოსნოს სახელი მიიღო.

სკოლა ამზადებდა კვალიფიციურ დურგლებს, ზეინკლებსა და მჭედლებს. სწავლების ხანგრძლივობა იყო პირველ ხანებში 2 წელიწადი, შემდეგ—3, ხოლო 80-იანი წლის დასაწყისიდან—4 წელიწადი. სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ხაზით იგი ექვემდებარებოდა კავკასიის ოლქის მზრუნველს, ხოლო ადმინისტრაციულად—რუსეთის ტექნიკური საზოგადოების „ხელოსნობის გამავრცელებელ კომისიას".

იმავე კ. მამაცაშვილის წინადადებით 1870 წელს პატარძეულის, მარტყოფისა და დუშეთის დაწყებით სკოლებთან გაიხსნა სახელოსნო განყოფილებები, ხოლო მათზე ერთი წლით ადრე გორში, ხალხის ინიციატივითა და სახსრებით—სამაზრო სასწავლებლებთან ჩამოყალიბდა სახელოსნო კლასი.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია სახელოსნო სკოლა სოფ. მეჯვრისხევში, რომელიც გაიხსნა 1876 წლის 3 ოქტომბერს გორის მაზრის 16 სოფლის მცხოვრებთა თაოსნობითა და ხარჯით. მასში ღებულობდნენ 12—14 წლის ასაკის ვაჟებს. სწავლის ხანგრძლივობა იყო 4 წელი. მოსწავლეები გადიოდნენ შემდეგ დისციპლინებს: საღვთო სჯულს, რუსულ და ქართულ წერა-კითხვას, არითმეტიკასა და ხატვას. ასწავლიდნენ დურგლობას, მჭედლობას, ხარაზობას. ზოგადსაგანმანათლებლო საგნებს კვირაში 18 საათი ეთმობოდა. ხელობის შესწავლისათვის კი დღეში საათნახევარი იყო განკუთვნილი.

„მეჯვრისხევის სკოლა, — წერდა გაზეთი „დროება“ 1876 წელს,—პირველი სახელოსნო სკოლაა ჩვენში, რომელიც ქართლში ხალხმა გახსნა თავისი ხარჯით. ამიტომ უფრო სასურველია საქმე თავიდანვე რიგიანად წავიდეს, რომ ამის მაგალითს სხვა სკოლებნაც მიბაძონ“.

გარდა ზემოაღნიშნულისა, არსებობს ცნობა იმის შესახებ, რომ XIX საუკუნის 30-იან წლებში არსებობდა მეღვინეობის სკოლა კახეთში. ეს ის სკოლა იყო, რომელიც 1866 წელს სოფელ კონდოლში (თელავის რაიონი) ინახულა ცნობილმა მოგზაურმა პროფესორმა ალ. პეტცოლდმა. სკოლა არსებობდა სახელმწიფო ხარჯზე და ამზადებდა მეღვინე სპეციალისტებს.

რეფორმისშემდგომ პერიოდში სოფლის მეურნეობის სპეციალისტების მომზადების საკითხი კიდევ უფრო აქტუალური გახდა. ამ საქმისადმი განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდა სოფლის მეურნეობის კავკასიის საზოგადოება, რომელიც ჯერ კიდევ 1850 წელს დააარსა მეფის ნაცვალმა კავკასიაში თავადმა მიხეილ ვორონცოვმა.

აღნიშნულმა საზოგადოებამ 1868 წელს დასვა საკითხი ახალი ტიპის სასოფლო-სამეურნეო სკოლის დაარსების შესახებ. ეს წინადადება განხორციელდა მხოლოდ 3 წლის შემდეგ, 1871 წლის 20

თებერვალს, თბილისიდან 20 კილომეტრის დაშორებით. ლოჭინის ხეობაში, გაიხსნა სასოფლო-სამეურნეო სკოლა, რომელიც ცნობილია ლოჭინის სამიწათმოქმედო სკოლის სახელწოდებით.

მის გახსნამდე სოფლის მეურნეობის კავკასიის საზოგადოებას აღნიშნულ ადგილსა და მოსაზღვრედ მდებარე ნაკვეთებზე, ვინმე ფივეგის ხელმძღვანელობით ჰქონდა საცდელი ხუტორი სოფლის მეურნეობის პრაქტიკოს მუშაკთა მოსამზადებლად, აგრეთვე სხვადასხვა კულტურებსა და გაუმჯობესებულ მანქანა-იარაღებზე ცდების ჩასატარებლად. ხუტორში იყო სათბური და სანერგე, სადაც ხელსაყრელ პირობებში ჰყიდდნენ კულტურული მცენარეების ნერგებს.

სოფლის მეურნეობის მზარდი მოთხოვნილების შესაბამისად სოფლის მეურნეობის კავკასიის საზოგადოებამ საჭიროდ სცნო აღნიშნული საცდელი ხუტორის ბაზაზე, სადაც უკვე არსებობდა ზოგიერთი აუცილებელი სამეურნეო შენობა სასწავლო პრაქტიკული მეცადინეობის ჩასატარებლად, შეექმნა ისეთი სასწავლო-სამეურნეო სკოლა, რომელიც პრაქტიკულ სწავლებასთან ერთად თეორიული ცოდნის მიღებასაც უზრუნველყოფდა.

ლოჭინის სამიწათმოქმედო სკოლის მიზანი იყო კვალიფიციური სასოფლო-სამეურნეო კადრების მომზადება მებაღეობაში, მეღვინეობაში, მეფუტკრეობასა და მეცხოველეობაში. სკოლის პროგრამა ითვალისწინებდა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა გაცნობასა და სოფლის მეურნეობის ძირითადი საფუძვლების შესწავლას. მას ჰქონდა იმ დროისათვის კარგად მოწყობილი ქიმიური ლაბორატორია, საბუნებისმეტყველო კოლექციები, სამიწათმოქმედო იარაღები, ბიბლიოთეკა და სასწავლო-საცდელი მეურნეობა, ჰყავდა მუშა პირუტყვი და სხვა.

სკოლაში ღებულობდნენ ყველა წოდების ვაჟებს არაუმცირესს 16 წლის ასაკისა, რომელთაც უნდა ცოდნოდათ რუსული წერა-კითხვა. სწავლების ხანგრძლივობა იყო 4 წელიწადი. მეცადინეობა წარმოებდა რუსულ ენაზე. სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული იყო შემდეგი საგნები: რუსული ენა, გეოგრაფია და რუსეთის ისტორია, არითმეტიკა, კლიმატოლოგია, მიწათმოქმედება, მებოსტნეობა. მემცენარეობა, მეღვინეობა, მეფუტკრეობა და მე-

აბრეშუმეობა. მეცხოველეობა. მეურნეობის ორგანიზაცია, სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის დამუშავება და საღვთო სჯული.

გახსნისას სკოლას გადაეცა 368 დესეტინა მიწის ფართობი, რომელზეც გაშენებული იყო ვენახი, ხეხილის ბაღი, ენდრო, კაკლის ნარგაობა, ფოთლოვანი ტყე და სხვ. 1873 წელს მას მესაქონლეობისათვის დამატებით გამოეყო 116 დესეტინა სათიბი სართიჭალის მახლობლად.

მეცადინეობა ტარდებოდა საუბრის წესით. სპეციალური საგნები ისწავლებოდა ერთდროულად პრაქტიკულ მუშაობასთან ერთად, საცდელ მეურნეობაში. სკოლის ამოცანა იმაში მდგომარეობდა, რომ მოწაფეებისათვის პრაქტიკულად ეჩვენებინა, თუ როგორ შეიძლებოდა შრომის გაიაფება და მიწის მოსავლიანობის გადიდება. ამიტომ სკოლა უმთავრესად პრაქტიკული მიმართულებისა იყო.

„... სკოლის გამგეები,—ეკითხულობთ 1871 წლის ანგარიშში,—უნდა მიისწრაფოდნენ იქითკენ, რომ მოწაფეებმა მეტი დრო მოანდომონ მინდვრის, ბაღისა და სხვა სამუშაოებს, გაეცნონ პრაქტიკულად. თუ როგორ შეიძლება პატარა ფართობიდან რაც შეიძლება მეტი მოსავლის მიღება. შრომის გაიაფებითა და მოსავლიანობის გადიდებით აანაზღაურონ გაწეული ხარჯები. მეორე მხრივ, დაარწმუნონ მოწაფეები იმაში, რომ ცოდნა არის არა მარტო განყენებული სიმდიდრე, არამედ იგი კაპიტალია, რომელიც იძლევა შემოსავალს"[1].

მაგრამ, სამწუხაროდ, ამ ამოცანის განხორციელება აღნიშნულმა სკოლამ ვერ შეძლო, საცდელმა მეურნეობამ ვერ გაამართლა იმედები მოუწყობლობის გამო, რის შედეგადაც ცალკეული კულტურის მოსავალი ყოველწლიურად მცირდებოდა.

ცხადია, ასეთი მეურნეობიდან მოწაფეები ვერ მიიღებდნენ პრაქტიკას. ასეთსავე მდგომარეობაში იყო თეორიული სწავლებაც. რასაც ხელს უშლიდა, ერთი მხრივ, კვალიფიციური მასწავლებლების ნაკლებობა, ხოლო, მეორე მხრივ—რუსული ენის, სავალდებულო ცოდნა, რაც ყველა ბავშვისათვის მისაწვდომი არ იყო და ამიტომ უძნელდებოდათ საგნის შინაარსის გაგება. ყოველივე ამის

---

[1] Записки КОСХ, 1877, № 5, стр. 16—18.

გამო სკოლამ მხოლოდ რამდენიმე წელს იარსება და იგი 1878 წელს დაიხურა.

ცხოვრება მოითხოვდა ახალი სტრუქტურის მქონე მაღალი ტიპის დაწყებით სასოფლო-სამეურნეო სკოლას, რომელიც ადგილობრივი თავისებურებებით გათვალისწინებულ მტკიცე ეროვნულ საფუძველზე იქნებოდა დამყარებული, ექნებოდა საჭირო სასწავლო-ტექნიკური ბაზა, ეყოლებოდა მაღალკვალიფიციური პედაგოგები.

ასეთი სკოლის დაარსება იმ დროისათვის არამც თუ ძნელი, არამედ მიუღწეველიც იყო, მაგრამ იგი შესანიშნავად განახორციელა ჩვენმა სასიქადულო მამულიშვილმა ილია ივანეს ძე წინამძღვრიშვილმა.

ილია წინამძღვრიშვილს დიდი შრომა დასჭირდა თავისი მიზნის გასახორციელებლად. იმ დროს სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა სოფლის მეურნეობის კავკასიის საზოგადოება, რომლის წევრად ი. წინამძღვრიშვილი არჩეულ იქნა 1871 წელს. ილია ყოველნაირად ცდილობდა ეს საზოგადოება გამოეყენებინა ხალხში სოფლის მეურნეობის ცოდნის გავრცელებისა და მოსახლეობის ეკონომიურად ამაღლებისათვის. მან 1891 წელს ისარგებლა თავისი მდგომარეობით და სოფლის მეურნეობის კავკასიის საზოგადოების შენობაში მოიწვია იმ დროს თბილისში მიმდინარე მასწავლებელთა ყრილობის მონაწილენი, რომელთაც გააცნო საზოგადოების ამოცანები და მისი სამოქმედო გეგმა, მოუწოდა მათ ხელი შეეწყოთ აღნიშნული საზოგადოებისათვის ხიზნების მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეში. ილიას წინადადებამ მხურვალე გამოხმაურება ჰპოვა მასწავლებლებში. თათბირზე შემუშავებულ იქნა ღონისძიება, რომლის საფუძველზე ი. წინამძღვრიშვილმა შეადგინა ვრცელი მოხსენება: „როგორ გავაუმჯობესოთ სოფლის მეურნეობა ჩვენს მხარეში“, რომელიც წარუდგინა სოფლის მეურნეობის კავკასიის საზოგადოებას 1892 წელს. აღნიშნული მოხსენება ითვალისწინებდა შემდეგს:

1. სოფლის ყველა მასწავლებლის „საზოგადოების“ წევრ-კორესპონდენტად მიღებას;

2. სასოფლო-სამეურნეო ჟურნალების გამოცემას ადგილობრივ ენებზე;

3. სოფლებში წვრილი სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებების ჩამოყალიბებას, რომლებშიც შეეიდოდნენ ცოტად თუ ბევრად ინტელიგენტი პირები: მასწავლებლები, სატყეოს უფროსები და სხვები;

4. სკოლებში სასოფლო-სამეურნეო ბიბლიოთეკების შემოღებას;

5. ამიერკავკასიის დაყოფას სახალხო-სამეურნეო რაიონებად და თითოეულ მათგანში აგრონომ-ინსპექტორების დანიშვნას, რომელთაც შეეძლებოდათ ხელმძღვანელობის გაწევა მოსახლეობისათვის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში.

„საზოგადოებამ" ი. წინამძღვრიშვილის მიერ წამოყენებული წინადადებები მართებულად და სასურველად სცნო, მაგრამ მისი განხორციელება სოფლის მასწავლებლებისა და მოსახლეობის მოუმზადებლობის გამო ნაადრევად მიიჩნია[1].

უფრო ადრე, 1884 წელს ი. წინამძღვრიშვილმა წინადადება წამოაყენა სოფლის მეურნეობის კავკასიის საზოგადოების წესდებაში ცვლილებების შეტანის შესახებ. იგი მოითხოვდა ხალხის ეკონომიური პირობების გაუმჯობესებას და ამ მიზნით სპეციალური ფონდის შექმნას.

1888 წელს ი. წინამძღვრიშვილმა სოფლის მეურნეობის კავკასიის საზოგადოების დავალებით შეისწავლა ქუთაისის „ფერმა (მამული), რომელიც მისი წინადადებით გადაკეთდა საქართველოში მეორე სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლად.

ი. წინამძღვრიშვილი იყო, აგრეთვე, თბილისის ქალაქის სათათბიროს საბჭოს წევრი, მონაწილეობდა თბილისის სათავადაზნაურო სკოლის კომიტეტის მუშაობაში. აქტიურად მუშაობდა წერა-კითხვის გამავრცელებელ და საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებებში.

ილია წინამძღვრიშვილს 1901 წელს ირჩევენ სოფლის მეურნეობის კავკასიის საზოგადოების საპატიო წევრად, ხოლო 1911 წელს სოფლის მეურნეობის საქართველოს საზოგადოებამ პირველ დამფუძნებელ კრებაზე იგი აირჩია პირველ საპატიო წევრად. მიუხედავად დიდი ხანდაზმულობისა, ილია ამ საზოგადოების მუშაობაშიაც აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა.

---

[1] Обзор деятельности Импер. Кавказск. Общества с. х. за 50 лет (1850—1900). Составил Игн. Иоселиани, 1901, стр. 26—28.

გაიღო ცოდნისკარი არაგვის ხეობაში

ილია წინამძღვრიშვილის მრავალმხრივი საზოგადოებრივი საქმიანობიდან განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მის მიერ პირველი ქართული სასოფლო-სამეურნეო სკოლის დაარსება საკუთარი ხარჯით თავის მამულში, რომელიც იმყოფებოდა სოფელ წინამძღვრიანთკარში.

იმ დროს რუსეთის იმპერიაში მშრომელი ხალხი შვილების სწავლა-აღზრდის საშუალებებს მოკლებული იყო. კერძოდ, დუშეთის მაზრაში, სადაც მაშინ მოსახლეობის რაოდენობა 56764 სულს შეადგენდა, მხოლოდ ერთადერთი სკოლა არსებობდა; ხოლო საგურამოს ახლომდებარე სოფლებს კი არც ერთი სკოლა არ გააჩნდათ. ი. წინამძღვრიშვილი ამ მოვლენით ხსნიდა ხალხის ეკონომიური მდგომარეობის დაქვეითებას.

„გლეხებსა და აზნაურებს,—წერდა იგი 1883 წელს გაზ. „დროებაში“ (№ 167),—თუმცა ხელთ აქვთ უძრავი სიმდიდრე ბუნებისა, არ შეუძლიანთ მითი სარგებლობა. იმათ, გარდა წარღვნის დროინდელი საშუალებებისა, არ იციან არავითარი სხვაგვარი მამულისა და ბაღ-ვენახის შემუშავება. არ არის საჩვენებელი ფერმა, სადაც მათ და მათ შვილებს შეეძლოთ ენახათ შეკეთება მიწის და სამეურნეო იარაღებისა, რომელნიც გაუადვილებდნენ მამულის მეპატრონეთ მუშაობას“.

ამ მდგომარეობამ ი. წინამძღვრიშვილი მიიყვანა იმ ღრმა რწმენამდე, რომ „... მამულის გაკეთება და ნივთიერის ცხოვრების წინ წასვლა შეიძლება მხოლოდ წერა-კითხვის, სოფლის სამეურნეო და სახელოსნო ცოდნის გავრცელებით მცხოვრებთა შორის“.

ილია ამბობდა, რომ გლეხები წელში წყდებიან, მაგრამ მათ მძიმე შრომას არ მოაქვს ჯეროვანი ნაყოფი, რადგანაც არ აქვთ ყოველდღიურად საჭირო მეურნეობის ცოდნა. გლეხი მუშაობს გათენებიდან დაღამებამდე და ძლივს შოულობს ლუკმაპურს.

ამავე დროს თითოეული ქოხის წინ დგას მთელი გორა სასუქებისა, მაგრამ რა ჰქნას გლეხმა, როგორ გამოიყენოს იგი, როდესაც არ იცის მისი ხმარების წესები.

„ამ უცოდინარობის გამო,—განაგრძობს იგი,—ჩვენებური სახნავები ან ძალიან ცოტათი, ან სრულიად არ არის შემუშავებული. ბაღები პირველდროისვე მდგომარეობაშია. ღვინის ბადლად ისრიმი იწურება, კარგის ხილის მაგიერ ტყის ხილი იკრიფება და სხვა. მიწას ხვნენ რვა უღელ ხარ-კამეჩით. წარღვნის დროინდელი გუთანი და მისივე დროის ურმები უბებრებს მეგუთნეს ხელის გულს და მუშაობის უმეტეს დროს ართმევს“.

ი. წინამძღვრიშვილს კარგად ჰქონდა შეგნებული სწავლებაში თეორიისა და პრაქტიკის მნიშვნელობა. ამ საკითხზე მისი შეხედულებანი დღევანდელობამდეა ასული. ილიას მიაჩნდა, რომ სკოლა და პრაქტიკა მჭიდროდ უნდა იყოს ერთმანეთთან დაკავშირებული. მარტო წერა-კითხვის ცოდნა სოფლის მეურნეობისა და ხელობის უცოდინრად, ვერ აამაღლებს ხალხის ნივთიერ და ზნეობრივ მდგომარეობას. მეორე მხრივ, თეორიული მომზადების გარეშე მიწის დამუშავების მხოლოდ პრაქტიკულ ცოდნას არ შეუძლია სათანადო ნაყოფის მოტანა. სასწავლებელსა და მეურნეობას განუწყვეტელი კავშირი უნდა ჰქონდეთ ერთმანეთთან. თითოეულ მოწაფეს უნდა მიეცეს მეურნეობაში მიწის გარკვეული ნაკვეთი, რომელსაც იგი სოფლის მეურნეობის მცოდნე მასწავლებლის ხელმძღვანელობითა და ზედამხედველობით დაამუშავებს. საზოგადოებრივად სასარგებლო მუშაობის ეს წესი განამტკიცებს იმ თეორიულ სამეურნეო ცოდნას, რომელიც მოწაფემ მიიღო გაკვეთილებზე თუ ლაბორატორიებში, აგრეთვე წიგნებიდან და სხვა.

ი. წინამძღვრიშვილის ნაბიჯი მეტად გაბედული იყო. მან გადაწყვიტა მთელი თავისი უძრავ-მოძრავი ქონება სკოლისათვის გადაეცა სამუდამო სარგებლობაში, უფრო მეტიც, თავისი შემდგომი შრომის შემოსავალსაც კი მთლიანად აღნიშნულ სკოლას ახმარდა.

იმ დროისათვის, როდესაც კერძო საკუთრების იდეალი კულმინაციურ წერტილამდე იყო აყვანილი, ი. წინამძღვრიშვილის გადაწყვეტილება უაღრესად დიდ მოვლენას წარმოადგენდა.

საზოგადო საქმისადმი ასეთი მიდგომა, თავგანწირვისა და მამაცობის განსაცვიფრებელი მაგალითია. სანამ აღნიშნულ გადაწყ-

ვეტილებას მიიღებდა, ი. წინამძღვრიშვილს დიდი ბრძოლა დასჭირდებოდა ჯერ თავისთავთან, შინაგანი წინააღმდეგობის დასაძლევად, ამის გარეშე შეუძლებელი იყო მაშინ უარი ეთქვა მამაპაპეულ საკუთრებაზე, შემდეგ კი თავისი დროის საზოგადოებასთან, რომელიც იმ დროს სრულიად არ იყო მომზადებული კერძო საკუთრების უარყოფისათვის. მაგრამ ი. წინამძღვრიშვილის დიდსულოვნებამ, მისმა ფოლადივით მტკიცე ხასიათმა, თავისი გაიტანა და ხალხში სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. ამიტომაა, რომ იგი სამუდამო ქების ღირსი გახდა ჩვენს ქვეყანაში.

თავისი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად ი. წინამძღვრიშვილმა გარშემო შემოიკრიბა გამოჩენილი ქართველი მოღვაწეები. პირველყოველისა საჭირო იყო სკოლის პროგრამისა და წესდების შედგენა. წესდების შედგენა ითავა იაკობ გოგებაშვილმა, პროგრამისა კი—ნიკო ცხვედაძემ.

1880 წლის 28 ნოემბერს გაზ. „დროებაში“ გამოქვეყნდა „პროექტი წინამძღვრიშვილის სასოფლო-სამეურნეო სკოლისა“ სოფელ წინამძღვრიანთკარში „მამულის მეპატრონის ილია ივანეს ძე წინამძღვრიშვილის ხარჯით სასოფლო-სამეურნეო სკოლის“ დაფუძნების შესახებ.

აღნიშნული „პროექტის“ შესახებ მრავალი აზრი გამოითქვა. სხვათა შორის ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე და პედაგოგი ი. როსტომაშვილი წერდა:

„მთელი ჩვენი ქვეყანა სხვადასხვა უწყებული და არაუწყებული მიზეზებისაგან იმისთანა არასანუგეშო მდგომარეობაშია ჩავარდნილი, რომ იმგვარი მოვლენა, როგორიც ეს განზრახული საქმეა, მართლა, რომ ჩვენი ერის სანუგეშებლად უნდა ჩაითვალოს“ (გაზ. „დროება“, 1881, № 3).

მაგრამ ი. როსტომაშვილი არ ეთანხმებოდა ასეთ სკოლაში მოსამზადებელი კლასების გახსნას. მას წინადადება შეჰქონდა, რომ ამ სკოლაში გაეხსნათ მხოლოდ სპეციალური კლასები და მიღებული ყოფილიყვნენ ახალგაზრდები, რომლებმაც წარმატებით დაამთავრეს სოფლის სკოლები. თუ მოსამზადებელი კლასები არ იქნება, კურსის დამთავრებისათვის უფრო ნაკლები დრო დაიხარჯებაო და სხვა.

აღნიშნული წერილის პასუხში ი. წინამძღვრიშვილმა უარყო როსტომაშვილის წინადადება. იგი აღნიშნავდა, რომ სასოფლო-სამეურნეო სკოლაში მოსწავლეები ისწავლიან დედაენას, გონება გაეხსნებათ სოფლის მეურნეობისა და სხვა საგნების სწავლით და მიიღებენ იმდენ ცოდნას, რამდენიც გლეხსა და მემამულეს ესაჭიროება თავის კარმიდამოში (გაზ. „დროება", 1881, № 27).

ძირითად დავას იწვევდა აგრეთვე ის გარემოება, რომ „პროექტის" მიხედვით მოსწავლეებს თავიანთ სახლიდან უნდა ევლოთ ყოველდღე სკოლაში.

„... სიტყვები „თავიანთ სახლიდან ევლოთ",—წერდა ჟურნალ „ივერიის" მიმომხილველი,—პირდაპირ აჩვენებს, რომ თვითონ სკოლაში არ ექნებათ ბინა და გარედამ უნდა იარონ, გარედამ მოსიარულობა კი მხოლოდ იმ სოფლელებს შეუძლიათ, სადაც სკოლაა, სხვა სოფლიდამ ძვირად თუ ვინმე მიაბარებს სკოლაში შვილს გარედამ მოსიარულედ.

ის ემჯობინებოდა ბევრად,—განაგრძობდა მიმომხილველი,—რომ უცხო სოფლელ შეგირდებს თვითონ სკოლაშივე ჰქონოდათ ბინა" (ჟურნ. „ივერია", 1881, № 2, გვ. 56—58).

პროგრამისა და პროექტის დაზუსტებისას აღნიშნული შენიშვნები ნაწილობრივ მიღებულ იქნა. როგორც ქვემოთ დავინახავთ, აქ სწავლობდნენ საქართველოს თითქმის ყველა კუთხის შვილები. გარდა ამისა, სოფლის სკოლების კურსდამთავრებულებს შეეძლოთ სპეციალურ კლასში მოხვედრა სათანადო გამოცდების ჩაბარებით. ამასთან, შემდეგ წლებში თანდათან შემცირდა მოსამზადებელი განყოფილებები და მის ხარჯზე გაიზარდა სპეციალური კლასები.

1881 წელს ი. წინამძღვრიშვილმა თბილისში, თავის სახლში, მოიწვია ქართველი საზოგადო მოღვაწეებისა და პედაგოგების კრება, რომელსაც ესწრებოდა 15-მდე კაცი. კრებაზე განხილულ იქნა სკოლის სასწავლო გეგმა, პროგრამა და წესდება. კრების მონაწილენი ძირითადად ადვილად შეთანხმდნენ ყველა საკითხში, დავას იწვევდა მხოლოდ წესდების ორი მუხლი, რომლებიც ითვალისწინებდა: ყველა საგნის სწავლებას ქართულ ენაზე, დაწყებული პირველიდან ბოლო კლასამდე, და რუსული ენის სწავლებას მესამე კლასიდან.

კრების მონაწილენი შიშს გამოთქვამდნენ იმის გამო, რომ კავკასიის სამოსწავლო ოლქის მაშინდელი მზრუნველი კ. იანოვსკი, რომლის აზრსა და მიმართულებას ეწინააღმდეგებოდა აღნიშნულ მუხლებში გათვალისწინებული ღონისძიებანი. არასგზით არ დათანხმდებოდა მის დამტკიცებაზე და სკოლა გაუხსნელი დარჩებოდა.

შიში სავსებით გამართლდა. იანოვსკიმ მართლაც უარი თქვა სკოლის წესდების, პროგრამისა და სასწავლო გეგმის დამტკიცებაზე. ამ მდგომარეობამ დიდ საგონებელში ჩააგდო ი. წინამძღვრიშვილი. იგი მოთმინებიდან გამოჰყავდა იანოვსკის მოქმედებას.

„ამ იანოვსკიმ,—სწერდა ის მოსკოვში მყოფ პროფესორ ი. ოქრომჭედლიშვილს,[1]—ჩვენმა პოპეჩიტელმა თავის ტვინი წაიღო. გზას გვიხლართავს. ქართული ენა ამათ ყელში გაეხიდათ, სურთ ჩვენი მასწავლებლები თვითონ დანიშნონ ხოლმე და პირველი წლიდან დავიწყოთ რუსული ენის სწავლება.

მე იანოვსკის არ დაუვარდები და რაც შეიძლება ჩემს საფუძველზედ ვიდგები, მანამ ჩემს აზრს არ შევასრულებ. ამათ როგორც ვატყობ არავის ბედნიერება არ სურთ. ამათთვის პედაგოგიკის კანონი ჩალაა. ღმერთმა დაიფაროს კაცი ამათ ხელში, დიდი მომთმენი უნდა იყოს, რომ არ მოსდოს. ყოველ შემთხვევაში უმეცრებას გვიქადაგებენ, უნდათ ჩვენი დაბრიყვება, მაგრამ ბრიყვები თვითონ დარჩებიან.

---

1 პროფესორი ილია ლაზარეს ძე ოქრომჭედლიშვილი (1838—1898) „ოერგდალეულად“ იყო ცნობილი. იგი იმ დროს მოსკოვის უნივერსიტეტის აღმოსავლეთის ენების კათედრას განაგებდა, შემდეგ აღნიშნული კათედრა დაუტოვა პროფესორ ალ. ხახანაშვილს და 1889 წელს დაბრუნდა თბილისში, სადაც ხელი მიჰყო სამრეწველო საქმიანობას. თავისი შემოსავლის დიდ ნაწილს ახმარდა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს: თეატრს, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, ძველი ლიტერატურული ძეგლების გამოცემას, 6000 მანეთი შესწირა წინამძღვრიანთკარის სკოლას და სხვა. ი. წინამძღვრიშვილს მასთან თავიდანვე მჭიდრო კავშირი ჰქონდა დამყარებული, სკოლის გახსნასთან დაკავშირებით მისგან ღებულობდა რჩევა-დარიგებას. აგრეთვე, ცნობებს იმდროინდელი რუსეთის სასოფლო-სამეურნეო სკოლების პროგრამებისა და სწავლების ხასიათის შესახებ.

ღმერთმა ჰქნას კეთილად მოვაწყოთ ის საქმე, რომელიც ტვირთად ვიდე. დიდად განზე გაწევა არ შეიძლება, თორემ კაცი კისერს მოიტეხს და შუა გზაზე დარჩება.

სულ იმაზედ არის ახლა დამოკიდებული, როგორ დაბოლოვდება ჩვენი უსტავის საქმე. აქ ბევრი გამოჩნდნენ, რომლებიც კისრულობენ იანოვსკის მოელაპარაკონ და კეთილ გზაზე დააყენონ.

ილია [წინამძღვრიშვილი].

4 დეკემბერი, 1882 წ."

წერილს ბოლოში მიწერილი აქვს: „გუშინწინ ვიყავი სტაროსელსკისთან და ბევრი ვილაპარაკეთ სკოლის საქმეზე, როგორც ჩანს, ამ ოხრებს არ უნდათ, რომ ხალხმა შეისწავლოს რამე"[1].

შეწუხებული ილია ბოლოს ი. გოგებაშვილმა დააწყნარა.

„მაცალე ერთი კვირა, — უთხრა ილიას იაკობმა, — დავწერ ვრცელ განმარტებით წერილს ჩვენის სასწავლო პლანისას და თქვენ წარუდგინეთ სტაროსელსკის. იგი ნამდვილი სახელმწიფო ჭკუის პატრონია. კეთილმოყვარე გული აქვს, უყვარს საქართველო, რომლის ასულმა მას მიანიჭა ოჯახური ბედნიერება,[2] გულდადებით გადაიკითხავს წერილს, დარწმუნდება, რომ ჩვენი გეგმა სასარგებლოა საქართველოსათვისაც და სახელმწიფოსათვისაც. მერმე ამაშივე იმედი მაქვს დააჯერებს თვითონ იანოვსკისა და თქვენს მიერ წარდგენილი ყველა წესდებულებანი უცვლელად იქნება დამტკიცებული"[3].

ი. გოგებაშვილი თავის განმარტებით წერილში ემყარებოდა პედაგოგიკური მოძღვრების მეცნიერულად სწორ დებულებებს, რომელთა მიხედვითაც საგნების ადვილად და სწრაფად შეთვისებისათვის საჭიროა ბავშვები გარკვეულ ასაკამდე სწავლობდნენ და ვარჯიშობდნენ მათთვის გასაგებ მშობლიურ დედაენაზე; გარდა ამისა, იშველიებდა იმ გარემოებას, რომ წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სკოლა იყო კერძო სასწავლებელი და არა მთავრობის დაწესებულება.

---

1 საქართველოს ლიტერატურული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, № 2008.

2 დიმიტრი სიმონის ძე სტაროსელსკი (1832—1884) კავკასიის სამოქალაქო ნაწილის მმართველი, იყო ილია ჭავჭავაძის ქვისლი. მისი მეუღლე იყო ეკატერინე თადეოზის ასული გურამიშვილი.

3 ნ ი ნ ო ბ ო ც ვ ა ძ ე—ნორჩ მეგობრებთან ერთად, 1960, გვ. 22—23.

ი. გოგებაშვილის განმარტებითმა ბარათმა გასჭრა. 1883 წლის 19 მარტს კავკასიის სამოქალაქო ნაწილის მმართველმა გენერალ-ლეიტენანტმა დ. ს. სტაროსელსკიმ ხელი მოაწერა წინამძღვრიანთ-კარის სასოფლო-სამეურნეო სკოლის წესდებისა და სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ იმ დღეებში მეფის ნაცვალი კავკასიაში—დონდუკოვ-კორსაკოვი თბილისში არ იმყოფებოდა და მისი უფლების გამოყენება შეეძლო დ. სტა-როსელსკის. ამ საქმეში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის ი. ჭავჭავაძეს. თუ ის არა, სტაროსელსკი სკოლის წესდებას არ დაამტკიცებდა.

გახარებული ილია წინამძღვრიშვილი თავის ვრცელ წერილში, რომელიც „საზოგადოებისადმი" იყო მიძღვნილი, ასაბუთებდა რა სკოლის დაარსების აუცილებლობას, წერდა:

„ვაარსებ რა ამგვარ სასწავლებელს, მტკიცედ ვარ დარწმუნე-ბული, რომ მარტო ამ საფუძვლით შეუძლია სკოლას მოიპოვოს ადგილობრივი საზოგადოების თანაგრძნობა, ურომლისოდაც არა-ვითარ სასწავლებელს არ შეუძლიან ფესვის გადგმა.

არავითარი დაწყობა კერძო პირისა არ იქნება მაგარს ნიადაგ-ზედ დამყარებული, თუ საზოგადოება არ თანაუგრძნობს და არ დაეხმარება. ამისათვის, საზოგადოების მიერ თანაგრძნობისა და დახმარების მოსაპოებლად, საჭიროა, რომ ყოველს საზოგადო საქმეზე თვითონ საზოგადოებას ეჭიროს თვალი" (გაზ. „დროება", 1883, № 142).

ილიას ამ სიტყვებმა ფართო გამოხმაურება ჰპოვეს. ყველას მოსწონდა ეს დიდმნიშვნელოვანი წამოწყება. ყველა ცდილობდა ამ საქმისათვის მხარი დაეჭირა და ყოველგვარად დახმარებოდა.

ამრიგად, ილია წინამძღვრიშვილის თაოსნობით და მოწინავე ქართველი ინტელიგენციის მხარდაჭერითა და დახმარებით, თბი-ლისის გუბერნიის, დუშეთის მაზრის, სოფელ წინამძღვრიანთკარ-ში, დაფუძნებულ იქნა პირველი ქართული სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი.

სკოლის ამოცანა იმაში მდგომარეობდა, რომ ბავშვებისათვის ესწავლებინა წერა-კითხვა; აგრეთვე, მიეცა მათთვის ცოდნა სოფ-

ლის მეურნეობის რაციონალურად მართვისათვის ისეთ დარგებში, როგორიცაა: მიწათმოქმედება, მებაღეობა, მევენახეობა, მეღვინეობა, მებოსტნეობა, მეაბრეშუმეობა, მესაქონლეობა, მეფრინველეობა, მეფუტკრეობა და მეტყევეობა.

ი. წინამძღვრიშვილმა საკუთარი მამულიდან სკოლას გადასცა 50 დესეტინა (55 ჰექტარი) მიწის ფართობი. მანვე იკისრა სკოლისა და მისი მომსახურე პერსონალის უზრუნველყოფა საჭირო შენობებით, სასკოლო ინვენტარით, სახელმძღვანელოებით, ხელფასით და სხვა.

ი. წინამძღვრიშვილის მიერ გადაცემული შენობები, მიწის ფართობი და სხვა, რჩებოდა სკოლას სრულ საკუთრებად, სკოლის გაუქმების შემთხვევაში აღნიშნული ქონება გადადიოდა სოფლის მეურნეობის კავკასიის საზოგადოების მფლობელობაში მოსახლეობაში სასოფლო-სამეურნეო ცოდნის გავრცელების საქმეში მოსახმარებლად.

სკოლის მიმდინარე მოთხოვნილებები კმაყოფილდებოდა იმ შემოსავლიდან, რომელსაც იგი მიიღებდა სასწავლო მეურნეობიდან, აგრეთვე საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და კერძო პირების შეწირულებიდან. ამ საქმის მთელი პასუხისმგებლობა ი. წინამძღვრიშვილმა იკისრა.

გარდა ამისა, სასწავლო მეურნეობიდან შემოსული თანხის 10 პროცენტი ხმარდებოდა სათადარიგო სასკოლო კაპიტალის გაძლიერებას, ხოლო 3 პროცენტი — მასწავლებლებისა და წარჩინებულ კურსდამთავრებულების დასაჯილდოებლად იყო განკუთვნილი.

არსებული წესდებულების მიხედვით, სკოლა იმყოფებოდა კავკასიის სამოსწავლო ოლქის გამგებლობაში და ემორჩილებოდა თბილისის გუბერნიის სახალხო სასწავლებლების დირექტორს იმ დებულების მიხედვით, რომელიც მიღებული იყო კერძო სასწავლებლებისათვის.

სკოლის მზრუნველს ეკისრებოდა სკოლაზე უშუალო ზედამხედველობა, სამეურნეო საქმიანობაზე განკარგულების გაცემა და ზემდგომი ორგანოების წინაშე პასუხისმგებლობა. მზრუნველის მოვალეობა პირველ ექვს წელიწადს მინიჭებული ჰქონდა ი. წინამძღვრიშვილს, როგორც ამ სკოლის დამაარსებელს, შემდგომში

კი ყოველ ექვს წელიწადში, სკოლის წარმომადგენელთა საერთო კრების მიერ უნდა მომხდარიყო მზრუნველის არჩევა, რასაც ამტკიცებდა კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი.

ზედამხედველს ირჩევდა სკოლის მზრუნველი თბილისის გუბერნიის სახალხო სასწავლებლების დირექტორთან შეთანხმებით. ასევე ხდებოდა მასწავლებლის არჩევაც სათანადო განათლების ცენზის გათვალისწინებით. ზედამხედველის მოვალეობას შეადგენდა მასწავლებელთა ხელმძღვანელობა და სასწავლო საქმიანობაში წესრიგის დამყარება. ზედამხედველი უშუალოდ ხლმძღვანელობდა სკოლას და სკოლაში მზრუნველის არყოფნის შემთხვევებში. ასრულებდა მის მოვალეობას.

სკოლასთან შექმნილი იყო პედაგოგიური საბჭო სკოლის ზედამხედველისა და მასწავლებლების შემადგენლობით, თავმჯდომარეობა ეკისრებოდა სკოლის მზრუნველს. პედაგოგიური საბჭო იხილავდა სკოლის ცხოვრებასთან დაკავშირებულ ყველა საჭირბოროტო საკითხს.

წესდების მიხედვით, სკოლაში ღებულობდნენ 10—12 წლის ჭაბუკებს განურჩევლად წოდებისა, ეროვნებისა და სარწმუნოებისა. სკოლაში მისაღებად ბავშვებს არავითარ საბუთს არ სთხოვდნენ, საკმარისი იყო მშობლების ან მათი მეურვის სიტყვიერი განცხადება მზრუნველის ან ზედამხედველის მიმართ და დაბადების მოწმობა.

სკოლაში ჩარიცხული ბავშვის გვარი, სახელი, წოდება, სარწმუნოება, აგრეთვე მშობლების ვინაობა იწერებოდა ცალკე დავთარში, რომელიც ინახებოდა სკოლაში.

პირველ კლასში მიღება წარმოებდა ყოველგვარი გამოცდის გარეშე, ხოლო სპეციალურ კლასებში მიღების მსურველთ უნდა ჩაებარებინათ სათანადო გამოცდები.

პროგრამისა და წესდების საფუძველს შეადგენდა სწავლება მშობლიურ ენაზე, რომლის მიხედვითაც მთელი 6 წლის განმავლობაში, რაც განკუთვნილი იყო სკოლის მთლიანი კურსის დასამთავრებლად, მოწაფეს ყველა საგანი უნდა ესწავლა ქართულ ენაზე. რუსული ენის სწავლება იწყებოდა პირველი სასწავლო წლის მეორე ნახევრიდან და გრძელდებოდა სკოლის მთლიანი კურსის დასრულებამდე.

რამდენიმე წლის შემდეგ ნათელი გახდა, თუ რამდენად სწორი იყო ჩვენი სახელოვანი პედაგოგის ი. გოგებაშვილის დებულება, რომლის მიხედვითაც შეადგინა მან წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სკოლის წესდება და რომელიც ითვალისწინებდა მშობლიურ ენაზე სწავლების აუცილებლობას. ფშავიდან, ხევსურეთიდან და საქართველოს სხვა მივარდნილი კუთხეებიდან ჩამოსული ახალგაზრდები სწავლის დასრულებამდე თავისუფლად ლაპარაკობდნენ და წერდნენ რუსულად, იცოდნენ რუსეთის ისტორია და ლიტერატურა. მშობლიურ ენაზე სწავლა მოწაფეებს უადვილებდა არა მარტო სპეციალური საგნების ადვილად ათვისებას, არამედ რუსული ენის საფუძვლიანად შესწავლასაც.

პროგრამით გათვალისწინებული იყო შემდეგი საგნები: საღვთო სჯული, რუსული და ქართული ენები, არითმეტიკა და პრაქტიკული გეომეტრია, საშობლოთმცოდნეობა, კავკასიისა და ევროპის სახელმწიფოების მოკლე გეოგრაფია და დედამიწის სფეროს ზოგადი მიმოხილვა; ელემენტარული ზოოლოგია, ბოტანიკა და მინერალოგია (კავკასიის ფლორასა და ფაუნაზე განსაკუთრებული ყურადღების გამახვილებით); მიწათმოქმედება, მებაღეობა, მევენახეობა, მეღვინეობა, მებოსტნეობა, მეტყეეობა, მეცხოველეობა და მეაბრეშუმეობა, მეფუტკრეობა, სასოფლო-სამეურნეო ანგარიშწარმოება და ტექნოლოგია, პოპულარული ჰიგიენა და პირუტყვის მკურნალობა, ხაზვა და საგუნდო სიმღერა. სკოლასთან არსებობდა სახელოსნო სამიწათმოქმედო იარაღების შესაკეთებლად და გადასაკეთებლად.

სკოლას ჰქონდა ორგვარი წიგნთსაცავი—მასწავლებლებისა და მოსწავლეებისათვის. 1901 წლის მონაცემებით, სკოლის ორივე ბიბლიოთეკას ჰქონდა 1728 სახელწოდების 1945 წიგნი, ხოლო 1913 წლის მონაცემებით—2743 სახელწოდების 4102 წიგნი, რომელთა ღირებულება შეადგენდა 3533 მანეთს.

სკოლის მუზეუმში მოთავსებული იყო სხვადასხვა გეოგრაფიული რუკები, გლობუსები, ჰერბარიუმები, მწერების კოლექციები, ადამიანის ფანტონი, ცხოველების მოდელები, აბრეშუმის ჭიის ფანტონი და სხვა. აქვე იყო ხარატის, ხუროს, დურგლის, მჭედლის, ჩილინგრის და სხვა სამეურნეო მანქანა-იარაღების მოდელები. მეღვინეობის შესასწავლად სკოლას ჰქონდა 4000

ვედროს გამტარუნარიანობის მარანი. რომელმაც პრაქტიკულად მუშაობა დაიწყო 1892 წლიდან, რადგან მანამდე სკოლას არ ჰქონდა თავისი საკუთარი ვენახის მოსავალი.

სრული თეორიული და პრაქტიკული კურსი, როგორც აღვნიშნეთ, გრძელდებოდა 6 წელიწადს. სკოლას ჰქონდა 3 კლასი: პირველი—ზოგადსაგანმანათლებლო კლასი 4 განყოფილებით და 2 სპეციალური კლასი—თითოეული ერთწლიანი კურსით. მოწაფეები მოსამზადებელ კლასებში გადიოდნენ: არითმეტიკას, გეომეტრიას, ისტორიას, ხაზვას, გალობასა და სხვა. ხოლო სპეციალურ კლასებში ზემოაღნიშნულ სპეციალურ საგნებს.

სასწავლო ნაკვეთში მოწაფეები მხოლოდ 12 წლის ასაკის შესრულების შემდეგ იწყებდნენ მუშაობას. 12 წლის ასაკის ბავშვებისათვის მუშაობა დღეში 3 საათით განისაზღვრებოდა, ხოლო 13 წლიანები დღეში 5 საათს მუშაობდნენ. სწავლა უფასო იყო. აგრეთვე მოწაფეებს უსასყიდლოდ ეძლეოდათ სახელმძღვანელოები და სასწავლო ნივთები.

პირველ ხანებში სკოლას არ ჰქონდა საერთო საცხოვრებელი, მაგრამ ეს მდგომარეობა მალე გამოსწორდა. სკოლასთან მოეწყო 30-ადგილიანი საერთო საცხოვრებელი, რომელშიაც ცხოვრობდნენ საქართველოს შორეული კუთხეებიდან მოსული მოწაფეები.

საერთო საცხოვრებლებში მცხოვრებ თითოეულ მოწაფეს წელიწადში უნდა გადაეხადა 84 მანეთი. სამაგიეროდ, გარდა საცხოვრებლისა, მათ უფასოდ ეძლეოდათ სასმელ-საჭმელი. მაგალითად, საუზმედ და ვახშმად ჩაი ან რძე პურით, სადილად კი 2 თავი კერძი, ხოლო დღესასწაულებზე 3 თავი.

სკოლის მიზანი იყო მოემზადებინა შეგნებული მეურნე, რომელიც კურსის დამთავრების შემდეგ დაუბრუნდებოდა რა თავის სახლკარს, საკუთარ მამულს ისე მოაწყობდა, რომ იგი სამაგალითო ყოფილიყო მეზობლებისათვის. ამიტომ სკოლა კურსდამთავრებულებს არავითარ უფლებებს არ ანიჭებდა, მათ აძლევდა მხოლოდ კურსის დამთავრების ატესტატს წარმატებისა და ყოფაქცევის აღნიშვნით. წარჩინებით კურსდამთავრებულებს პედაგოგიური საბჭოს დადგენილებით ეძლეოდათ ფულადი საჩუქრები ან სოფლის მეურნეობაში გამოსაყენებელი სასოფლო-სამეურნეო იარაღი.

სკოლის შენობის ასაგებად ი. წინამძღვრიშვილმა მოიწვია ხუროთმოძღვარი ბელოვი და ინჟინერი მ. ბებუთაშვილი. ბელოვის გარდაცვალების შემდეგ მუშაობა განაგრძო არქიტექტორმა მ. სალამბეკოვმა. აგებულ იქნა 3 ოთახისა და ერთი დიდი ტალანისაგან შემდგარი ერთსართულიანი სასკოლო შენობა და სხვა. ეს სამუშაოები შესრულდა ი. წინამძღვრიშვილის უშუალო ზედამხედველობითა და ხარჯით.

ი. წინამძღვრიშვილს მოუხდა აგრეთვე სკოლისათვის ეკლესიის აგება. სხვათა შორის, როდესაც უარს ამბობდნენ სკოლის პროგრამისა და წესდების დამტკიცებაზე, ერთ-ერთ მიზეზად მოჰყავდათ სკოლისათვის ეკლესიის უქონლობა, მაგრამ ილიამ სახელდახელოდ ააშენებინა ეკლესია პირველ ხანებში ხის მასალით, რაც დაუჯდა 100 მანეთი. ამით სკოლის დაარსების მოწინააღმდეგე მეფის ჩინოვნიკებს ერთი საბაბი გამოაცალა. შემდეგ კვლავ დაისვა საკითხი ქვის მასალით ეკლესიის აგების შესახებ. ილია უხერხულად თვლიდა სკოლის ეზოში ეკლესიის აშენებას და ამიტომ გადაწყვიტა მისი აგება სოფლის ცენტრში; მაგრამ ეგზარხოსმა არ მისცა ამის ნება: თუ ეკლესიას სკოლის ეზოში არ ააგებთ, სკოლას დავხურავო, იმუქრებოდა იგი. ი. წინამძღვრიშვილი იძულებული შეიქნა დათანხმებულიყო. თლილი ქვისაგან ნაშენი ეკლესია ახლაც დგას სკოლის ეზოში.

გარდა აღნიშნულისა, სკოლის განკარგულებაში იყო შენობები მუზეუმისა და სახელოსნოსათვის; მასწავლებელთა საცხოვრებელი სახლი—თითოეული მასწავლებლისათვის ოროთახიანი ბინა. მოწაფეთა საცხოვრებელი, ფურნე, თავლა მუშა და მეწველი პირუტყვისათვის, 35000 ვედროს ტევადობის აუზი და სხვა.

ი. წინამძღვრიშვილმა დამატებითი შენობებისა და ეკლესიის ასაგებად დახარჯა 30 ათასი მანეთი; ავეჯის, სასწავლო საგნებისა და ინვენტარის შესაძენად 8.800 მანეთი; წყალსადენის მოსაწყობად—2000 მანეთი, სასწავლო მეურნეობის შესაღობად და გზების გაკვანაზე—1600 მანეთი, სულ დახარჯა 99.243 მანეთი.

სკოლის წლიური ბიუჯეტი დაახლოებით 7000—8000 მანეთს უდრიდა, აქედან პედაგოგებისა და სკოლის დამხმარე პერსონალის შენახვას უნდებოდა 4380 მანეთი, სახელმძღვანელოებს, სახელოს-

ნოს მასალებს, სამეურნეო იარაღებს, შენობის რემონტს, განათებას, გათბობასა და სხვას—2700 მანეთზე მეტი და სხვა.

სკოლის სასწავლო მეურნეობა, რომელიც 50 დესეტინა მიწის ფართობს შეადგენდა, დაყოფილი იყო ცალკე ნაკვეთებად. 6 დღიური[1] ეჭირა ვენახს, 4 დღიური—ხეხილის ბაღს, 2 დღიური—ბოსტანს, 4 დღიური—სანერგეს, ცალკე იყო აგრეთვე, ამერიკული მწარე ვაზის სანერგე.

განსაკუთრებული ადგილი ეკუთვნოდა ვენახისა და ხეხილის ბაღებს. ვენახს ამშვენებდა ადგილობრივი და ევროპული ყურძნის ჯიშები. ადგილობრივიდან: რქაწითელი, მწვანე, თავკვერი; ევროპულიდან—სემილიონი, კაბერნე-სემილიონი, შავი და თეთრი მუსკატი, რისლინგი, თეთრი და წითელი პინო, პედრო და სხვა.

ამერიკული ვაზის სანერგეში გაშენებული იყო რიპარია-რუპესტრისა და რუპესტრის დულო. აქედან დიდი რაოდენობით ეძლეოდათ მოსახლეობას ადგილობრივი და ევროპული ვაზის რქები.

ხეხილის ბაღში კალვილის, რენეტის, გულაბის, ალექსანდრისა და სხვათა მრავალი ჯიში მოიპოვებოდა.

სკოლაში პირველ წელს მიღებულ იქნა 22 მოწაფე. სკოლის პირველი გამგე (ზედამხედველი) იყო ერმილე ნაკაშიძე, ცნობილი აგრონომი და აგრონომიული მეცნიერების დიდი პროპაგანდისტი საქართველოში. სკოლის პირველი მასწავლებლები იყვნენ ევ. კანდელაკი, გ. ასათიანი, არქ. ტყემალაძე, ნ. თაბურაძე და სხვა.

სწავლა დაიწყო 1883 წლის 5 სექტემბერს.

---

[1]დღიურში იგულისხმებოდა იმდენი მიწის ფართობი, რამდენის მოხვნაც შეეძლო ერთ გუთნეულს ერთი დღის განმავლობაში. არსებობდა სხვადასხვა ზომის დღიური, მაგალითად—ანეულის, ანუ ზაფხულის დღიური, როდესაც დღე გრძელია და ნაშის, ანუ შემოდგომის დღიური, როდესაც დღე მოკლეა. ყველაზე დიდი ზომისა იყო ანეულის დღიური. გარდა ამისა, არსებობდა ბარისა და მთის დღიურები. მთის დღიურთან შედარებით უფრო დიდი იყო ბარის დღიური. დღიურის საშუალო ზომა 900 კვადრატულ საჟენს, ანუ ნახევარ დესეტინას შეადგენდა.

ზეიმი წინამძღვრიანთკარში

წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო. სკოლის გახსნა საზეიმო ვითარებაში ჩატარდა, რის შესახებაც ი. წინამძღვრიშვილი გაზეთ „დროებაში" წერდა:

„პირველი სექტემბერი მოდის ხუთშაბათს და, რომ ხალხი არ მოცდეს თავის საქმეს, გვთხოვენ სკოლის გახსნა გადაიდოს სხვა დროისათვის. ამის გამო ვაცხადებ, რომ სასოფლო-სამეურნეო სკოლა წინამძღვრიანთკარში გაიხსნება კვირას, 4 სექტემბერს ამ წლისას, 12 საათზე" (გაზ. „დროება", 1883, № 167).

წინამძღვრიანთკარს ამდენი ხალხი არასოდეს არ ახსოვდა. სკოლის გახსნას ბევრი დაესწრო ქართლ-კახეთიდან და თბილისიდან, აგრეთვე საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან. დამსწრეთა შორის მრავლად იყვნენ დუშეთის მაზრისა და საგურამოს მიდამოების გლეხები. ზეიმზე მოვიდნენ: ილია ჭავჭავაძე, იაკობ გოგებაშვილი, ნიკო ცხვედაძე, პროფესორი ილია ოქრომჭედლიშვილი, მოსე ჯანაშვილი, დიმიტრი სტაროსელსკი, ინჟინერი მიხეილ ბებუთაშვილი, სოფლის მეურნეობის კავკასიის საზოგადოების აგრონომი ვ. გეევსკი, ამ საზოგადოების ვიცე პრეზიდენტი ივ. ხატისოვი, არქიტექტორი ბელოვი და სხვა მრავალი.

ზეიმზე პირველი სიტყვა წარმოსთქვა სკოლის ფუძემდებელმა და მზრუნველმა ი. წინამძღვრიშვილმა. მან თქვა:

„ბევრს თქვენგანს გააკვირვებს ჩემი მოქმედება, რომ დღეს მე სამეურნეო სკოლას ვხსნი,—მართლა რომ ეს საქმე სამძიმო საქმეა; მაგრამ ეს საქმე მე გამაბედვინა, ერთის მხრივ, იმან, რომ ყოველის მამულისშვილის ვალია შეძლებისამებრ შეეწიოს ღარიბსა და უმეცარს ხალხსა, და მეორეს მხრივ, აუცილებელმა საჭიროებამ აქაურ ხალხში სასარგებლო და პრაქტიკული ცოდნის გავრცელებისამ. მე დარწმუნებული ვარ, რომ გზაზე ბევრი გაჭირვება მოგველის, მაგრამ ამ გაჭირვების დაძლევა შეუძლიან საქმისათვის

სიყვარულს, გულის დადებასა და ენერგიას. როგორც სახალხო სკოლის ისტორია ამტკიცებს. ამ ბრძოლისათვის ერთის ან რამდენიმე პირის ძალა საკმარისი არ არის,—საჭიროა ხელის შეწყობა და თანაგრძნობა თვითონ საზოგადოებისა.

მაშ ყველანი, ვინც კი ერთგულად ეკიდება სახალხო განათლების საქმეს, ამოვუდგეთ გვერდით მეცნიერების დროშას, გავუღოთ სასწავლებლის კარი ყოველ ერსა და სარწმუნოებას, წავიდეთ წინ და მოვფინოთ ბნელს ხალხში ნათელი ჭეშმარიტებისა.

მოგმართავთ რა თქვენ, ჩემს ამხანაგებს, და ახლად გახსნილი სკოლის პირველ მოძღვრებს, უნდა გითხრათ, რომ თქვენ, როგორც მეცნიერების წარმომადგენელთ, შეგხვდებათ სასიამოვნო, მაგრამ ძნელი დანიშნულება, თქვენ პირველთ უნდა გააბნიოთ საგურამოს ხეობაში თესლი განათლებისა, უნდა ებრძოლოთ ხალხის ცრუმორწმუნოებას, უნდა აღუძრათ თანაგრძნობა სახალხო განათლებისადმი და ცხადად აჩვენოთ ის სარგებლობა, რაც გამოცდილებას და მეცნიერებას ადამიანისათვის მოუტანია. თქვენზეა დამოკიდებული სკოლის მოწაფეთა ბედი და თითონ სკოლის მომავალი. ჩვენი სკოლა სამაგალითო იქნება მთელის კავკასიისათვის და თქვენ თქვენი სული უნდა ჩაუდგათ მას... მივანებოთ თავი თავმოყვარეობას და ჩუმად, აუჩქარებლად, ყველანი ვემსახუროთ სულიერსა და ნივთიერს ინტერესებს იმ ხალხისას, რომელიც ყოველთვის ჩვენი ზრუნვის საგანი იქნება. მაშინ სკოლის მტერნი მეგობრებად გადაიქცევიან და ჭეშმარიტებაც აღდგება“ (გაზ. „დროება“, 1883, 8 სექტემბერი).

დასასრულს ი. წინამძღვრიშვილმა მადლობა გამოუცხადა დ. სტაროსელსკის და ყველა იმ პირთ, ვინც მზრუნველობა გამოიჩინა ამ სკოლისადმი. ი. წინამძღვრიშვილის საპასუხოდ დ. სტაროსელსკიმ თქვა: „რაც კი შემეძლება კვლავაც არაფერს დავზოგავ სკოლის კეთილდღეობისათვისო“.

აღნიშნული ზეიმის შესახებ შესანიშნავი მოგონება დაგვიტოვა ჩვენი მშობლიური კუთხის—საინგილოს სახელოვანმა შვილმა, ცნობილმა ქართველმა ისტორიკოსმა და საზოგადო მოღვაწემ მ. ჯანაშვილმა.

„რამდენი მოგონება გიელვებს თავში, — წერდა ის სკოლის გახსნიდან 30 წლის შემდეგ, წინამძღვრიანთკარში ხელმეორედ ჩა-

სვლის დროს,—რამდენი ცოცხალი აღარ არის იმათგან, რომლებიც მაშინ შესტრფოდნენ განათლების ახალ კერას, რომლისაგან სამართლიანად მოელოდნენ საქართველოს მეურნეობის აღმოცენებას.

გიორგი ქართველიშვილი, მგოსანი იოსებ ბაქრაძე და მე ცალკე ეტლით მივემგზავრებოდით, მივეშურებოდით წინამძღვრიანთკარს და გზადაგზა სულ იმაზე ვბაასობდით, თუ რა შეუძლია კაცს, როცა ხალხის, ერის სიყვარულით გამსჭვალულია და მის საკეთილდღეოდ ფიქრობს და ზრუნავს მარადის.

წინამძღვრიანთკარს რომ მივედით, იქ დაგვხვდა თვით ილია წინამძღვრიშვილი დიდ ილია ჭავჭავაძესთან ერთად, ორივეს სიხარულის ნათელი ადგათ...

მიტინგის შემდეგ,—განაგრძობს თავის მოგონებას მ. ჯანაშვილი,—ილიამ სტუმრები მოიწვია ცხრამუხის[1] ქვეშ გაშლილ სუფრაზე, თავში მოთავსდა სტაროსელსკი, ბოლოში დიდი ილია ჭავჭავაძე. გაიმართა სადღეგრძელოები. ყველა აქებდა ილია ივანესძეს და მის საქმეს... სადღეგრძელოები თუმცა მადლიერი გულის სიღრმიდან იყო ამოხეთქილი, მაგრამ ყველა გრძნობდა, რომ მათ რაღაც აკლდა. ის-ის იყო ასაშლელად ემზადებოდნენ, რომ დიდი ილია ჭავჭავაძე ჭიქით ხელში აღიმართა ფეხზე, გადავიდა ბლომად მოგროვილ სოფლელების მხარეს და მიმართა მათ თავისი ცნობილი სიტყვით. გლეხებიც და დანარჩენი სტუმრებიც ფეხზე იდგნენ.

დიდი ილია სიტყვის დაწყებისათვის ემზადებოდა, რომ მოვკარი ყური სტაროსელსკის წარმოთქმას: მაგან კი ილაპარაკოს და გლეხები ყველაფერს მიხვდებიან. მაგას ისინი ადიდებენ, უმაგის-

---

[1] გადმოცემით, აღამაჰმადხანთან უთანასწორო ბრძოლაში დამარცხებული მეფე ერეკლე მეორე, რომელიც თავისი ამალით მთიულეთში მიემგზავრებოდა, ამ მუხების ქვეშ შეჩერებულა და უსაუზმია. მხცოვანი მეფე უზომოდ ყოფილა აღელვებული, მის თვალებზე ცრემლები შეუმჩნევიათ.

რჩეოდ და მაგის დაუკითხავად ეგენი ფეხს არ გადადგამენ ხოლმე, მაგის ძმური სიტყვა ჩვენი ხეობის ქართველებისათვის კანონიაო“ („სახალხო გაზეთი“, 1913, № 1006).

დიდი ილიას სიტყვა, წარმოთქმული წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სკოლის გახსნაზე, მჭევრმეტყველების უბადლო ნიმუშია, ეს სიტყვა იმთავითვე ითარგმნა უცხო ენებზე და ის საერთაშორისო ყურადღების საგნად გადაიქცა. ამ სიტყვის დიდი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ მასში მარტივად, მაგრამ ფილოსოფიური ზეშთაგონებითა და მხატვრული ოსტატობით მთელი სისრულითაა მოცემული ცოდნის ძალა. აი, ის სიტყვა, რომელიც უმთავრესად გლეხობისადმი იყო მიძღვნილი:

„ერთი ორიოდე სიტყვა მეც მინდა გითხრათ, და ყური რომ მათხოვოთ მადლობელი ვიქნები“,—თქვა ილიამ და შემდეგ განაგრძო:

„ღმერთმა რომ ქვეყანა გააჩინა, დედამიწას გული გადაუხსნა, შიგ აუარებელი, ულეველი სიმდიდრე ჩაუდვა და ადამიანს უანდერძა: იშრომე, გაისაჯეო და ეგ სიმდიდრე დედამიწის გულიდამ ამოიღე და შენს სადღეგრძელოდ მოიხმარეო.

თქვენში და თქვენგან ხშირად გამიგონია, რომ ქრისტეღმერთმა თავისი კალთა უხვებისა აქ, ამ ჩვენს პატარა ქვეყანაში დაიბღერტაო. ამას იმიტომ ამბობენ, რომ ჩვენი ქვეყანა ბევრს სხვა ქვეყანაზედ უფრო მდიდარია, უფრო სავსეა. არც ჩვენ თვითონა ვართ უხეირონი, ღმერთი-რჯული. მკლავ-ძარღვად კარგები ვართ, ჯანი და ძალღონეც მოგვდევს, არც ხალისი გვაკლია. ეს ყველაფერი გვაქვს. ეს მდიდარი პატარძალივით მორთული ქვეყანა, ეს ჯიშიანი მკლავ-ძლიერი ხალხი, გამრჯელი და ოფლის-მღვრელი—მაშ რაღადა ვართ ღარიბნი? მკითხავთ თქვენ.

იმიტომ, რომ არ ვიცით, სად რა სიმდიდრე ძევს, სად რა განძია, არ ვიცით—საიდამ რა ამოვიღოთ, რა ხერხით და რა ოსტატობით ამოვიღოთ, რომ ჯაფაც ადვილი იყოს და ნაჯაფევიც ბლომად. აკი ვამბობ, ყველაფერი გვაქვს, მარტო ერთი რამ გვაკლია, სახელდობრ—ისა, რაც თქვენსავე სიტყვით, თითონ ღონესაც სჯობია, რაც ძლიერს მკლავს ხერხიანად ამოქმედებს, რაც კაცის თვალს დედამიწის გულში ჩაახედებს, რაც კაცს წინ მიუძღვება ხოლმე და უტყუარად ეუბნება: აი, აქ ეს სიმდიდრეა, ღვთისაგან შენთვის

მიბარებულიო, ამას ამ ხერხით, ამ ოსტატობით—უფრო ადვილად, უფრო ბლომად ამოიღებო.

მაგისთანა ღვთისნიერს წინამძღოლს ცოდნა ჰქვიან, უიმისოდ დედამიწა თავის უხვს და უხარბელს გულს არ გადაგვიხსნის, ისე უხვად არ მოგვაბარებს, რამდენადაც ჩვენთვის მიბარებული აქვს. სხვა ქვეყანაში, საცა ცოდნა აქვს ხალხსა, ოთხის დღის მიწა ისე უპირველად აცხოვრებს მთელს ოჯახს, როგორც ჩვენში ოცისა და ორმოცის დღის პატრონი ვერა სცხოვრობს. რათა? განა იმით, რომ ისინი მკლავ-ძარღვით ჩვენ გვჯობნიან? არა, იმათ ცოდნა აქვთ, ხერხი იციან, „ხერხი სჯობია ღონესაო“ თქვენგანვე თქმულა და მართალიც არის.

ცოდნა ხომ ხერხია, მაგრამ თითონ, თავის-თავადაც სიმდიდრე არის, მერე იმისთანა, რომ კაცი საცა წავა, თან მისდევს უხარჯოდ და უბარგოდ, ვერცა ვინ მოჰპარავს, ვერცა ვინ წინ გადუდგება. ეხლანდელ დროში ცოდნა ყველაფერია: ფულზედაც უფრო მდიდარი ბაზარი აქვს, ხმალზედაც უფრო მეტად სჭრის და ზარბაზანზედაც უფრო ძლიერია.

ღონიერი და ჭირთა-მძლევი ის არის, ვისაც ჭკუა ცოდნით მოურთავს, ცოდნა აუყვავებია, ცოდნის ძუძუთი გაუზრდია. „კაცი უნდა ხერხი იყოს, გაჰქონდეს და გამოჰქონდესო“, თქვენგანვე მაქვს გაგონილი და დასწავლილი. მართალიც არის: კაცი სხვის მარგეც უნდა იყოს და თავისთავისაც. კაცი მარტო მაშინ არის ხერხი, როცა ცოდნა აქვს, როცა ჭკუა ცოდნით გაულესია, ცოდნის ჩარხზე გაუჩარხავს. მაშინ ხერხივით სხვისთვისაც გააქვს და თავისთვისაც შემოაქვს.

ეგ თქვენ თითონაც კარგად იცით. თქვენ თითონ ყოველდღე პხედავთ, რომ ეგ ეგრეა. ალოში გუთნის-დედას მეტს არგუნებთ ხოლმე, ვიდრე მეხრესა. რათა? იმიტომ რომ გუთნის-დედა მცოდნეა და მეხრე კი არა. ურმის მკეთებელი უფრო მეტად ღირს მოჯამაგირედ რომ დგება, ვიდრე უბრალო მუშაკაცი, თუნდაც ერთი-ორად იმაზედ მეტი იყოს მკლავითაც და ჯანითაც. რათა? კიდევ იმიტომ, რომ ურმის ხელოსანი მცოდნე კაცია და უბრალო მუშა კი არა.

ამიტომ ვამბობ, რომ ცოდნა თითონ, თავის-თავადაც სიმდიდრეა მეთქი, მერე იმისთანა მადლიანი სიმდიდრეა, რომ რაც უნდა

ბევრს დაურიგო, ბევრს გაუწილადო, შენ არა დაგაკლდება-რა, თუ არ მოგემატება. ამ შემთხვევაში ცოდნა ანთებულ სანთელს ჰგავს: ერთს სინათლეზე რომ ათასს სხვა სანთელს მოუკიდო, სანთელს არც ალი დააკლდება, არც სინათლე, არც სიცოცხლე. პირიქით, იმატებს კიდეც, რადგანაც ერთის მაგიერ ათასი სხვა სანთელი იმასთან ერთად დაიწყებს ლაპლაპსა.

სანთელს კიდევ იმაში ჰგავს ცოდნა, რომ თუნდაც ცოტად ბჟუტავდეს შორს სადმე ბნელაში, ქურდს, მპარავს, მტერს აფრთხობს, იქ სინათლეა,—სჩანს ღვიძავთო, და დაგვიანებულს მოყვარეს კი ახარებს კიდევ იმით, რომ იქ ღვიძილია, მღვიძარები დამხვდებიანო.

სანთელს მარტო იმაში არა ჰგავს, რომ სანთელი, როცა იქნება, ჩაიწვის და გაქრება ხოლმე; ერთხელ ანთებული ცოდნა კი თავის დღეში არა: მამიდამ შვილზე გადადის, შვილიდამ შვილიშვილზედ, უფრო გადიდებული, უფრო გაძლიერებული.

ცოდნა იმითაა კიდევ კარგი... რომ ყველას ერთნაირად მოუხდება, ყველას ერთნაირად დაამშვენებს ხოლმე, ოღონდ კი კაცი გულმონდომებული და მოწადინებული მივიდეს ცოდნის კარამდისა.

ახლა სად არის ეს კარი? როგორ შევიძინოთ ის სანატრელი განძი, რომელსაც ცოდნა ჰქვიან და რომელიც ჩვენ და ჩვენს ქვეყანას ეგრე უჭირს? გამოვიდა ჩვენში ერთი გულმტკივნეული კაცი და გვითხრა: გზას მე გიჩვენებთო, თქვენ ოღონდ ხალისი გამოიჩინეთო. ის კაცი მარტო თავისის თაოსნობით, დაუღალავის მცდელობით, თავგამოდებით, მხნეობით შეუდგა ამ ძნელს საქმეს და თავის სასახელოდ და ჩვენდა საბედნიეროდ აქ, ამ სოფელში, აკვანი დადგა ცოდნის გასაზრდელად და ძუძუსათვის ძიძები მოიწვია. ის კაცი ილია წინამძღვრიშვილია, ის აკვანი—აი ის პატარა შენობაა, რომელიც ასე ლამაზად უხდება ამ პატარა სოფელს, ძიძები კი მისგან მოწვეული ოსტატები არიან.

აი, სად და ვისის ხელით აინთება აქ ის სასიხარულო სანთელი, რომლის სინათლეც მტერს დააფრთხობს და მოყვარეს გაახარებს და რომელსაც ცოდნა ჰქვიან: აი, ამ პატარა სახლიდამ გამოვა ის დიდი ღონე, ის დიდი ხერხი, ის ყოველთვის და ყოველგან გამარჯვებული ადამიანის ფარხმალი, რომელსაც ცოდნა ჰქვიან, მაგას

გამოიტანენ თქვენი შვილები და მოჰფენენ ქვეყანას ჩვენდა სადღეგრძელოდ, ჩვენდა საბედნიეროდ.

ცოდნა ბევრნაირია, ხოლო აქედამ ჩვენი შვილები, თქვენი შვილები, გამოიტანენ იმისთანა ცოდნას, რომელიც დედამიწის გულში ჩაგვახედებს, მიგვაგნებინებს— სად რა სიმდიდრე სძევს და რა-რიგის ხერხით, რა-რიგის ოსტატობით შეიძლება იმ სიმდიდრეს ხელი დავაწვდინოთ, ამოვიღოთ და მოვახმაროთ ქვეყანასა და ჩვენის თავის სასარგებლოდ.

მაშ გაუმარჯოს, ხალხო, ამ სკოლას, ამ ცოდნის აკვანსა! გაუმარჯოს ილია წინამძღვრიშვილს, ამ აკვნის დამდგმელსა! გაუმარჯოს ამ სკოლის ოსტატებსაც, რომლებიც ამ აკვანს გაარწევენ, დასაძინებლად კი არა, გასაზრდელად, გასაღვიძებლად... ღმერთმა თქვენც გამარჯვება მოგცეთ ყველგან და ყოველთვის! ღმერთმა შეგასწროთ იმ დროს, რომ აქედამ, ამ სკოლიდამ გამოსულს შვილს შეხაროდეთ და იმის ცოდნით ფეხზე წამოყენებულმა ოჯახმა, გამოკეთებულმა მამულმა, თქვენის თვალით დაგანახოთ, რომ მართლა „ხერხი სჯობია ღონესა". მაშინ იქნება ჩვენმა თვალმავე ისიც გვიმოწმოს, რაც გულში მამა-პაპათაგან მარტო ანდერძად ჩაგვრჩენია: „ის ურჩევნია მამულსაო, რომ შვილი სჯობდეს მამასაო..."[1].

დამსწრე გლეხები ი. ჭავჭავაძის სიტყვას მთელი გულისყურით უსმენდნენ და ხშირად აღტაცებულნი წამოიძახებდნენ ხოლმე — „დიაღ", „ოღონდაც", „მართალი გახლავთ" და სხვა („დროშა", 1883, № 177).

თუ რა შთაბეჭდილება მოუხდენია დამსწრეებზე დიდი ილიას ამ დიდებულ სიტყვებს, ამის შესახებ მ. ჯანაშვილი თავის ზემოაღნიშნულ მოგონებაში გადმოგვცემს შემდეგს:

„...ბოლოს და ბოლოს მისი მჭევრმეტყველება უმაღლეს წერტილამდე აღიწია. დღეს რომ ვიგონებ, ვფიქრობ, რატომ მაშინ არ იყო ფონიგრამა, რომ ეს დიდებული წარმოთქმა საქართველოს უდიდესი სკოლისა გადაეღოთ და მარად დაეტკბო ჩვენი ყურთასმენა და გულისყური. გათავდა მჭევრმეტყველება და იგრიალა ტაშისკვრამ. გლეხობამ ცალკე მადლობა გადაუხადა ორატორს და

---

[1] ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე—თხზულებათა სრული კრებული, ტომი V, 1955. გვ. 288—292.

აღუთქვა: თქვენ დარიგებაზე ვიყლით და ჩვენ შვილებს ამიერიდან მეურნეობას შევასწავლით იმ სასწავლებელში, რომელიც გაგვიხსნა ჩვენმა საყვარელმა ილია წინამძღვრიშვილმაო. მაგათი გვარები სულ წინამძღვრები ყოფილან და მაგანაც მამა-პაპათა ანდერძს არ უღალატა, კეთილად გვიწინამძღვრებსო.

საღამოვდებოდა, სტუმრები ეთხოვებოდნენ წინამძღვრიანთკარს და სამაგალითო მასპინძელს ილია ივანესძეს. დიდმა ილიამ მიგვახედა არაგვის მხრისკენ და გვითხრა: „რა დიდებული სურათია, რა მშვენიერად გამოიყურება ჩამავალი მზე ამ მუხების ჯგუფთანო". არ დამავიწყდება სიკვდილამდე ამ მზის სხივები, რა მომხიბლავად ეთამაშებოდნენ მაშინ თვით მის მოტრფიალე ილიას ლამაზად გაბადრულ პირისახეს. ნათლით მოსილები დაგვხვდნენ და ნათლით მოსილებმავე ორივე ილიამ გამოგვისტუმრეს.

ერთი ძეგლის აგებით თვითონაც თავის სიცოცხლეშივე ძეგლი დაიდგა მადლით მოსილმა ილია ივანესძემ...".

წინამძღვრიანთკარში სასოფლო-სამეურნეო სკოლის გახსნასთან დაკავშირებით მოწყობილი ზეიმის შესახებ მეტად გულთბილი წერილები იქნა გამოქვეყნებული იმდროინდელ პრესაში. „დროების" კორესპონდენტის სიტყვით, ბევრი მჭევრმეტყველი სიტყვა წარმოითქვა აღნიშნულ ზეიმზე, სამშობლოსათვის საკეთილო საქმისათვის ხალხი დიდ მადლობას უხდიდა სკოლის ფუძემდებელს ილია წინამძღვრიშვილს, გამოთქვამდნენ იმედს, რომ პირველი ქართული სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი, რომელსაც ხელმძღვანელობს მეტისმეტად გულისხმიერი ადამიანი, თავის ამოცანებს წარმატებით შეასრულებს და მას არ ექნება ისეთი ბედი. როგორიც ერგო ამაზე წინ არსებულ ლოჭინის სამიწათმოქმედო სკოლასო.

წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სკოლის გახსნით დიდად გაიხარეს აგრეთვე სახელოვანმა ქართველმა მეცნიერებმა ვასილ პეტრიაშვილმა და პეტრე მელიქიშვილმა, რომლებიც იმ დროს ოდესის უნივერსიტეტში ეწეოდნენ პედაგოგიურ და მეცნიერულ მოღვაწეობას. ისინი სკოლის გახსნის დღეებში გამოგზავნილ წერილს ასე ამთავრებდნენ:

„... დიდი თანაგრძნობითა და აღტაცებით ვეგებებით ამ პირველ ნაბიჯს ჩვენს ცხოვრებაში. უწმინდეს ვალად ვრაცხთ ჩვენ-

თვის, აღმოუჩინოთ შეძლებისდაგვარი შემწეობა ამ დიდ საქმეს“ („დროება“, 1883, № 185).

ასეთი იყო ის დაუვიწყარი დღე, რომელიც მიეძღვნა წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სკოლის გახსნას. მას სადიდებლად ისიც ეყოფა, რომ ამ დღეს სკოლის გახსნაზე უკვდავი სიტყვა წარმოთქვა დიდმა ილიამ, ჩვენი ხალხის თავდადებულმა ქომაგმა და კეთილისმყოფელმა.

ერის იმედი გაამართლა

„მიღწეიან, მომიგონებენ,
დამლოცვენ, მოვეგონები".
შოთა რუსთაველი

რით იყო შესანიშნავი წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სკოლა?

სხვა სკოლებთან შედარებით მისი განსაკუთრებული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობდა, რომ იგი იმ დროისათვის არა მარტო საქართველოსა და ამიერკავკასიაში, არამედ მთელი რუსეთის იმპერიაში წარმოადგენდა ერთადერთ ისეთ სასწავლებელს, რომელიც აგებული იყო ეროვნულ ნიადაგზე. აქ ყველა საგნის სწავლება, სკოლის მთელი კურსის დამთავრებამდე, წარმოებდა მშობლიურ ენაზე, ამავე დროს დიდი ყურადღება ექცეოდა რუსული ენის სწავლებას.

სკოლის სასწავლო გეგმაში თეორიულ სწავლებასთან ერთად, განსაკუთრებული ადგილი ეთმობოდა სასწავლო მეურნეობაში (ფერმაში) მოსწავლეთა პრაქტიკულ მუშაობას, რაც ორგანულად ერწყმოდა თეორიულ სწავლებას.

დაარსების პირველი წლიდანვე ნათელი შეიქნა, რომ სკოლა უსათუოდ გაამართლებდა მასზე დამყარებულ იმედებს. ი. წინამძღვრიშვილის მიერ შერჩეულმა მასწავლებლებმა საქმეს მტკიცედ მოჰკიდეს ხელი. ისინი დიდ მზრუნველობას იჩენდნენ მოსწავლეებისადმი, მთელ თავიანთ ცოდნას, გამოცდილებას და ენერგიას არ იშურებდნენ მათთვის.

მასწავლებლებსა და მოსწავლეთა შორის არსებული მამაშვილური და ჰუმანური დამოკიდებულება მოსწავლეებში უფრო მეტ სიხალისესა და სწავლისადმი მონდომებას იწვევდა.

ილია ჭავჭავაძე, რომელიც ღრმად სწვდებოდა ამ სკოლის ცხოვრებას, ყოველთვის დიდ კმაყოფილებას გამოთქვამდა მისი წარმატებით მუშაობის გამო.

„თვით შეგირდები,—წერდა იგი „დროებაში“ (1888, № 141).— რომელთა შორისაც... აგრეთვე შორიდან მოსულებიც არიან, მაგალითებრ, მთიულეთიდამ, გურიიდამ, კახეთიდამ და ქართლიდამ, სასიამოვნო სანახაობას წარმოადგენენ. იმ დაჩაგრულს, დამფრთხალს, დაღვრემილს სახეს, რომელსაც ასე ხშირად შეხვდებით ზოგიერთ სკოლებში, აქ ვერა ჰნახავთ: ჯანით მრთელნი, სულითაც ჯანმრთელნი, მკვირცხლნი, სიცოცხლით სავსენი არიან აქა. მათმა ცოდნამ, გონებაგაბსნილობამ, წერამ, კითხვამ, წაკითხულის ახსნამ, არაეროი მაყურებელი და მსმენელი გააოცა“.

ყურადღებას იპყრობს წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სკოლის მოსწავლეთა დღის რეჟიმი, რომელიც სავსებით სწორად ითვალისწინებდა მოსწავლეთა დასვენებას, კვებას, თეორიულ და პრაქტიკულ სწავლებას.

მოსწავლეები ზაფხულის პერიოდში დგებოდნენ 5 საათსა და 30 წუთზე, სასწავლო მეურნეობაში მუშაობდნენ 6-დან 8 საათამდე, საუზმობდნენ 9 საათზე, გაკვეთილები უტარდებოდათ 10-დან დღის 1 საათსა და 30 წუთამდე. შემდეგ კი სადილობდნენ. 4 საათიდან კვლავ მუშაობა ეწყებოდათ, რომელიც თავდებოდა 7 საათზე. 7 საათსა და 30 წუთზე ვახშმობდნენ და 9 საათიდან იძინებდნენ. ზამთრობით ეს წესი იცვლებოდა, დილიდანვე იწყებდნენ გაკვეთილებს და სხვა...

აქ მთავარი ის იყო, რომ მოსწავლეები გაკვეთილზე მოსმენილს მაშინვე პრაქტიკულად ამოწმებდნენ იქვე სასწავლო მეურნეობაში (ფერმაში), რომელიც სკოლასთანვე არსებობდა პრაქტიკის გასავლელად. აღნიშნულ სასწავლო მეურნეობას მუშები არ ჰყავდა. როგორც სახელოსნოში, ისე სასწავლო მეურნეობის ყველა დარგში, დაწყებული მიწის დამუშავებიდან და დამთავრებული მოსავლის აღებითა და შენახვით. ყველა სამუშაოს ასრულებდნენ მოსწავლეები, პრაქტიკის ხელმძღვანელი მასწავლებლების მითითებითა და ხელმძღვანელობით.

თითოეულ მოსწავლეზე მიმაგრებული იყო 70 საჟენი მიწის ნაკვეთი. მოსწავლე დაინტერესებული იყო, რომ მასზე გაპიროვნებული ნაკვეთიდან რაც შეიძლება მეტი მოსავალი მიეღო. ამისათვის ყოველგვარ საშუალებას იყენებდა: გულმოდგინედ უსმენდა მასწავლებლის რჩევას მაღალი მოსავლის მიღების გაუმჯობესე-

ბის შესახებ და შემდეგ ცდილობდა აღნიშნული საშუალებების პრაქტიკულად განხორციელებას.

მოსწავლეები ფიზიკურად მუშაობდნენ ვენახში, ხეხილის ბაღში, უვლიდნენ ფუტკარს, აბრეშუმის ჭიას. სახელოსნოში თვითონვე ამზადებდნენ და არემონტებდნენ სასოფლო-სამეურნეო იარაღებს, ეუფლებოდნენ დურგლის, მჭედლის, ზეინკლის, მეკასრისა და სხვა ხელობას. ასეთი მუშაობით აღსაზრდელები თვითონვე ხედავდნენ და რწმუნდებოდნენ, რომ მხოლოდ პრაქტიკულად შემოწმებული ცოდნაა მყარი და საიმედო.

სასწავლო-საცდელი მუშაობისას განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ვაზისა და სხვა კულტურების გამოცდასა და შესწავლას. ცდებით იმ დასკვნამდე მიდიოდნენ, რომ ვაზის ევროპული ჯიში „პედრო" გვალვიან წლებში საუკეთესოდ მწიფდება და ადგილობრივ ჯიშებთან შედარებით მეტ შაქარს შეიცავს; „კაბერნე" და „რისლინგი" კარგად მწიფდება; საგურამოს ხეობაში მოყვანილი „მუსკატი", რომელიც კარგ, სასმელად მსუბუქ ღვინოს იძლევა, უვარგისია ლიქიორის დასაყენებლად; კარგად მწიფდება და კარგ მოსავალს იძლევა აგრეთვე, „თეთრი პინო" და სხვა.

მოსწავლეები სახელოსნოში აკეთებდნენ სკამებსა და მაგიდებს სკოლის საჭიროებისათვის. მათი ნახელავი ისე კარგი იყო, რომ ხშირად განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდა. მაგალითად: კავკასიის მთავარმართებელმა გენერალ-ადიუტანტმა ს. ა. შერემეტევმა, რომელსაც თან ახლდა თავისი მეუღლე, აგრეთვე თბილისის გუბერნატორი გ. შერვაშიძე და სხვები, 1891 წლის 11 ივლისს ინახულა წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სკოლა. გენერლისათვის მოსწავლეებს საჩუქრად მიურთმევიათ თავიანთი ნახელავი—ორი ცალი დასაკეცი სკამი. ცოლ-ქმარს ძალიან მოსწონებიათ საჩუქარი და განცვიფრებულნი დარჩენილან მოსწავლეთა მიერ გაკეთებული ნივთებით და შეკვეთა მიუციათ 12 ასეთი დასაკეცი სკამის დასამზადებლად (გაზ. „ივერია", 1891, № 129).

პრაქტიკულად მეღვინეობა სკოლამ 1892 წლიდან დაიწყო, რადგან ამ დრომდე მას თავისი საკუთარი ვენახის მოსავალი არ ჰქონდა. ღვინის დაყენებას აწარმოებდნენ ევროპული წესით. სკოლის ღვინოები არაერთხელ ყოფილა გაგზავნილი სპეცი-

ალისტებთან საექსპერტოდ. ეს ღვინოები, მეტადრე წითელი ღვინო, ყოველთვის მაღალ შეფასებას ღებულობდნენ.

სანერგე ყოველწლიურად ამზადებდა 6000 ნამყენს, რაც პირველ რიგში ხმარდებოდა სკოლის მეურნეობის საჭიროებას, დანარჩენს კი უთმობდნენ მოსახლეობას. 3 წლის განმავლობაში აქედან მოსახლეობას გაუტანია 18.000 რქა. ბოსტნეულის მოსავალს კი მთლიანად სკოლა ხმარობდა.

სკოლის მუშაობა იმდენად მისაბაძი ყოფილა, რომ მას ხშირად მონაწილეობა მიუღია სასოფლო-სამეურნეო გამოფენებში და მნიშვნელოვანი შეფასებაც დაუმსახურებია.

მაგალითად, წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სკოლა, 1889 წლისა და 1901 წლის კავკასიის სამეურნეო და სამრეწველო გამოფენებზე წარდგენილი ექსპონატებისათვის დააჯილდოვეს ორი ვერცხლისა და ერთი პატარა ოქროს მედლებით იმ მუშაობისათვის, რომელიც სკოლამ, მისმა მასწავლებლებმა და მოსწავლეებმა გასწიეს ღვინის რაციონალური დაყენების, ვაზის მოშენების, სასოფლო-სამეურნეო ცოდნისა და ხელოსნობის გავრცელების საქმეში.

გამოფენაზე სკოლის პატარა ფარდულში წარმოდგენილი ყოფილა მცენარეები და მათი ნაყოფები, მოსწავლეთა მიერ დამზადებული სასმელები: ღვინო, სპირტი, ლიქიორი და სხვა. გარდა ამისა, მოსწავლეების ხელით გაკეთებული მშვენიერი ხის მაგიდა, დივანი და 6 სკამი.

კავკასიის მთავარმართებელს გოლიცინს დიდად მოსწონებია მოსწავლეების მიერ გაკეთებული მაგიდა და სკამები, და შეუძენია კიდეც 24 მანეთად.

სკოლის გახსნიდან ერთი წლის შემდეგ, ი. წინამძღვრიშვილმა თავის სასწავლებლის შესამოწმებლად მოიწვია იაკობ გოგებაშვილი, რომელმაც გულმოდგინედ დაათვალიერა და შეისწავლა სკოლის ცხოვრება. შეამოწმა მოსწავლეთა ცოდნა. დიდი ქართველი პედაგოგი აღტაცებაში მოუყვანია მცირე დროის მონაკვეთში სკოლის ესოდენ დიდ მიღწევებს, რაც წარმოადგენდა მასწავლებლების არაჩვეულებრივი ერთგულებისა და მუყაითობის, უმთავრესად კი, თვით სკოლის დამაარსებლის, ი. წინამძღვრიშვილის დიდი მზრუნველობის შედეგებს.

ი. ჭავჭავაძემ სკოლის დაარსების სამი წლისთავზე გაზ. „ივერიაში“ (1886, № 141), გამოაქვეყნა ვრცელი წერილი, რომელშიც შესანიშნავად დაახასიათა წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სკოლა.

„ბევრი ხანი არ არის,—წერდა დიდი ილია აღნიშნულ წერილში,—რაც სოფელ წინამძღვრიანთკარში, დუშეთის მაზრაში გაიმართა ქართული სამეურნეო სკოლა. ეს სკოლა გამართულია ერთი კაცის მხნეობით, ღონითა და ღვაწლითა. კაცმა დღეს რომ ამ სკოლის ყოფაცხოვრება თავის თვალით ინახულოს, სწორედ გაოცდება და მართლაც—გასაოცებელია. ჰკვირობთ, როგორ შესძლო ამოდენა ერთმა კაცმა, რომელსაც ამისათვის არც საკმაო შეძლება აქვს საკუთარი, არც მოცლა. ეს დღევანდელი ყოფა სკოლისა მარტო მის გულგაუტეხელს მხნეობას, მის ზნეობით ძალ-ღონეს უნდა მიეწეროს. რაკი ყველაფერი ეს იცი და ჰხედავ ამ სკოლის სიკეთეს, გულში გაოცებით ამბობ: დაუძინებელს მხნეობას, საქმის უანგარო და გულწრფელად სიყვარულს, ერთობ ზნეობითს ძალ-ღონეს, ერთს რაიმე სიკეთეზედ დაჟინებით და უკან დაუხევლად მიმართულს, სწორედ სასწაული შესძლებია. მართალიც არის: მოგახსენებთ, სწორედ სასწაულად მივიჩნიეთ, როცა ამ სკოლის ვითარება და გარემოება ჩვენის თვალით ვნახეთ“.

ი. გოგებაშვილი გამომცდელის თვალით უყურებდა სკოლის საქმიანობას. მას დიდად აინტერესებდა, როგორ გაამართლებდა ცხოვრება სკოლის სასწავლო გეგმას, პროგრამასა და წესდებას, რომელთა შედგენაში თვითონვე მიიღო აქტიური მონაწილეობა. სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის არაერთხელ შემოწმებითა და შესწავლით აშკარად დადასტურდა სკოლის საქმიანობის მაღალი დონე.

სათავადაზნაურო ბანკის ერთ-ერთ კრებაზე, რომელზედაც ირჩეოდა წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სკოლისათვის მუდმივი დახმარების დაწესების საკითხი, ი. გოგებაშვილმა თავის სიტყვაში შემდეგი განაცხადა:

„... ეს სკოლა როდია მარტო სასიხარულო მოვლენა, ფაქტი, ღირსი სულიერის თანაგრძნობისა და უხვის შემწეობისა. იგი ამავე დროს არის განხორციელებული პრინციპი ჰეშმარიტის განათლებისა, იმისთანა პრინციპი, რომლის გარეშე ერის ფეხზე

წამოყენება და მისი წარმატება ყოვლად შეუძლებელია, სადაც კი ჭეშმარიტის განათლების ლამპარი დანთებულია, დედა ბოძად მას ჰქონია და აქვს დედა-ენა, სწავლება დედა-ენაზედ, როგორც საუკეთესო ღონე გონების განვითარებისა და ცოდნის შეძენისა...

ჩვენში მხოლოდ წინამძღვრიანთკარის სკოლა ადგია მტკიცედ და შეურყეველად ამ დალოცვილსა და ჭეშმარიტს გზას განათლებისას; მარტო იგი ასრულებს ძირითად მცნებას პედაგოგიკისას, მხოლოდ მას უპყრია ხელში დროშა გონებრივის წმინდა ნათელისა; მარტო იგია მოშორებული კომლსა და ხრჩოლვას, რომელიც მეტნაკლებობით ტრიალებს ყველა სხვა სასწავლებელში და სულს უხუთავს მოზარდ თაობას...“ (გაზ. „ივერია“, 1890, № 77).

წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სკოლის დიდ წარმატებებზე მეტყველებს სკოლის შთაბეჭდილების წიგნში მაღალი თანამდებობისა და ოფიციალური პირების, აგრეთვე მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების ჩანაწერები, რომლებშიაც მოცემულია სკოლის მუშაობის მაღალი შეფასება.

„ჩვენ ვნახეთ თხზულება,—ვკითხულობთ გაზ. „ივერიაში“ (1887, № 131),—შესრულებული წინამძღვრიანთკარის სკოლის შეგირდებისაგან. თხზულება დაწერილი მცენარეზე შედგენილია ძალიან რიგიანად და კარგის ქართულის ენითა. აზრი-აზრს მისდევს ზედმიყოლებით და საგანი თხზულებისა თანდათან ნათლად ეხატება მკითხველს თვალწინ. თხზულებაში ჩამოთვლილია მრავალი სახელწოდებანი მცენარის ნაწილებისა, მოთხრობილია მისი ზრდისა და ნაყოფიერების ამბავი, შესაბამის სატექნიკო და საბოტანიკო სახელებით. ამ სახელებს ისმენთ და გიკვირთ, ასე როგორ ისწავლეს ყმაწვილებმა ქართული ენა, რომ საბოტანიკო ტერმინებსაც კი ასეთი სიადვილით ხმარობენო“.

1887 წლის 28 ივლისს მოწაფეთა გამოცდებს დასწრებიან: თბილისის გუბერნიის სკოლების დირექტორი დარსკი, ინსპექტორი მონასტირცევი, სკოლის ზედამხედველი მირაქოვი. სტუმრებს შორის ყველაზე საპატიონი ყოფილან: ოლღა გურამიშვილი-ჭავჭავაძისა, ილია ჭავჭავაძე, ა. მაყაშვილი, და გაზ. „ივერიის“ თანამშრომლები.

დამსწრენი დიდად კმაყოფილნი დარჩენილან გამოცდების შედეგებით, ბოლოს ი. წინამძღვრიშვილს სტუმრები ნადიმზე მიუწ-

ვევია. აქაც მოხიბლული დარჩენილან მოწაფეების ხელოვნებით — მათი სიმღერებითა და ცეკვებით.

შემდეგი წლის გამოცდებს დაესწრნენ: ეპისკოპოსი ალექსანდრე, სახალხო სკოლების დირექტორი დარსკი და სხვები. გამოცდები კარგად ჩატარდა. მოსწავლეებმა ყველა საგანში საკმაო და საფუძვლიანი ცოდნა გამოიჩინეს. გამოცდებით დიდად ნასიამოვნებმა ეპისკოპოსმა სკოლას შესწირა 25 მანეთი. გარდა ამისა, დაჰპირდა წიგნების გამოგზავნას უფასოდ.

სახალხო სკოლების დირექტორმა დარსკიმ შთაბეჭდილების წიგნში ჩაწერა შემდეგი: „1888 წლის ივნისის 27 დღესა, დავესწარი სოფელ წინამძღვრიანთკარის სამეურნეო სკოლაში ყმაწვილების გამოცდაზე და ვიხილე ყმაწვილების ნამოქმედარი ბაღში, ვენახში, ბოსტანში, საფუტკრესა და სახელოსნოში. გამოცდის დროს ნასმენმა და ნახულმა დამარწმუნა, რომ მზრუნველი სკოლისა ბ-ნი ი. წინამძღვრიშვილი და მისი თანაშემწენი ბ-ნნი მასწავლებელნი. დიდის სიყვარულით და მეცადინეობით ეკიდებიან საქმეს და ერთგულად ასრულებენ თავიანთს წმინდა მოვალეობას“ (გაზ. „ივერია“, 1888, № 140).

ეპისკოპოსი ალექსანდრე და სახალხო სკოლების დირექტორი დარსკი ყოფილან აგრეთვე, 1889 წლის გამოცდებზეც. მათზე დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია მოწაფეების მიერ თავისი ხელით გაკეთებულ სალეწავ იარაღს. გამოცდებით კმაყოფილ ეპისკოპოსს შთაბეჭდილების წიგნში ჩაუწერია: „სასოფლო-სამეურნეო სკოლა 27 თიბათვეს 1889 წელს ვიხილე და ვარ სრულიად კმაყოფილი“ (გაზ. „ივერია“, 1889, № 136).

1903 წლის 25 მაისს წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სკოლას გამოცდებზე კვლავ ეწვივნენ სტუმრები, რომლებიც გაეცნენ სკოლის მთელ საქმიანობას. აი, რას წერენ ისინი მიღებული შთაბეჭდილებების შესახებ:

„მოსწავლეთა პასუხები, როგორც ზოგად, ისე სპეციალურ საგნებში, ამტკიცებს, რომ მასწავლებლები გულმხურვალედ და სინდისიერად ასრულებენ თავიანთ მოვალეობას. ი. წინამძღვრიშვილის დაუღალავი შრომის შედეგად სკოლა თანდათან კეთდება, წარმატებაში შედის და ფრიად სასიამოვნო შთაბეჭდილებას ტო-

ვებს მნახველზე". ხელს აწერს თბილისის გუბერნიის სახალხო სკოლების ინსპექტორი პავლოვი.

„გულწრფელად მუხლს ვიდრეკ ნახულის წინაშე... ბავშვები პასუხს გვაძლევდნენ რუსულად და ქართულად თავისუფლად და სწორად". ხელს აწერს დუშეთის მაზრის უფროსი პოდპოლკოვნიკი ალ. ბაუმგარტი.

„სკოლამ საინტერესო შთაბეჭდილება იქონია ჩემზედ. აქ შეერთებულია თეორია და პრაქტიკა. ასწავლიან სწორედ ისე, როგორც ადგილობრივ ხალხს შეეფერის. პრაქტიკული ცოდნა შეგირდებისა მკვიდრია, მათი პასუხები აზროვნებას ამტკიცებს". ხელს აწერს მაზრის აგრონომი ქალანთარი.

„ჩემს ლექსიკონში ვერ ვპოულობ სიტყვებს, რომ გამოვხატო წინამძღვრიანთკარის სკოლის ის უმაღლესი და ყოველმხრივი წარმატება, რაც მე დღეს ვიხილე. საქმე ის კი არ ყოფილა, რომ სკოლები გამრავლდეს, არამედ უნდა გამრავლდნენ ნამდვილი ხელმძღვანელები და გზის მაჩვენებელნი". ხელს აწერს თბილისის მაზრის უფროსი ლევან ჯანდიერი.

სტუმრებზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოუხდენია გლეხკაცის შვილებს გორთამაშვილსა და ბექაურს, რომლებიც კარგად პასუხობდნენ როგორც ქართულად, ისე რუსულად (გაზ. „ივერია", 1903, № 114).

ერთხელ თბილისის გუბერნიის სკოლების დირექტორი შულგინი მოულოდნელად სწვევია სკოლას. იგი ცხენიდან გადმოსულა პირდაპირ სკოლის კარიბჭესთან და პირველ მოხვედრილ კლასში შესულა.

სწორედ იმ დროს აღნიშნულ კლასში რუსული ენის გაკვეთილი მიმდინარეობდა. დირექტორი შულგინი მასწავლებელს გასცნობია და შემდეგ თვითონ მას გამოუკითხავს მოწაფეებისათვის.

ბოლოს უკითხავს მე ახლა რომელ კლასში ვარო. პასუხი რომ მიუღია ეს პირველი კლასიაო, განცვიფრებით უთქვამს: „გაკვირვებული ვარ მოსწავლეების ცოდნით, მე მეოთხე კლასი მეგონაო" („დროება", 1909, № 21).

ყურადღებას იპყრობს კავკასიის სოფლის მეურნეობის ინსპექტორის აგრონომ გეევსკის ჩანაწერები სკოლის შთაბეჭდილების წიგნში, რომელშიც ვკითხულობთ შემდეგს:

„შვიდ თიბათვეს, 1899 წელს, მე დავესწარი. წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სკოლის მოსწავლეთა გამოცდებს შემდეგ საგნებში: ბაღოსნობაში, მებოსტნეობაში, მევენახეობაში, ვაზის მოვლა-მოშენებაში, ღვინის დაყენებასა და მის მოვლა-შენახვაში მარანში, დავათვალიერე სკოლისათვის აშენებული შენობები და იმათი მოწყობილობანი, ამ გარემოებით ვალდებულად ვრაცხ ჩემს თავს გამოვთქვა აზრი ამ სკოლის კეთილმსვლელობასა და ღირსებაზე.

მოსწავლეები გრძნობით და შეგნებით გვაძლევდნენ ნამდვილ და სრულს პასუხს ყველა კითხვაზე მეურნეობის იმ საგნებსა და დარგებზედ, რომლებიც დანიშნულია სკოლის გეგმაში. შეგირდები თავიანთ სამეურნეო ცოდნას ამტკიცებენ ვარჯიშობითაც" („დროება", 1909, № 87).

1907 წლიდან სკოლამ ერთგვარი რეორგანიზაცია განიცადა. ახლა უკვე აღარ იყო საჭირო ამ სკოლაში მოსამზადებელი კლასები, რადგანაც დაწყებითი სკოლები გაიხსნა ახლო-მახლო სოფლებში, ამიტომ წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სკოლაში თანდათან მცირდებოდა მოსამზადებელი განყოფილებები და ძლიერდებოდა სპეციალური კლასები.

სკოლის პირველი გამოშვება მოხდა 1889 წელს, შემდეგ კი ყოველწლიურად ამთავრებდნენ კურსს სოფლის მეურნეობის ახალგაზრდა სპეციალისტები.

წიგნში „Исторический очерк деятельности Цинамдзгвриантканской школы", რომელიც გამოიცა თბილისში 1901 წელს, მოცემულია მოკლე ანგარიში წინამძღვრიანთკარის სკოლის მოღვაწეობისა პირველი 17 წლის განმავლობაში, ხოლო წიგნში— „Тридцатилетие Цинамдзгвриантканской сельск. хоз. школы", რომელიც დაიბეჭდა პიატიგორსკში 1913 წელს, სკოლის 30 წლის მოღვაწეობაა დახასიათებული.

აღნიშნული წიგნების მიხედვით 1883 წლიდან 1912 წლამდე სკოლაში სულ მიუღიათ 623 მოსწავლე. აქედან გლეხი—400, თავადი — 50, აზნაური — 121, სასულიერო პირთა შვილები — 39 და სხვები — 13, ეროვნების მიხედვით: ქართველი — 595, სომეხი — 23, რუსი — 3 და მუსლიმანი — 2. 1889 წლიდან 1901 წლამდე მომხდარა 12 გამოშვება, სულ გამოუშვიათ 56 კურსდამთავრებული.

1913 წლისათვის სკოლაში ირიცხებოდა 153 მოსწავლე, რომელთა შორის გლეხი იყო—120, თავადი და აზნაური—26 და სასულიერო პირთა შვილები — 7. სკოლის კონტინგენტი ძირითადად შედგებოდა დუშეთის მაზრის მცხოვრებთაგან, იყვნენ აგრეთვე: გორიდან, თიანეთიდან, სიღნაღიდან, ქუთაისიდან და ოზურგეთიდან.

წინამძღვრიანთკარის სოლადამთავრებულებიდან, ვისაც შეძლება ჰქონდა მიდიოდა სწავლის გასაგრძელებლად ყირიმში ნიკიტის სახელობის საიმპერატორო საბაღოსნო და მეღვინეობის სასწავლებელში, აგრეთვე იმ დროს არსებულ რუსეთის სხვა სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლებში. სწავლის გაგრძელების მსურველებს დიდ დახმარებას უწევდა ი. წინამძღვრიშვილი. კურსდამთავრებულებიდან ყველაზე ნიჭიერებს თვითონ არჩევდა, მატერიალურადაც ეხმარებოდა მათ, უნიშნავდა ზედამხედველს, თვითონაც ირჯებოდა და ამოწმებდა მათ შემდგომ მუშაობასა და სწავლას.

კურსდამთავრებულთა უფრო დიდი ნაწილი კი რჩებოდა სამშობლოში და მუყაითად მუშაობდა სოფლის მეურნეობაში. მათ სკოლიდანვე მტკიცედ ჰქონდათ შეგნებული, რომ ცოდნა და შრომა არის ერთადერთი ღირსეული სახსარი ადამიანის სიმდიდრისა. ისინი თავიანთ კარმიდამოში თუ სხვაგან მუშაობით მაგალითის მაჩვენებელნი იყვნენ სხვებისათვის მეურნეობის გაუმჯობესებული წესით მოვლის საქმეში.

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლის კურსდამთავრებულები, რომლებიც ყველა საგანს მშობლიურ—ქართულ ენაზე სწავლობდნენ, რუსეთის სხვა სკოლებში სწავლის გასაგრძელებლად წასულნი, მკაცრი საკონკურსო გამოცდების დროს კარგ ცოდნას ამჟღავნებდნენ და ბრწყინვალე გამარჯვებას აღწევდნენ. მაგალითად, 1890 წელს იალტის ნიკიტის საბაღოსნო სკოლაში მისაღები კონტინგენტი განისაზღვრებოდა მხოლოდ 9 კაცით. მისაღებ გამოცდებზე დასაშვებად კი განცხადება შეტანილი ჰქონდა 50 ახალგაზრდას, მათ შორის იყო წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლის კურსდამთავრებუ-

ლი სიმონ ხუნდაძე, რომელმაც საუკეთესოდ ჩააბარა გამოცდები და ჩარიცხულ იქნა სკოლაში.

1887 წელს საქართველოში სტუმრად ჩამოვიდა იალტაში არსებული საბაღოსნო-სამეურნეო სკოლის გამგებელი, ცნობილი სუბტროპიკოსი აგრონომი ნიკიტინი, რომელიც ფართოდ გასცნობია წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სკოლას, იგი დიდად მოხიბლულა სტუმართმოყვარე ქართველი საზოგადოებით და ი. წინამძღვრიშვილისათვის აღუთქვამს, რომ იალტის საბაღოსნო სკოლაში მიიღებდა 15 ახალგაზრდას, რომლებსაც დამთავრებული ექნებოდათ წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი.

წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლის პირველი გამოშვებიდან ი. წინამძღვრიშვილმა იალტაში გასაგზავნად შეარჩია ნიკოლოზ ანდრონიკაშვილი, გიორგი ნახუცრიშვილი და თედორე მეგრელიშვილი. თავისი ხარჯით შეუკერა მათ საჭირო ფორმის ტანისამოსი და თვითონ გაჰყვა იალტაში.

ისინი ბათუმიდან გემით გამგზავრებულან. გზაში, როგორც ამას იგონებს გ. ნახუცრიშვილი, ილია თავის მოწაფეებთან ყოფილა, ესაუბრებოდა მათ, ურჩევდა, თუ როგორ უნდა მოქცეულიყვნენ და როგორ ესწავლათ. წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლის სამივე კურსდამთავრებულმა გამოცდების დროს მაღალი ცოდნა გამოავლინეს და ჩარიცხულ იქნენ ნიკიტის საბაღოსნო სკოლაში. აღნიშნული პირები მთელი კურსის გავლისას წარმატებით სწავლობდნენ და სკოლა წარჩინებით დაამთავრეს.

იალტაში, ნიკიტის სკოლაში მყოფ ქართველ მოსწავლეებს დიდად გაჰხარებიათ შესანიშნავი ქართველისა—ი. წინამძღვრიშვილის იქ ჩასვლა. ამის შესახებ მოგონება აქვს დაწერილი იალტის ნიკიტის სკოლის კურსდამთავრებულს, შემდეგში ცნობილ აგრონომსა და პუბლიცისტს ალ. შარაშიძეს.

ალ. შარაშიძის გადმოცემით 1889 წლის სექტემბერში, როდესაც ილია ჩასულა იქ, დაუვიწყარ დღედ გადაქცეულა არა მარტო იმ ქართველებისათვის, რომლებიც მაშინ ნიკიტის სკოლაში სწავლობდნენ, არამედ მთელი ამ სასწავლებლისათვის.

იმ დროს ნიკიტის სკოლაში ყოფილა 4 ქართველი მოსწავლე. რომელთაც აწუხებდათ ის გარემოება, რომ იქაურ მასწავლებლებს არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდათ საქართველოსა და ქართველობაზე, რადგან ისინი არ იცნობდნენ არც ერთ ისეთ გამოჩენილ ქართველს, რომელიც რაიმე ყურადღების ღირსი ყოფილიყო. ილიას ჩასვლამ იქ მყოფი ქართველები ძლიერ გაახარა. რადგან მათ ახლა შეეძლოთ რუსი თუ სხვა ეროვნების ამხანაგებისა და მასწავლებლებისათვის ეჩვენებინათ შესანიშნავი ქართველი მოღვაწე, გამოჩენილი თანამემამულე, საამაყო ადამიანი.

ილია იმ დროს მისულა სკოლაში, როდესაც პედაგოგიური საბჭოს სხდომა მიმდინარეობდა. სკოლის დირექტორს თავაზიანად მიუღია საპატიო სტუმარი და უთხოვია მონაწილეობის მიღება სკოლის თათბირში. ილია თამამად შესულა იმ ოთახში, რომელშიც საბჭოს სხდომა იყო და გასცნობია ყველას, როგორც წინამძღვრიანთკარის სკოლის მზრუნველი.

„... ილიას სიმპათიურმა და მიმზიდველმა გარეგნობამ,— იგონებს ალ. შარაშიძე,—მისმა მოხდენილმა მიხვრა-მოხვრამ და გულწრფელმა და გაბედულმა მსჯელობამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ყველაზე, მისმა მისვლამ მთელი სასწავლებელი გამოაცოცხლა, აალაპარაკა, ყველა მოხიბლა. ის ესწრებოდა გაკვეთილებს, ეცნობოდა სასწავლებლის მდგომარეობას, უკვირდებოდა წვრილმან რამეებსაც კი. იმ დროს რუსულ ენას ასწავლიდა ვინმე სოკოლოვი, იმის გაკვეთილებსაც დაესწრო და საჩუქრად გადასცა ი. გოგებაშვილის „რუსკოე სლოვო“ და მისი სწავლების მეთოდიკა. ამასთან აუხსნა და გააცნო ი. გოგებაშვილის მოღვაწეობა. ...ნიკიტაში ილიას მისვლის მიზეზი უმთავრესად ის იყო, რომ თუ ეს სასწავლებელი მას მოეწონებოდა, ეგზავნა იქ თავის სკოლაში სწავლადამთავრებული საუკეთესო შეგირდები სწავლის გასაგრძელებლად.

... ნიკიტაში ილიამ რამდენიმე კვირას დაჰყო, სანამ კარგად არ გაეცნო იქაურ სკოლას. მისმა იქ ყოფნამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მთელ სასწავლებელზე, ხოლო ჩვენ, მაშინდელი იქაური ქართველი შეგირდები, წელში გაგვასწორა. თავისთავის პატივისცემა გაგვიორკეცდა. მისი გაცნობით ჩვენს თვალში ძალიან გაიზარდა და გაკეთილშობილდა ის საგანიც, რასაც აქამდის თითქოს

უნებურად და უხალისოდ ვსწავლობდით. ილიამ შეგვაყვარა მეურნეობა და ერთიანად განაახლა ჩვენი გული და სული, მთელი ჩვენი არსება“ („სასოფლო გაზეთი“, 1913, № 43).

შემდეგ წელს. ი. წინამძღვრიშვილმა ნიკიტის საბაღოსნო სკოლაში გაგზავნილებს თან გააყოლა წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სკოლის მასწავლებელი არქიფო ტყემალაძე, რომელიც უნდა დარჩენილიყო აღნიშნულ სკოლაში და თვალყური ედევნებინა წინამძღვრიანთკარიდან წასული ქართველი მოწაფეებისათვის, აგრეთვე გასცნობოდა ნიკიტის სკოლის საქმიანობას და მიეღო საჭირო პრაქტიკა.

1892 წლის სამ ივნისს, სხვებთან ერთად, ნიკიტის სკოლას სწვევია დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე, მას განსაკუთრებული ყურადღება მიუქცევია ქართველი მოწაფეებისათვის, რომელთათვისაც შეკითხვა მიუცია, თუ სად სწავლობდით წინათო, და რაკი გაუგია, რომ წინამძღვრიანთკარის სკოლაში უსწავლიათ, მას უთქვამს—„მე კარგად ვიცნობ წინამძღვაროვსო“. ბოლოს ქართველი მოწაფეებისათვის ქართულად უთქვამს: „მშვიდობით, კარგად ისწავლეთო“ (გაზ. „ივერია“, 1892, № 88).

წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლის კურსდამთავრებულებიდან, გარდა ზემოთ დასახელებულებისა, აღსანიშნავია შემდეგი პირები: ნიკოლოზ მაკარაშვილი, შემდეგში მევენახეობისა და მეღვინეობის საქმის ინსტრუქტორი დუშეთის მაზრაში; ლევან გოგნიაშვილი, რომელმაც პრაქტიკა გაიარა მაღარაჩის ღვინის სარდაფში, შემდეგ მუშაობდა ქორეისუბნის ამერიკული ვაზის სანერგეში, იყო აგრეთვე—მევენახეობისა და მეღვინეობის ინსტრუქტორი კახეთში და სხვა; ივანე მურმანიშვილი, რომელიც მუშაობდა მებაღედ ამიერკავკასიის რკინიგზის საწმართველოში; კონსტანტინე ნაკაშიძე, შემდეგ წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლის მასწავლებელი და ილ. ჭავჭავაძის მამულის მმართველი; ალექსანდრე მაჭავარიანი, შემდეგში ბორჩალოს მაზრის მამულების მმართველი; იოსებ თარხნიშვილი, რომელიც პეტერბურგის სახელმწიფო სარდაფში მუშაობდა; აპოლონ წულაძე,—შემდეგ ცნობილი მეფუტკრე და თვალსაჩინო მწერალი, მან 1912 წელს გამოსცა მეფუტკრეობის სახელმძღვანელი. ამ წიგნმა ოქროს მედალი მიიღო და იგი რამ-

დენჯერმე გამოიცა. აღნიშნული სკოლა აქვთ დამთავრებული ძმებს გორთამაშვილებს, ვანო ნავდარაშვილს, ილია ბექაურს. აქ უსწავლია ფშაველ ნიკო ქუმსიაშვილს, რომელიც შემდეგში ცნობილი მომღერალი და ქართული ოპერის დამამშვენებელი გახდა. იგი ამ სკოლაში მიუღიათ 1908 წელს, კურსის დამთავრებისთანავე სწავლა გაუგრძელებია იალტის ნიკიტის საბაღოსნო სკოლაში. ყოფილა წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სკოლის მასწავლებელი,[1] მუშაობდა თიანეთში, გურჯაანში და სხვაგან აგრონომად. იყო მეცხვარეთა კოოპერაციული საზოგადოება „მწყემსის" აქტიური წევრი, მას შემდეგაც კი, როდესაც იგი კონსერვატორიაში სწავლობდა და ოპერის თეატრში გამოდიოდა.

ამ სკოლის კურსი 1894 წელს წარმატებით დაამთავრა აგრეთვე ხევსურმა იოსებ მინდოდაურმა, შემდეგში ნიკო ქუმსიაშვილის სიმამრმა, რომლის შესახებ უფრო დაწვრილებით ქვემოთ გვექნება ლაპარაკი.

წინამძღვრიანთკარის სკოლა აქვს დამთავრებული ჩვენს თანამედროვეს, ყვავილების მესაიდუმლეს მიხეილ მამულაშვილს. მას პირველად ამ სკოლაში შეაყვარეს ბუნების სიდიადე. ი. წინამძღვრიშვილი ნიჭსა და მონდომებას ხედავდა ყმაწვილში, ამიტომ კურსის დამთავრების შემდეგაც მას მამობრივ მზრუნველობას უწევდა შემდგომ სწავლაში.

---

[1] დამახასიათებელია ი. წინამძღვრიშვილის მიერ გაცემული ცნობა ნიკო ქუმსიაშვილის წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სკოლაში მასწავლებლობის შესახებ, ამიტომ მთლიანად მოვიყვანთ მის შინაარსს: „ამის წარმომდგენი,—ვკითხულობთ აღნიშნულ ცნობაში,—ნიკოლოზ გიორგის ძე ქუმსიაშვილი იმყოფებოდა ჩემთან წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სკოლაში სპეციალური საგნების მასწავლებლად, წელიწადნახევრის განმავლობაში მან მთლიანად გაამართლა ჩემი ნდობა თავისი დაუღალავი და სასარგებლო შრომით, საქმის ცოდნითა და სამაგალითო პატიოსნებით. ვათავისუფლებ მისი სურვილის მიხედვით, მე მოვალედ ვთელი ჩემს თავს მადლობით გავსცე მასზე ეს მოწმობა.

სკოლის მზრუნველი ი. წინამძღვაროვი. ქ. თბილისი, 1915 წ. 22 ივლისი" (ამ ცნობის დედანი ინახება ნ. ქუმსიაშვილის პირად არქივში).

მიხეილმა გაამართლა მასწავლებლის ამაგი, იგი თავისი დაუღალავი შრომისა და სკოლაში მიღებული ცოდნის ნაყოფიერად გამოყენების შედეგად, საქართველოში პოპულარული მეყვავილე გახდა.

„შენი შრომა,—წერდა შემდეგ ილია კერძო ბარათში თავის აღზრდილს,—ყველა მეურნისათვის თვალსაჩინოა. არავის ჩვენში ეგეთი საქმე თავისი დაუღალავი შრომით და ცოდნით არ გაუკეთებია. არავისგან ნივთიერი შემწეობა არ გქონია. მე ეს ვიცი და აღტაცებული ვარ სულ ყოველთვის შენი კეთილის წარმატებით და მოქმედებით, როგორც გამოჩენილი კაცი სულით და გულით ამისათვის მიყვარხარ, ჩემო სულიერო შვილო, და ვარ მეგობარი შენი ოჯახისა. შენ წმინდა, უანგარო კაცი ხარ. ღმერთმა ჰქმნას საქართველოში გამრავლდეს შენისთანა ადამიანები, მოსიყვარულენი სამშობლოსი“.

წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელში ადამაშვილის გვარით სწავლობდა დიდი ქართველი პროზაიკოსი მიხეილ ჯავახიშვილი. იგი ამ სკოლაში შევიდა 1893 წელს. კურსის დამთავრების შემდეგ კი სწავლა გააგრძელა იალტაში ნიკიტის საბაღოსნო სკოლაში.

წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელში სწავლის პერიოდში მიხეილ ჯავახიშვილს თავი უსახელებია როგორც ნიჭიერ მოწაფეს. მას აქვე გამოუმჟღავნებია მწერლობისადმი მისწრაფება. იმ დროს წინამძღვრიანთკარის სკოლაში ქართულ ენას ასწავლიდა დავით დავითაშვილი, შესანიშნავი პედაგოგი და ქართული ენისა და ლიტერატურის კარგი მცოდნე, რომელსაც დიდი მადლიერების გრძნობით იხსენიებდა მიხეილი.

მ. ჯავახიშვილი წინამძღვრიანთკარის სკოლაში იმ დროს მივიდა, როდესაც ქართული ენა თითქმის დავიწყებული ჰქონდა.

„წინამძღვრიანთკარში,—იგონებდა მიხეილი მწერალ დ. კასრაძესთან საუბარში,—ყველა საგანს ქართულად გავდიოდით. გული მერჩეოდა, რომ მშობლიურ ენას მალე დავეუფლებოდი. აქ დიდი ამაგი დამდო ქართული ენის მასწავლებელმა დავით ალექსის ძე დავითაშვილმა. რუსულ ენაზე რაღაც-რაღაცას ვბლეჯნიდი. ვაეცნო, მომიწონა და მთხოვა, აბა ახლა ქართულად გადმოვიტა-

ნოთ ეგ მოთხრობებიო, ჩამიჯდა, სულ იმას ჩამჩიჩინებდა, რომ მალე გავმართულიყავი მშობლიურ ენაში.

— შენ ნიჭიერი ხარ,—მეუბნებოდა იგი,—ვაჟკაცობა უნდა გამოიჩინო და დაეუფლო მშობლიურ ენას. უფლება არა გაქვს დამარხო შენი ნიჭი. ილაპარაკე ქართულად. ნუ გეშინია, გაგიძნელდება, მაგრამ მაინც ივარჯიშე!

ერთი წლის შემდეგ მე უკვე ვლაპარაკობდი კიდეც და კალამიც საკმაოდ მემორჩილებოდა. დავითაშვილი აღფრთოვანებული იყო. მომიჯდებოდა ხოლმე გვერდით და ხმამაღლა მიკითხავდა და მაკითხებდა ილიას პოემებს. გრიგოლ ორბელიანის „მუშა ბოქულაძეს“ ზეპირად მასწავლიდა და კილოსაც მისწორებდა. ჩვენი კლასიკოსებიდან თითქმის ყველანი გამაცნო.

— თვითეულ მწერალს თავისი სტილი აქვს, და მერე იცი, რა არის სტილი? ეს სიტყვა რომაულია. ძველად რომაელებს კალმის ნაცვლად ხელში ეჭირათ ფოლადის წვეტიანი ჯოხები და თიხის ფირფიტებზე იმითი აწერინებდნენ ასოებს. დღევანდელი მწერლის ხელში სტილი გაელვებული ხანჯლის წვერი უნდა იყოს, რომ პირდაპირ გულში ხვდებოდეს მკითხველს. განა დამშვიდებით შეიძლება წავიკითხოთ ილიას „კაცია ადამიანი“?!, ან მისი „აჩრდილი“, გინდა „კაკო ყაჩაღი“? შენც უნდა სწერო, გეხერხება კიდეც. გამოიმუშავე შენი საკუთარი სტილი, მკვეთრად მბასრავი. ამით უდიდეს სამსახურს გაუწევ შენ შენს სამშობლოს და მშობელ ხალხს,—მაქებებდა დავითაშვილი.

თქმა არ უნდა, ამხანაგებს წამოვეწეოდი. კარგია, როდესაც მადლით მოსილი ხელმძღვანელი აღმოუჩნდება ჭაბუკს, და ისიც მაშინ, როდესაც იგი სისრულეში მიდის და საკუთარი ფორმა უნდა მიიღოს.

ვერ დავემდურები თვით ილია წინამძღვრიშვილს. ნამდვილი ქართველი იყო, დიდ ილიასთან დაახლოებული. საგურამოში ყოველ წელს დაიარებოდა მასთან, ხოლო ილიაობას მოწაფეებიც მიჰყავდათ მხცოვანი მწერლის გასახალისებლად. ყველას თავისი ნობათი მიჰქონდა, რომ გაეხარებინათ ჩვენი უგვირგვინო მეფე. წინამძღვრიშვილმა მოწაფეებში სულ დარჩეული ყმაწვილები გამოარჩია. რჩეულთა შორის მეც მოვხვდი. უკეთ რომ ვთქვათ, დავითაშვილის შუამდგომლობით მეც სურვილი ამიხდინა წინამძღვრიშვილმა. საგურამოში ისე მივდიოდი, როგორც მართლ-

მ.ირწმუნე მუსლიმანი ქაბაში. პირველად ვნახე ადამიანი, რომელმაც მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარი ამოავსო და ვისი თაყვანისმცემელი გამხადა დავით დავითაშვილმა!

მოწაფეების გამოჩენაზე ილიამ დიდად გაიხარა. წამოდგა. მოგვეგება. წინამძღვრიშვილი და დავითაშვილი წინ წარუდგნენ. ეტყობოდა დიდი ილია თავის სეხნიას დიდ პატივს სცემდა.

—აქ მომიყვანეთ თქვენი დაზრდილი ბარტყები. გმადლობთ, ჩემო ძმაო, გმადლობთ!—ილიამ სათითაოდ ყველას ხელი ჩამოგვართვა.

დავით დავითაშვილმა ჩემზე შეაჩერა მისი ყურადღება:—ბატონო ილია, აი ეს ჭაბუკი დიდ იმედებს იძლევა... უსათუოდ კარგი პროზაიკოსი დადგება!

— ინებოს ღმერთმა!—შესძახა ილიამ.—თორემ კარგა ხანია მძიმე პაუზა გვსრისავს. შემცვლელი გვეჭირვება!—შემდეგ მე მომიალერსა:—აბა შენ იცი, შვილო, იბეჯითე, ისწავლე, ნიჭი არაფერია თუ მას მოვლა და განვითარება არა აქვს. ვინძლო ყველას აღემატო ვისაც აქა ჰხედავ...

ლოყები ამეწვა. ვიგრძენი, ყურებამდის გაწითლებული უნდა ვყოფილიყავ. ამასობაში ნადიმიც გაიმართა. ეს არაჩვეულებრივი სანახაობა დღესაც სიზმარეულად მეცხადება. პირველად ვნახე ქართული სუფრა, ქართული სულით, ტრადიციული ნაირ-ნაირი „მრავალჟამიერით“, სიტყვებით, სმურებით, ქართულ-კახური სიმღერებით, ცეკვა-თამაშით და იმავე დროს თვით ილიას ჯანგაუტეხელი მამითადობით, მისი ზევსური თამადობით... დარეტიანებული წამოვდექ სუფრიდან, წამოსვლისას ილიამ გამიხსენა. რამდენიმე წიგნი მაჩუქა თავის თხზულებიდან და კვლავ შეგონებით გამიმეორა: აბა ყმაწვილო, შენ იცი, იბეჯითე, არ შეგვარცხვინოო!“[1].

დიდად სასახელოა წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სკოლისათვის ის ფაქტი, რომ ჩვენს დიდ პროზაიკოს მიხეილ ჯავახიშვილს პირველად აქ ჩაენერგა სიყვარული მშობლიური ლიტერატურისადმი, მან აქ აღიდგინა და ისწავლა ქართული ენა.

ეს არის შესანიშნავი მაგალითი იმისა, რომ წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი მარტო სოფლის მეურნეობის

---

[1] დ. კასრაძე — ლიტერატურული პორტრეტები, 1962, გვ. 170—173.

სწავლით არ შემოიფარგლებოდა. აქაური მასწავლებლებისა და მისი მზრუნველის ი. წინამძღვრიშვილის დიდი შრომის შედეგად მოსწავლეებს შეძლებისდა მიხედვით სწავლის ფართო ჰორიზონტი ჰქონდათ გადაშლილი. აქ, თავისუფალ დროს, მოსწავლეები აწყობდნენ ლიტერატურულ საღამოებს, დგამდნენ წარმოდგენებს, ეუფლებოდნენ მუსიკას, ცეკვას. ამ სკოლის მოწაფეებს ერთი ასეთი წარმოდგენა გაუმართავთ 1889 წლის 15 მაისს. წარმოუდგენიათ „ძუნწი" და „პარიკმახერისას". გაზ. „ივერიის" ცნობით (1889, № 177). „... თავადაზნაურობა და გლეხობა იმდენი დასწრებია წარმოდგენაზე, რომ სკოლის დარბაზი სრულიად სავსე ყოფილა მაყურებლებით. ანტრაქტში თითონ შეგირდები მღეროდნენ თურმე ქართულს სიმღერებს და კითხულობდნენ ქართველ პოეტების ლექსებს".

ი. წინამძღვრიშვილი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა სკოლისათვის მასწავლებლის შერჩევას, რის შედეგადაც ამ სკოლის მასწავლებლები გამოირჩეოდნენ დიდი განათლებითა და პედაგოგიური გამოცდილებით. იმ დროისათვის სწავლულები ცოტანი იყვნენ, ამიტომ ძნელი იყო მასწავლებლის დათანხმება სოფელ ადგილებში წასვლაზე, მაგრამ წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სკოლა ბევრს იზიდავდა, რადგან აქ მუშაობა ყველას ეროვნულ საქმედ და სასახელოდ მიაჩნდა.

წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სკოლის პირველი გამგე იყო ერმილე კაციას ძე ნაკაშიძე, რომელმაც თავიდანვე მზრუნველობით მოჰკიდა ხელი სკოლას და სპეციალური საგნების თეორია და პრაქტიკა მჭიდროდ დაუკავშირა ერთმანეთს, შემდეგ სკოლის გამგის თანამდებობაზე მუშაობდნენ პეტრე მელია, მიხეილ ზაალიშვილი, არქიფო ტყემალაძე, სვიმონ ხუნდაძე, სვიმონ დუმბაძე, ივანე მაღალაშვილი, დავით გორთამაშვილი, მიხეილ ნანეიშვილი, არსენ წითლიძე, ნესტორ ძიძიგური, გიორგი ფურცელაძე და სხვები.

წინამძღვრიანთკარში მასწავლებლობდნენ ივანე გომელაური, ევ. კანდელაკი, ივანე ხრამელაშვილი, პოპოვი, ლუარსაბ ბოცვაძე, მერაბიშვილი, დ. დავითაშვილი, ლავრენტი ძიძიგური, კოტე ნაკაშიძე, ილია ბექაური, გრიგოლ პარკაძე, სანდრო კავსაძე, ნიკო სულხანიშვილი და სხვები.

წინამძღვრიანთკარის სკოლას ჭეშმარიტ დამფასებლებთან ერთად აღმოუჩნდნენ ისეთი პირებიც, რომლებმაც სკოლისათვის ჩირქის მოცხება მოისურვეს. მაგალითად, გაზ. „დროებაში“ (1909, № 54, 117) გამოქვეყნებული იყო წერილები, რომლებსაც ინიციალი „ტ“ ჰქონდა მიწერილი, წერილის ავტორი იწუნებდა სკოლის საქმიანობას, ისე გამოდიოდა, რომ თითქოს ამ სკოლას არავითარი სარგებლობა არ მოეტანოს საზოგადოებისათვის, ამიტომ წერილის ავტორი მოითხოვდა სკოლის დახურვას და სხვა.

ი. წინამძღვრიშვილმა იმავე „დროების“ (1909, №№ 87, 88) საშუალებით საკადრისი პასუხი გასცა აღნიშნულ კორესპონდენციებს. საპასუხო წერილს ეპიგრაფად წამძღვარებული ჰქონდა ამ მომენტისათვის საუკეთესოდ შერჩეული ბრძნული ხალხური გამოთქმა:

„ვისაც სახლი არ აუშენებია, იმას დედა-ბოძი სახლისა მიწიდამ ამოსული ჰგონიაო“. სხვათა შორის ი. წინამძღვრიშვილი წერდა: „შარშან, ოთხ სექტემბერს, 25 წელიწადი შესრულდა, რაც წინამძღვრიანთკარის სამეურნეო სასწავლებელი გაიხსნა. მანამ ეს სკოლა დაარსდებოდა წესდება სასწავლებლისა და მისი პროგრამა მივართვი ნეტარხსენებულ დიმიტრი ივანეს ძე ყიფიანს. ყიფიანმა გარჩევის შემდეგ დამიბრუნა სკოლის წესდება და მითხრა: ილია, კეთილი საქმე განგიზრახავს ჩვენს სამშობლო მკვიდრთ შვილებისათვის, მაგრამ გირჩევ ხელი აიღო, თორემ ჩვენები ლანძღვით აგიღებენო. ეს სიტყვები გამართლდა...“.

მართლაც არის ასეთი შემთხვევები. საზოგადოებაში მოიპოვებიან თითო-ოროლა ბუნებით ბოროტნი, რომლებიც თვითონ არაფერს აკეთებენ, სხვებს კი ხელს უშლიან, გულს უტეხენ იმათ, ვინც საქმისათვის თავდადებულია. სწორედ ასეთი პირები ჰყავდა მხედველობაში დ. ყიფიანს. ამიტომ წერილის გაგრძელებაში ი. წინამძღვრიშვილმა ასე დააგვირგვინა თავისი პასუხი:

„... მე ჩემი მოვალეობა შევასრულე, როგორც და რითაც შემეძლო ვემსახურე ჩემგნით დაარსებულ სამეურნეო სკოლას. ჩემი ძალ-ღონე, ცოდნა, თავისუფლება, სარჩო-ქონება უძღვენი სკოლასა და კვლავ ჩემ შრომას არ მოვაკლებ, ვიდრე იგი არსებობს, მე პირში სული მიდგას და ამ 74 წლის მოხუცს ჯანღონე მომდევს.

დარწმუნებული ვარ, რომ ამ სკოლის მოსწავლეები, სულიერი ჩემი შვილები, როგორც უკვდავმა მგოსანმა რუსთაველმა თქვა:

„მიღწვიან, მომიგონებენ,
დამლოცვენ, მოვეგონები“.

1889 წელს სკოლას უბედურება ეწვია. ხანძარი გაუჩნდა შენობას, რომელშიც თვითონ ილია და სკოლის მასწავლებლები ცხოვრობდნენ, მასშივე იყო მოთავსებული საკლასო ოთახი, შენობა ფერფლად იქცა. სახლი დაზღვეული არ ყოფილა, ზარალი 9 ათას მანეთს შეადგენდა.

„არ ვიცით, ბატონმა წინამძღვრიშვილმა ამ დიდს უბედურებას გაუძლოს, თუ მის მიერ არსებულის სკოლის თაოსნობას და პატრონობას. რას იზამ, ბედია მაყინვებელიო, ნათქვამია, რაღა ეგ უნდოდა ბ-ნ წინამძღვრიშვილს?“ ასე წერდა გაზ. „ივერია“ (1889, № 265). მაგრამ ხალხის ხახმარების შედეგად სკოლის ეს დანაკლისი მალე იქნა აღდგენილი.

წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სკოლის საქმიანობა თანდათან ფართოვდებოდა. მარტო ი. წინამძღვრიშვილი ვერ შეძლებდა საქმის გაძღოლას თუ მას გვერდში არ ამოუდგებოდა მთელი საზოგადოება. ამის შესახებ „დროებაში“ (1886, № 141), ილია ჭავჭავაძე წერდა: „... ეს ყველაფრით შემკული, ეს ფრიად სასარგებლო სკოლა, ესე კარგად და ცნობიერად დაწყობილი, ესე კარგად მიმდინარე სასწავლებელი, დღეს ერთის კაცის ზნეობითს ძალღონეზედ ტრიალებს. თვითონ საკუთარი შეძლება არა აქვს, რომ ეს სკოლა ასაზრდოოს; რასაც კი სადმე თავისის პატიოსნის შრომით ჰშოულობს, სულ ამ სკოლას ანაცვალებს: მაგრამ როდემდის ამ ტანჯვით და ვაებით გაუძღვეს ამ სკოლას? ჩვენ ისიც გვიკვირს, ან აქამდე როგორ გაუძღვა და თავი და ბოლო როგორ მოაბა მაგ მარტოხელმა, ქონებით უღონო კაცმა. ნუთუ ჩვენი ქართველი საზოგადოება არ მოხედავს, მართებულის გულ-მტკივნულობით არ მოაწვდის ხელსა საშველად და ამ სკოლას, ბევრნაირად საგულისხმოს და სასარგებლოს, სახსარს არ მისცემს, სახსარს არ მოუგროვებს ცხოვრებისა და არსებობისათვის? ამ დიდს სამაგალითო საქმეს, თითქმის არარაობით დაწყებულს, აგრე ეშვენივრად შესაბამს გზაზედ დაყენებულს, ეგრე საჭიროს ჩვენის

ქვეყნისათვის,—ნუთუ ბოლო უნდა მოეღოს ჩვენის გულგრილობითა, გაუტანლობითა, გულშეუმატკივრობითა! ცოდვაა, ცოდვა, რომ ეს მშვენივრად მიმავალი საქმე ამ სამარცხვინო დღეში ჩავაგდოთ, ცოდვაა ჩვენის ერისა, ჩვენის ქვეყნის წინაშე.

... ილია წინამძღვრიშვილი იმდენად თავდადებულია ამ საქმეზედ, რომ თავის უანგარო ჯაფას და საქმის სიყვარულით გაძლიერებულს მხნეობას არ მოაკლებს თავისის თაოსნობით გამართულს და თავისის ძალღონით გაზრდილ საქმესა, მაგრამ ჩვენ მიერაც ხელის მიწვდა უნდა, შველა უნდა; ნუ ვიცით ხოლმე, რომ ჩვენის გაჭირვების ყავარჯენს ერთ კაცზედ მივაყუდებთ საზოგადო საქმეში და ჩვენ კი გულგრილად დავიკრებთ გულზე ხელს, თითქო აქ ჩვენ არაფერს შუაში ვართო. ბატონ ილია წინამძღვრიშვილის საქმე ჩვენი საკუთარი საქმეა, იმიტომ რომ ჩვენის ქვეყნისათვის სახეირო და სასარგებლოა. იგი ამ საქმეში მარტო მესვეურია, ბერე მხნე და გამრჯელი მესვეურიცა. ჩვენც უნდა მივყვეთ. რომ სასახელო საქმე ბოლომდის სასახელოდვე გავიტანოთ.

ვავუწყებ რა სამწუხარო გარემოებას სკოლისას, რომელსაც სახსარი მეტად მცირე აქვს არსებობისათვის, ვიმედოვნებ, რომ ჭეშმარიტი ქართველი კაცი არ დაიშურებს ამ სკოლისათვის შესაწევარს თავისი შეძლებისამებრ. აქ ყოველი გროში დიდის მადლობით მიიღება და ჩვენის ქვეყნის მოზარდ ყმაწვილებს მოჰხმარდება, მის და ჩვენდა საკეთილდღეოდ".

ი. ჭავჭავაძის წერილს ფართო საზოგადოებრიობა გამოეხმაურა, მას გაზეთებმა არაერთი სტატია მიუძღვნეს და მთელი საზოგადოებისაგან, თითოეული მოქალაქისაგან მოითხოვეს „სულის თანაგრძნობასთან ერთად ჯიბის თანაგრძნობაც აღმოუჩინონ ამ სკოლას".

საბედნიეროდ სიტყვას საქმეც მოჰყვა. გაზეთი „დროება" (1886, № 162), კმაყოფილებით აღნიშნავდა, რომ ერთმა პიროვნებამ სკოლას შესწირა 1300 მანეთი.

ცხინვალში, თელავში, საჩხერეში, შორეულ ყარსში და მთელ რიგ ქალაქებსა და დაბებში იმართებოდა წარმოდგენები, აგროვებდნენ შეწირულობებს, შემოსული ფული ეგზავნებოდა წინამძღვრიანთკარის სკოლას. კერძო პირებიც მრავალი აღმოჩნდა, რომლებიც მზად იყვნენ სკოლას დახმარებოდნენ. მაგრამ ეს არ

იყო საკმარისი ამ დიდი საქმისათვის. სკოლა ასეთი შემთხვევითი შემოსავლების იმედზე ვერ დარჩებოდა, საჭირო იყო მუდმივი თანხების გაჩენა, რომ მტკიცე იმედით ემოქმედნა სკოლას. ამასთან დაკავშირებით, ჩვენი სასიქადულო პედაგოგი, ქართული „დედა-ენის“ შემდგენელი იაკობ გოგებაშვილი მხურვალე სიტყვით გამოვიდა სათავადაზნაურო ბანკის კრებაზე, იგი დაბეჯითებით მოითხოვდა ბანკისაგან სკოლისათვის მუდმივი დახმარების დანიშვნას. ი. გოგებაშვილის წინადადებას მტკიცედ დაუჭირა მხარი ი. ჭავჭავაძემ, რის შედეგადაც 1890 წლიდან ბანკმა სკოლას ყოველწლიურად დაუნიშნა 5000 მანეთი, აქედან 1000 მანეთი ღარიბი 10 მოწაფის შესანახად.

სკოლა სისტემატურ დახმარებას ღებულობდა აგრეთვე წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისაგან, ქუთაისის მიხეილის სამიწათმოქმედო ბანკისაგან, კერძო პირებისაგან გაზეთების „ივერიის“, „ნოვოე ობოზრენიის“ და „მშაკის“ საშუალებით და სხვა.

სკოლას ეხმარებოდნენ აგრეთვე სომეხი და აზერბაიჯანელი მეგობრები ეჩმიაძინის არქიეპისკოპოსმა ი. წინამძღვრიშვილის სკოლისათვის გამოგზავნა 20 მანეთი საგულისხმო წერილით, რომელშიც ქართველთა და სომეხთა მაშინდელი მდგომარეობა ნათლად იყო გამოხატული. წერილში ეწერა, რომ ქართველებისა და სომხების წარმატებები „მაშინ იქნება მკვიდრი, როდესაც ისინი ყოველ კეთილ საქმეში ძმებსავით ერთად იმუშავებენ და იღვაწებენო“ („ივერია“, 1890, № 25).

იმავე გაზეთ „ივერიაში“ (1897, № 107). გამოქვეყნებული იყო ცნობა იმის შესახებ, რომ თბილისის მოქალაქეს არტემ გაბრიელის ძე იუზბაშევს, რომელიც გარდაცვლილა იმავე წლის 30 მაისს, დაუტოვებია ანდერძი წინამძღვრიანთკარის სკოლისათვის 2000 მანეთის შეწირვის შესახებ.

ძნელია ყველას ჩამოთვლა, რომლებიც გულმხურვალედ გამოეხმაურნენ წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სკოლის განსაცდელს და აქტიური მხარდაჭერით უზრუნველჰყვეს არამცთუ ამ სკოლის არსებობის შენარჩუნება, არამედ მისი შემდგომი გაფურჩქვნა და გაძლიერება.

გარდა ფულისა, წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სკოლას კერძო პირები ეხმარებოდნენ წიგნებით, სასოფლო-სამე-

ურნეო იარაღებითა და სხვა სასწავლო ნივთებით. ასე მაგალითად: „...სკოლის პედაგოგიური საბჭო გულითად მადლობას უძღვნის ქ-ნ ანნა ნიკოლოზის ასულს იოსელიანს, რომელმაც შემოწირა ამ სკოლის ბიბლიოთეკას 35 ცალი სხვადასხვა თხზულება განსვენებულის თავისი მეუღლის პლატონ იოსელიანისა" (გაზ. „ივერია", 1890, № 116).

სკოლის პედაგოგიური საბჭო ასევე მადლობას უძღვნის თავაღ გრიგოლ გურიელს ამ სკოლისათვის სასოფლო-სამეურნეო იარაღების შეწირვის გამო" (გაზ. „ივერია", 1891, № 49).

მოახლოვდა წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სკოლის დაარსების 30 წლისთავი. გაიშალა მზადება ამ დღისათვის. მაშინდელ საზოგადოებრიობას გულით და სულით უნდოდა ამ საიუბილეო დღის აღნიშვნა, რომ საქვეყნოდ ეთქვა მადლობა დიდი მზრუნველის ილია წინამძღვრიშვილისათვის.

თვითონ ილია წინ აღუდგა აღნიშნულ განზრახვას, „მე რა მადლობა მინდა, რაც შემეძლო და რისიცა ვალდებული ვიყავი სამშობლოს წინაშე ის გავაკეთეო", ამბობდა იგი, მაგრამ ბოლოს დაითანხმეს და გადაწყდა საიუბილეო ზეიმის მოწყობა 1913 წლის 29 სექტემბრისათვის.

ნაგრამ, როგორც ცნობილია, სკოლა გაიხსნა 1883 წლის 4 სექტემბერს, ამიტომ სკოლის დამაარსებელმა და მზრუნველმა ი. წინამძღვრიშვილმა მაინც აღნიშნა სკოლის დაარსებიდან 30 წლის ვასვლის ზუსტი თარიღი.

აღნიშნულ დღეს ე. ი. 1913 წლის 4 სექტემბერს ოთხშაბათს, დილის 5 საათზე ი. წინამძღვრიშვილი წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სკოლის აღზრდილისა და შემდეგ, წლების განმავლობაში, ამ სკოლის ზედამხედველის ს. ხუნდაძის თანხლებით თბილისიდან გაემგზავრა წინამძღვრიანთკარში.

სკოლის ეზოში შეკრებილიყვნენ მოსწავლეები და მასწავლებლები, აგრეთვე სოფლელები. შეკრებილთა წინაშე სიტყვა წარმოთქვა სკოლის მაშინდელმა გამგემ არსენ წითლიძემ. მან თქვა:

„დღევანდელი დღე, ყმაწვილებო, ფრიად შესანიშნავია. დღეს ჩვენს სკოლას დაარსებიდან 30 წელი შეუსრულდა. იშვიათმა ქართველმა, ბატონმა ილია წინამძღვრიშვილმა ამ ხნის განმავლობაში გაზარდა სასწავლებელი, გააღონიერა და გაამშვენიერა იგი. ამ 30 წლის წინათ, კი აქ, მეორე იშვიათმა და დიდებულმა ქარ-

თველმა ილია ჭავჭავაძემ გლეხობას მიმართა თავისი უკვდავი სიტყვით...

...მართალია, ჩვენი ქვეყანა ულეველი სიმდიდრით არის სავსე, მაგრამ ამ სიმდიდრეს მხოლოდ შესაფერისი ცოდნით მოიხმარს კაცი. ამ შესაფერის ცოდნას ეს სკოლა იძლევა. დღეს ხსნა მხოლოდ მეურნეობაში, მიწის გამოყენებაშია. მარტო მშრალი წერა-კითხვა ახლა არავის აკმაყოფილებს. ეს სკოლა და მისი დამაარსებელი ბატონი ილია, რომელიც თქვენით, ბავშვებით ხარობს, ბევრის მხრით არის საყვარელი, მაგრამ ყველაზე უფრო კიდევ იმით არის საგულისხმო, რომ თქვენ განათლებას და ყოველივე ცოდნას სამშობლო ენაზე ითვისებთ. ჩვენი იმედი თქვენზეა დამყარებული, აქ მიღებული ცოდნა-გამოცდილება მოვალე ხართ სოფელში შეიტანოთ და ხალხს შრომა გაუადვილოთ თქვენის დახმარებით".

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა ს. ხუნდაძემ, „მახსოვს, — თქვა მან, — ამ 28 წლის წინათ, სწორედ 4 სექტემბერს, როცა ამ სკოლაში მიმააბრეს, ილია თავს ევლებოდა სკოლას, მასწავლებლებს და ბავშვებს შრომას ასწავლიდა, სიხარულს და ენერგიას უნერგავდა ყველას, ვინც გარშემო ეხვია. და დღეს, როცა შევადარე 1883 წლის 4 სექტემბერი, 1913 წელს, ჭეშმარიტად გაკვირვებული დავრჩი: ის დღესაც უკლები ენერგიით და რწმენით აკეთებს სკოლის საქმეს. 30 წლის წინათ აქ მარტო ცარიელი მინდორი იყო და დღეს აქაურობა ქალაქსა ჰგავს მრავალი საჭირო შენობით და ვეებერთელა ბაღით შემკული. ყოველივე ეს ერთი კაცის მადლიანი უნარით არის შექმნილი. მობრძანდით ბატონებო, ნახეთ და თითონ დარწმუნდით, თუ რის გაკეთება შეძლებია ქართველი ხალხის მოყვარულ ადამიანს. აი ასეთ ადამიანს უნდა გადაუხადოს ქართველმა ხალხმა ღირსეული მადლობა" (ჟურნ. „განათლება", 1913, № 7, გვ. 548).

1913 წლის 29 სექტემბერს წინამძღვრიანთკარს უამრავი ხალხი მოაწყდა. ამ დღეს აქ მოვიდნენ კავკასიაში მეფის ნაცვლის თანაშემწე, თბილისის გუბერნატორი, ეპისკოპოსი ანტონი, კავკასიაში მეფის ნაცვლის მოადგილე, სახელმწიფო ბანკის ამიერკავკასიის განყოფილების გამგე, ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობის წინამძღოლი კ. აფხაზი მაზრის მარშლებითა და დეპუტატებით, ეპისკოპოსი ლეონიდე, თბილისის ქალაქის თავი და გამგეობის წევრები ხმოსნებით, ზეიმში მხურვალე მონაწილეობა მიიღეს:

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მთავარი გამგეობის, საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების, სასკოლო კომიტეტის, თბილისისა და ქუთაისის საადგილმამულო ბანკის, თბილისისა და ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო სკოლების, სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების, დრამატული საზოგადოების, თბილისისა და ქუთაისის ქართული გიმნაზიების, სომეხთა ნერსესის სემინარიის, ქართული, რუსული, სომხური, გაზეთების რედაქციებისა და სხვათა წარმომადგენლებმა. მარტო თბილისიდან 40-მდე ეტლით ვაემგზავრნენ წინამძღვიანთკარში.

ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო სკოლის დელეგაციას ხელმძღვანელობდა ამ სკოლის მზრუნველი პეტრე წულუკიძე. დელეგაციაში შედიოდნენ სკოლის მმართველი ალ. შარაშიძე, მასწავლებლები ლ. ქიქოძე, დ. მიქაძე, რომელთაც ახლდათ ოცამდე მოსწავლე.

აღნიშნული საიუბილეო ზეიმის შესახებ ქუთაისის „სასოფლო გაზეთში“ (1913, № 45) გამოქვეყნდა შთაბეჭდილებები. აი, ერთი მათგანის მოკლე შინაარსი:

დილის 8 საათი ძლივს იქნებოდა, როცა ქუთაისიდან წამოსულებმა მცხეთამდი მოვაღწიეთ. შხაპუნა წვიმა ისიც იყო შეწყდა. ეტლი ბლომად იშოვებოდა და ჩვენს მგზავრობას აღარაფერი აბრკოლებდა. ცუდი ამინდით დამფრთხალი გული წყნარმა დილამ და სუფთა ჰაერმა გამოაცოცხლა, გაახალისა. ნახევარი საათის მზადება და ჩვენი ეტლიც დაიძრა. წინ ჩქარი ნაბიჯით, ყოჩაღად მიგვიძღვება ქუთაისის სამეურნეო სკოლის მოწაფეთა ქვეითად მიმავალი ჯგუფი.

მცხეთის მთები, აქეთ-იქით კეკლუცად აყუდებულნი უკან დარჩნენ. გზა არაგვისკენ მიდის, თვალი გაფაციცებით ევლება არე-მარეს — წყალს, მთებს, მინდვრებს — იმ ადგილებს, რომლებიც უნახავადაც ნანახი არიან, გაუცნობლადაც ნაცნობნი. პირმოკუმული ცა და შემოდგომის სუნთქვა ყველაფერს განსაკუთრებულს — წყნარს, სევდიანს და თან დიდებულ გამომეტყველებას აძლევს.

არაგვის იქით ნაპირის აღმართს გავცდით თუ არა, თბილისიდან მომავალი ეტლების მთელი წყება წამოგვეწია. ცოტა ხანი და წიწამურის ველსაც მივაღწიეთ.

უზარმაზარი შავი ხის ჯვარი და ზედ მოკლე წარწერა... ამ სანახაობით დამძიმებული გული კიდევ უფრო იკუმშება პანაშვიდის დროს.

ამ მოსახვევიდან... ამ პატარა ტყიდან... გიტრიალებს თავში. უზომო ხევდა იპყრობს გულს. ხელახალი მოძრაობა, მრავალი ეტლისა და ავტომობილის ხმაურობა შთაბეჭდილებას აყრუებს, ფიქრებს ჰფანტავს.

წინ! წინ! გეღვიძება ინტერესი ახალი ადგილების სანახავად. აი საგურამოც! ამწვანებული ბაღები, ცოტათი მოშორებით მთის კალთაზე განსვენებული ილია ჭავჭავაძის სასახლეა.

მერე სტაროსელსკის მამული... ისევ გზა. ამწვანებული სოფელი, უამრავი ეტლები და ერთი ავტომობილი შუაში გამომწყვდეული, საუცხოვო სურათს წარმოადგენს. უახლოვდებით პატარა ქალაქივით გაშენებულ კოხტა სოფელს. ეს წინამძღვრიანთკარია.

წინ ერთი ეტლი გამოგვეგება. ერთბაშად მთელი მოძრაობა შეჩერდა. ეტლიდან ჩამოდის მაღალი, კეთილშობილური სახის მოხუცი ილია წინამძღვრიშვილი და სტუმრებს ესალმება.

ილია წინამძღვრიშვილის გარეგნობა — სულიერი ახოვანების ნათლად გამომხატველია, იგი ადამიანს ხიბლავს, დიდი ხნით წარუშლელად ებეჭდება მეხსიერებაში. მის სახეზე, განსაკუთრებით სათნოებით მომზირალ თვალებში, ისეთი სიმშვიდეა გამეფებული, რომ გინდა დიდხანს უცქირო თვალმოუშორებლივ, ასე გგონია, თითქოს მისი აუმღვრეველი სიმშვიდის მოზიარე ხდები.

გითავდა გრძელი წირვა და დაიწყო დღესასწაული.

მცხოვანი აკაკი და ეკ. გაბაშვილი, ხანშიშესული პედაგოგები, ახალგაზრდა ჟურნალისტები და სხვები, ძველნი და ახალნი — ვინც ყველაფერი მოგვცა და ვისგანაც მრავალს მოველით, აქ იყვნენ თითქმის ყველანი. ...მოხუცი რაჟველი გრძნობიერ მადლობას უხდის ილიას შვილის აღზრდისათვის. იმათი კოცნა აღტაცებულ ტაშს იწვევს...

საიუბილეო-საზეიმო მიტინგზე ორატორები ორატორებს სცვლიდნენ. საგულისხმო სიტყვა წარმოთქვა გლეხმა გულბაათაშვილმა. „როცა 30 წლის წინათ, — თქვა მან, — ილია წინამძღვრიშვილი ამ სკოლის გახსნას აპირებდა, მე მაშინ გუთანზე ღამის მეხრედ ვმუშაობდი. სადაც კი რამდენიმე გლეხი შეიყრებოდა, ყველა ამ ამბავის გარშემო ლაპარაკობდა. ამბობდნენ:

ილია თავის საკუთარ ასდღიურზე მეტ სახნავ-სათეს მიწას და ტყეს უსასყიდლოდ თმობს და თავის ხარჯზე სამეურნეო სკოლას ხსნის საგურამოს ხეობის მოსახლეობისათვისო, ეს ამბავი, ვინც ილიას ახლოს იცნობდა სჯეროდა. ხოლო დანარჩენები ცოტა არ იყოს ეჭვის თვალით უყურებდნენ, და მართლაც მაშინ. ბატონყმობის გადავარდნის ცოტა ხნის შემდეგ, ვინ გაიმეტებდა ასეთ ძვირფას დოვლათს გლეხების საკეთილდღეოდ და თითონ ხელცარიელი დარჩებოდა.

მაგრამ როცა სიტყვას საქმე მოჰყვა, ეჭვიც თანდათან გაიფანტა. გაჩაღდა მშენებლობა. მუშებად ილიამ სულ გლეხები მოიყვანა, კარგ გასამრჯელოსაც აძლევდა და თან არწმუნებდა ამ საქმის დიდ მომავალში. მეც ძალიან მინდოდა მაშინ წერა-კითხვის ცოდნა, მაგრამ ჩემთვის სკოლაში მისვლა შეუძლებელი იყო, რადგან 20 წლის ვაჟკაცი ვიყავი. შემდეგში მაინც ამ სკოლის წყალობით ვისწავლე წერა-კითხვა. ხანდახან ილიას სადურგლო სახელოსნოშიც დავდიოდი. ღამის მეხრიდან რიგიანი გუთნის დედა გავხდი, და დღეს ჩემი ხელით გაკეთებული გუთნითა და ურმით ვმუშაობ. ეს სკოლა რომ არ ყოფილიყო, ალბად წერა-კითხვის უცოდინარი დავტოვებდი ამ ქვეყანას.

მაგონდება 1883 წლის ზაფხული — სკოლის გახსნის დღე. — „აი, სკოლა ჩემ ხარჯზე გავხსენი, მოდით და ისწავლეთო", — ასე მოგვმართა ილიამ. თვალწინ მიდგას აგრეთვე დიდი ილია ჭავჭავაძე, რომელმაც გამარჯვება უსურვა ამ სკოლას და ცოდნის აკვანი უწოდა მას. გამარჯვება უსურვა აგრეთვე ილია წინამძღვრიშვილს, ამ აკვანის დამდგმელს და ამ სკოლის მასწავლებლებსაც. მერე მოგვიბრუნდა გლეხებს და გვითხრა: ღმერთმა მალე შეგასწროთ იმ დროს, როცა ამ სკოლიდან გამოსულ შვილებს შეჰხაროდეთ და იმის ცოდნით ფეხზე წამოყენებულმა ოჯახმა, გაუმჯობესებულმა მამულმა დაგარწმუნოთ მამა-პაპათა ანდერძში — „ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი ჯობდეს მამასაო". ეს სიტყვები გაამართლა ამ სკოლამ. ილია წინამძღვრიშვილმა ბევრი უღელზე მჯდომი მიიყვანა სკოლაში. მათ შორის ორი ჩემი ბიძაშვილი გულბაათაშვილები, დათიკო გორთამაშვილი და ილია ბექაური, რომელთაც კარგად დაამთავრეს ეს სკოლა და დღეს ამ დღეობაზე გვეწვრებიან. დათიკო გორთამაშვილი და ილია ბექაური, როგორც კარგი მოწაფეები, ილიამ თავის ხარჯზე გაგზავნა იალტაში სწავლის გასაგრძელებლად, დღეს ორივე მათგანი ამ სკოლის თვალსაჩინო მასწავ-

ლებლები და კარგი სპეციალისტები არიან. ამათთანა რამდენი გამოზარდა ილია წინამძღვრიშვილმა.

დიდ მადლობას მოგახსენებთ მთელი გლეხობის სახელით, ჩვენი შვილებისა და ძმების პატრონობისა და განათლებულთა რიგებში ჩაყენების გამო. ახლა მარტო აღარა ხარ ამ ხეობაში. მოემატა შენ ანთებულ ლამპარს სინათლე, რასაც ჩვენ ყველანი აშკარად ვხედავთ, გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, გამარჯვებას და გამარჯვებულს კვლავ გამარჯვებას".

სიტყვის დამთავრების შემდეგ გლეხები ქუდმოხდილები ხელის ქნევით ხმამაღლა გაიძახოდნენ „გაუმარჯოს ილიას, დღეგრძელი იყოს მისი სიცოცხლეო"[1].

საზეიმო მიტინგზე საინტერესო სიტყვა წარმოსთქვა ეპისკოპოსმა ლეონიდემ. აი, როგორ შეაფასა მან ი. წინამძღვრიშვილის დიდი ღვაწლი: „მაღალი შესახედავად, ჩამოსხმული სანთელივით სწორი, არც მთლად წვრილი და არც მთლად სქელი, აბრეშუმის თეთრი თმა-წვერით შემოსილი, ღია ცისფერი საამო სითბოს მფრქვევი, სანდომიანი მომსხო თვალებით — ასეთია გარეგნული სურათი იმ სასიქადულო პირისა, რომელსაც დღეს აღფრთოვანებით თავს ევლებიან ცნობიერი ქართველები და გულითად მადლობას უხდიან, რომ ამ 30 წლის წინათ თავის საკუთარ მამულში მან მოზარდ ქართველობას, განსაკუთრებით მშრომელი კლასის შვილებს, დაუარსა სამეურნეო სასწავლებელი. ეს ბედნიერი კაცი არის ილია ივანეს ძე წინამძღვრიშვილი.

ილიას არც ცოლი ჰყავს, არც შვილი, არც ფული აქვს, არც თავშესაფარი სახლ-კარი. იყო კი დრო, როდესაც მას მამული ჰქონდა და შემოსავალიც, ფულიც მოეპოვებოდა და ხორაგიც; ახალგაზრდაც იყო და ჯანსაღი, მაგრამ ყველა ეს მან შესწირა საზოგადოების სიკეთეს, მრავალ სხვებივით მას არ შეუტრპავს შვება-ფუფუნებით ცხოვრების მორევში. მრავალ სხვებივით თავისი ქონება არ მოუპირქვავებია პირადი სიამოვნების უძირო ხვიმრში.

ამ რჩეულ გვამს გულში სიყრმიდანვე ჩავარდნილი ჰქონდა სამშობლოს სიყვარულის ცოცხალი თესლი და იმდენს ხანს ატარა იგი გულით, იმდენ ხანს ხელშეწყობით ზარდა თავისი არსებობის მაცოცხლებელი წვენით, სანამ იგი (თესლი) არ შეიმოსა საკუთარი სისხლით და ხორცით, არ გარდაიქმნა ცალკე ორგანიზმად,

---

[1] რ. გ ე დ ე ვ ა ნ ი შ ვ ი ლ ი — ილია წინამძღვრიშვილი, 1958, გვ. 27—30.

არ მომწიფდა ჯეროვნად და, თანახმად გარდუვალი ბუნების კანონის მოთხოვნილებისა, არ იშვა, ე. ი. არ მოშორდა მშობლის შინაგნობას, არ შეიქმნა დასანახ სინამდვილედ, არ ჩამოყალიბდა, რასაც წარმოადგენს დუშეთის მაზრაში დღეს არსებული წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი.

ილია ივანესძე, თუ შეიძლება ვთქვათ, განთავისუფლდა ამ ფეხმძიმობისაგან 1883 წელს. ხსენებული წლის ენკენისთვის ოთხ რიცხვს თბილისელმა გაზეთებმა აუწყეს ქართველ საზოგადოებას, რომ დღეს დუშეთის მაზრის სოფელ წინამძღვრიანთკარში დიდი დღესასწაულობის გადახდით გაიხსნება სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი და მისმა დამაარსებელმა ილია წინამძღვრიშვილმა, დაუთმო მას ყველაფერი, რაც მამა-პაპური ან თავისაგან კეთილშენაძენი უძრავ-მოძრავი ქონება გააჩნდაო. ამასთანავე იმავე გაზეთებმა მოუტანეს ქართველ საზოგადოებას ჩვენგან უღვთოდ მოკლული დიდი ილია ჭავჭავაძის სიტყვა, რომლითაც მან მისებური ხელოვნებით დაუსურათა სასწავლებლის გახსნაზე დამსწრე გლეხკაცობის ფართო შეკრებულობას, თუ რა დიდი სასიკეთო დაწესებულებას ჩაეყარა მათ თვალწინ საფუძველი. სიტყვა, რომელმაც ელექტრონივით გაურბინა მათ ფრჩხილებამდე, რომელმაც აალაპარაკა იმ დროის მთელი საზოგადოება და რომელიც დარჩა სამუდამოდ ქართული მჭევრმეტყველების უბადლო ნიმუშად.

სკოლის გახსნის შემდეგ ილია წინამძღვრიშვილმა ზოგიერთ უგულო მშობლებსავით უცხო ლალებისა და გადიების ამარა როდი დასტოვა ნორჩი სასწავლებელი. პირველიდანვე ფვითონ დაიკისრა სასწავლებელზე ზრუნვა და ჭირისუფლობა. თვითონ შეუდგა მხარში მასწავლებლებს, თვითონ ეძებდა და ირჩევდა შესაფერ გამოცდილ მასწავლებლებს, თვითონ ადევნებდა თვალყურს სწავლა-მუშაობაში ვარჯიშობის მიმდინარეობას, თვითონ ადგა დაუძინებელ დარაჯად, როგორც მოსწავლეებს, ისე მათი ხელმძღვანელების მოქმედების ყოველ მხარეს და თავიდანვე ცდილობდა სასწავლებლის პრინციპად, ტრადიციად და ატმოსფეროდ შეექმნა შრომა, პატიოსნება და საქმისათვის წრფელი თანაგრძნობა.

... ილია წინამძღვრიშვილი, მსგავსად ფრინველისა, რომელიც პირით უზიდავს ხოლმე საზრდოს ჯერ დაუფრთოვანებელ და ღიღველა ბარტყებს. 30 წლის განმავლობაში პირიდან ლუკმას იცლიდა, რომ გაეძღო, ჯანი მიეცა — ხელი შეეწყო და წელში გაე-

მართა მის მიერ დაარსებული სასწავლებელი. თუკი რამ გაჩნდებოდა სასარგებლო მისი სასწავლებლისათვის, სახელმძღვანელო იქნებოდა თუ საკითხი წიგნი, სურათი, რუკა, თუ სასკოლო ავეჯი, თუ შესამოსი, გაუმჯობესებული ჯიშის მცენარე, თესლეულობა, თუ საქონელი, ნემსის ყუნწში გაძვრებოდა, გლახაკის თოფრას ჩამოიკიდებდა და უცილობლად გააჩენდა მას საყვარელ სასწავლებელში.

ღღეს ამ მშვენიერმა მშობელმა თავისი ბარტყები ფრთებით შემოსა... როგორც ქართლ-კახეთში, ისე იმერეთ-გურიაში-ოდიშში სეტყვის გამფანტველი შუშხუნებივით ჩამოამწკრივა თავის სასწავლებელში მომზადებული მეურნეები...“ (ეურნ. „განათლება“, 1913, № 8, გვ. 600—603).

კონსტანტინე აფხაზმა თავის სიტყვაში ხაზი გაუსვა სწავლის დიდ მნიშვნელობას და აღნიშნა, რომ სიღარიბე საშიში არაა, თუ კაცი გულს არ გაიტეხს და ცოდნით შეებრძოლება მას. ორატორმა სამაგალითოდ მოიყვანა მთიულეთში გავრცელებული ერთი თქმულება, რომლის შინაარსი ასეთია:

ერთი ცხვარი შევიდა ერთი გლეხკაცის სახლში, კარების წინ მას სიღარიბე აეტუზა. ცხვარმა შეუტია, სახლში შევიდა და სიღარიბეს უთხრა: „ამ სახლში მე უნდა დავდგეო“. სიღარიბემ უპასუხა: „ნახევარი შენ დაიჭირე და ნახევარში მე დამაყენეო“.

„არაო, — უთხრა ცხვარმა, — სულ მე მინდაო“.

„ერთი კუნჭული მაინც მომეცი, იქ მივეგდებიო“, სთხოვა სიღარიბემ.

„არა, ოთხივე მე მინდაო“, უპასუხა ცხვარმა.

„რად გინდაო?“

„ერთში მე დავდგები, მეორეში ბატკანს დავაყენებ, მესამეში ყველს დავაწყობ და მეოთხეში მატყლს შევინახავო“.

გაიქნია თავი სიღარიბემ და მოშორდა იქაურობას.

მიტინგზე სიტყვებით გამოვიდნენ: სენატორი ვიტაცი, გუბერნატორი ჩერნიავსკი, საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების თავმჯდომარე ექვთიმე თაყაიშვილი, თბილისის ქალაქის თავი ხატისოვი. ილია წინამძღვრიშვილი წყნარად იჯდა მაგიდასთან და მთელი გულისყურით უსმენდა აღმაფრთოვანებელ სიტყვებს. ბოლოს წამოდგა საპატიო სტუმარი დიდი აკაკი, რომელმაც ილია წინამძღვრიშვილს მიმართა შემდეგი სიტყვებით:

„...ბატონო ილიავ! მას შემდეგ, რაც აქ წარმოითქვა თქვენ შესახებ და რაც მოვისმინეთ, მე აღარ დამრჩენია სათქმელი; მით

უფრო, რომ მოხუცებულს ენაც აღარ მემორჩილება. მაგრამ მაინც ველარ მომითმენია, რომ გულში ნადები არ გაგიმეღავნო.

სასწავლებელი ბევრი გვაქვს: საქალაქო გიმნაზიები, სხვადასხვანაირი სკოლები. ეხლა კიდევ უმაღლეს სასწავლებელსაც გვპირდებიან, მაგრამ ვერც ერთი მათგანი ასე ვერ გვხიბლავს ჩვენ, ქართველებს, როგორც ეს შენი პატარა სკოლა!... ამის მიზეზი უმეტესობას ესმის და მეც აქ არ ჩამოვთვლი. მხოლოდ ვიტყვი: შენი სკოლა მიტომ არის ჩვენთვის საყვარელი, რომ ძველი ქვა-კუთხედი არა აქვს ამოგდებული და სახელოვან საფუძველზე დგას.

იყო დრო, რომ ჩვენ ორივე ახალგაზრდა ერთმანეთს მეგობრულად ვიცნობდით. მაშინ მე გამოველოდი შენგან საგულისხმო რამ საეროვნოს და აჰა კიდეც მოვესწარ. ბედნიერი ვარ, რომ ღრმა მოხუცებულს გილოცავ ოცდაათი წლის იუბილეს" (გაზ. „თემი", 1913, სექტემბერი).

აკაკის მოკლე, მაგრამ ღრმა შინაარსიანმა სიტყვამ დამსწრენი აღტაცებაში მოიყვანა. მეტადრე ამაღელვებელი იყო ის წუთები, როდესაც ეს ორი მხცოვანი ადამიანი ერთმანეთს გადაეხვია. ტაში და ოვაცია არ ცხრებოდა.

ილია წინამძღვრიშვილს მრავალი მოლოცვის წერილი და დეპეშა მოუვიდა, მას მხურვალედ მიესალმა ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლის მზრუნველი პეტრე წულუკიძე.

საიუბილეო ზეიმის აღსანიშნავად მრავალი მისალოცი დეპეშა მოვიდა იუბილარის სახელზე.

ილია წინამძღვრიშვილსა და მის პირმშო სკოლას მხურვალედ ულოცავდნენ: ხარკოვიდან — ქართველ სტუდენტთა სათვისტომოს გამგეობა, ბათუმიდან — ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარე ელიავა, ჭიათურიდან — ქართული დრამატული საზოგადოების სახელით, ამ საზოგადოების თავმჯდომარე ს. ტარუაშვილი, ზესტაფონიდან — ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სახელით: ალ. წერეთელი, კ. საყვარელიძე, მღ. კ. ანთაძე და ვლ. ჩხეიძე. მოსკოვიდან—პეტროვორაზუმოვსკის აკადემიის სტუდენტი რცხილაძე, პეტერბურგიდან — იოსებ ყიფშიძე, ბაკოდან — ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობა, ჩაქვიდან — ს. ჭეიშვილი, გ. მეგრელიძე, მ. შარაშიძე, კასპიდან — აგრონომი არჩ. დარეჯანაშვილი და სხვები („სახალხო გაზეთი", 1913, № 1008, 1009, 1017).

დეპეშები მოვიდა საქართველოს თითქმის ყველა დაბიდან და ქალაქიდან, რუსეთის მრავალი ქალაქიდან.

ქუთაისის სამეურნეო სასწავლებელი და „სასოფლო გაზეთი" თავის ადრესში წერდა:

„უძვირფასესო ადამიანო და კეთილო მწყემსო! გილოცავთ ქუთაისის სამეურნეო სასწავლებელი და მასთან დაარსებული „სასოფლო გაზეთი" შენის უმაგალითო მხნეობით გახსნილ სკოლის 30 წლისთავის ნაყოფიერ არსებობას. იყოს უკვდავი შენი წმინდა საქმე, იყოს დღეგრძელი შენი ძვირფასი სამაგალითო სიცოცხლე".

„ბეშმარიტო მოღვაწევ და სასიქადულო მასწავლებელო! გილოცავ დღევანდელ ბედნიერს დღეს ჩვენ, თქვენგნით შექმნილ და გაზრდილ სკოლის უმცროსი ძმის — ქუთაისის სამეურნეო სკოლის შეგირდები, ვინატრით მრავალჟამიერ ყოფილიყოს თქვენი სკოლის სასარგებლო არსებობა".

ილია წინამძღვრიშვილს მცხეთელი მუშები წერდნენ: „ბედნიერია სწორედ ის კაცი, ვინც გაჰკაფა ეკლიანი გზა და გლეხის შვილებს გვერდით მოუდგა, შრომა ასწავლა მათ რიგიანი, დღეს ნიშნად სიკეთისათვის გლეხნი გიფენენ იას და ვარდსა" („სახალხო გაზეთი" 1913, № 1011).

სომხური გაზეთის „ჰორიზონტის" რედაქცია გულწრფელად ულოცავს სკოლას ფრიად სასიხარულო დღესასწაულს, კულტურული ცოდნის გავრცელებას მთელი ქართველი ერის საკეთილდღეოდ.

მგრძნობიარე დეპეშა გამოგზავნა კლავდია სერებრიაკოვამ ამ სკოლის ბულშემატკივარისა და ი. წინამძღვრიშვილის დიდი მეგობრის პროფესორ ილია ოქრომჭედლიშვილის ქვრივმა.

იუბილარს ადრესი მიართვა „ჯეჯილის" რედაქტორმა ანასტასია წერეთელმა, მანვე სკოლის წიგნთსაცავს შესწირა „ჯეჯილის" სამი წლის კომპლექტი („სახალხო გაზეთი", 1913, № 1017).

ილია წინამძღვრიშვილისა და მისი სკოლის შესახებ საგულისხმო მოგონება დაგვიტოვა რევაზ გედევანიშვილმა[1].

---

[1] რესპუბლიკის დამსახურებულმა აგრონომმა რ. გედევანიშვილმა, რომელსაც დამთავრებული ჰქონდა მიუნხენის (გერმანიაში) პოლიტექნიკური ინსტიტუტის აგრონომიული ფაკულტეტი, დიდი ნაყოფიერი მუშაობა გასწია ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეში.

1912 წლის სექტემბრის ბოლო რიცხვებში, — წერს იგი თავის მოგონებაში,—ქართული სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების დარბაზში მოხსენება გავაკეთე საქართველოში მეცხოველეობის განვითარებისა და მისი გაუმჯობესების შესახებ. მოხსენებას დაესწრო ილია წინამძღვრიშვილიც. მესამე დღეს საზოგადოების თავმჯდომარემ დიმიტრი ჩოლოყაშვილმა გამომიძახა და გადმომცა ილიას განცხადება, რომელშიაც ჩოლოყაშვილს სთხოვდა წინამძღვრიანთკარის სკოლაში ლექციები წამეკითხა მეცხოველეობაზე. ჩოლოყაშვილის წინადადებას სიამოვნებით დავეთანხმე. მანვე მომცა ილიას მისამართი და გამგზავნა მასთან სახლში. ილია ცხოვრობდა მტკვრის მარცხენა მხარეზე (ამჟამად კალინინის ქუჩა). ზარის დარეკვაზე კარი თვით ილიამ გამიღო და ღიმილით მომმართა: „ჩემ განცხადებაზე მოხვედი...“ გაუხარდა ჩემი თანხმობა და მითხრა: მაშ როგორი ბედნიერი ყოფილიყო, რომ უარი გეთქვაო, კვირას წავიღებთ წინამძღვრიანთკარში. მიგიყვან. გაგაცნობ მასწავლებლებსა და მოწაფეებს. შეთანხმდები სკოლის გამგესთან კვირის რომელ დღეს ივლი ლექციების წასაკითხავად და მერე შენ იცი.

კვირა დილით გამოვცხადდი ილიასთან. ის უკვე მზად იყო, აიღო პალტო, გადაიკიდა მარცხენა მკლავზე და გამოვედით სახლიდან. საუბრით ავედით ავჭალის ქუჩაზე (ამჟამად საბჭოს ქუჩა). ტრამვაის გაჩერებასთან მივატანეთ, მაგრამ ილია შეუჩერებლივ განაგრძობდა სიარულს. მეგონა, ლაპარაკში გართულმა, ვერ შეამჩნია ტრამვაის გაჩერება და შევახსენე. ილია მობრუნდა, შემომ-

---

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე მისი მუშაობიდან აღსანიშნავია მერძეველობის ამხანაგობის შექმნა და მშობლიურ სოფელში—გოროვანში (დუშეთის მაზრაში). მამისეულ სახლში, სკოლის დაარსება და სხვა. იყო აგრეთვე წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სკოლის მასწავლებელი.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში, როგორც აგრონომი, იგი მუშაობდა მთელ რიგ პასუხსაგებ თანამდებობაზე სოფლის მეურნეობის დარგში. მის მიერ შედგენილი სახელმძღვანელო „მსხვილფეხა რქოსანი საქონელი“ ორჯერ იქნა გამოცემული.

პირველი მონოგრაფია ილია წინამძღვრიშვილის შესახებ, რომელიც გამოიცა 1958 წელს, ეკუთვნის რ. გედეონიშვილის კალამს. იგი გარდაიცვალა 1963 წელს 76 წლის ასაკში.

ხედა, გამიღიმა და მითხრა: „გაწუხებს შაური, აბა მომეცი აქ. მეც შაურს დავადებ და ოთხ რვეულს ვიყიდიო". — ფული გამომართვა, თავისიც დაუმატა და წიგნებისა და რვეულების მაღაზიაში ოთხი რვეული იყიდა, ჩაიდო პალტოს ჯიბეში და მითხრა: „ამით ჩემს ოთხ ბიჭს გავახარებო". უზომოდ გამიკვირდა 78 წლის მოხუცის ასეთი დაუზარებლობა. სიხარულისაგან სუნთქვა შემეკრა და კარგა ხანს ხმა ვერ ამოვიღე... სადგურში მივედით, შევიძინეთ მატარებლის ბილეთები და გავემგზავრეთ. მცხეთის სადგურიდან ეტლით წავედით. წიწამურის გზას რომ დავადექით, დრო ვიხელთე და შევეკითხე, ცოლ-შვილი თუ გყავს მეთქი. ცოტა დაყოვნების შემდეგ სინანულით მიპასუხა: „მაგ მხრივ ბედი არა მქონდა, ცოლი დიდი ხანია გარდამეცვალა და არც შვილი დამრჩენია, მაგრამ უშვილობას არ ვენდური, ბედნიერი ვარ, შვილები მრავალი მყავს და როცა სკოლაში მივალთ, მათ ნაწილს ადგილობრივ ინახულებთო". როგორც კი დიდი ილიას მკვლელობის ადგილს მივატანეთ, ამოიოხრა და გულდაწყვეტით სთქვა: „ესეც შენი დიდი მოამაგე, ქვეყნის სადარი კაცი და, ნახე, თავისი წესით სიკვდილიც კი არ ვაღირსეთო". კარგა ხანს იყო ასე გულნატკენი და გაჩუმებული. გავიარეთ წიწამურის. გზა, საგურამოსაკენ შევუხვიეთ. წინამძღვრიანთკარის გზას რომ დავადექით, ჩემს თვალწინ გადაიშალა მისი ლამაზი მიდამოები. გამოჩნდა ხალხმრავალი კრებული. „აი, ხედავ, ეგენი სულ ჩემი შვილებია" — მითხრა ილიამ. ისინი სკოლის მოწაფეები იყვნენ, ვაშას ძახილით შემოგვეგებნენ, შემოეხვივნენ ეტლს ირგვლივ და კოცნიდნენ ილიას.

ილიამ თავის მხრივ მოიკითხა ისინი თავიანთი მასწავლებლებით. ამ სურათის შემხედავს, გული ამიჩუყდა და ცრემლები გადმომცვივდა. ეს ცრემლები უზომო სიხარულის განცდებით იყო გამოწვეული. როგორც იყო დაიძრა ეტლი. ილიამ მეეტლე გააფრთხილა ნელა ეავლო, რომ მოწაფეები მიჰყოლოდნენ. ასე ვიმგზავრეთ თითქმის სამი კილომეტრი... სკოლის ეზოში დაგვხვდა სკოლის გამგე არსენ წითლიძე და მთელი მასწავლებლობა თავიანთი ოჯახებით. ილიამ გამაცნო გამგე და მასწავლებლები, მოახსენა ჩემი მოყვანის მიზანი და გვითხრა: „ეხლა თქვენ იცითო". მოვითათბირეთ და შევთანხმდით, რომ ყოველ ხუთშაბათს დღეში 4—6 საათს წავიკითხავდი ლექციებს ცხოველთა მოვლა-მოშენებაზე და ამ დარგის ახალი მიმართულებით განვითარებაზე.

ლექციების კითხვას ოქტომბრიდან შეუდექი. რომელსაც მოწაფეთა გარდა, თითქმის ყველა მასწავლებელი ესწრებოდა, ასე გაგრძელდა 1913 წლის თებერვლამდე. სანამ ქუთაისის გუბერნიის საერობო აგრონომიულ ორგანიზაციაში გადავიდოდი[1].

ილია თავის სკოლაზე ფანატიკურად იყო შეყვარებული. იგი გაკვეთილებს არ აცარებდა. წერდა სახელმძღვანელოებს და გამოცდებზე ამოწმებდა მოწაფეთა ცოდნას.

— სოფელში ამოდიოდა ოთხთვალათი. — იგონებენ მის თანამედროვეთაგან დარჩენილნი, — ეტლს სოფლის გოგო-ბიჭები და სკოლის მოსწავლეები თეძმის ხევთან ორღობეში მიეგებებოდნენ. ეს შეხვედრა ტრადიციული იყო. მზრუნველი ყველას ასაჩუქრებდა. მოზრდილებს — რვეულებითა და ფანქრებით, უმცროსებს კი — ნუგბარი ხილითა და კამფეტით. ამოვიდოდა სოფელში. მოინახულებდა შვილებს, სამასწლოვან ბუმბერაზ ცხრამუხას, ეწვეოდა ცაცხვის გორას, კმაყოფილი გადახედავდა დამუშავებულ ბაღ-ბოსტნებსა და ვენახებს, სადაც მომავალი მებაღეები და მევენახეები იზრდებოდნენ[2].

უყვარდა ცაცხვის გორა. ნისლი ფიქრია მთისა და ამ დროს ისიც ბურუსში გახვეული ცაცხვის გორაზე ღრმა ფიქრებს მიეცემოდა... საკაცობრიო იყო ეს ოცნება. მას მხურვალედ სურდა ყველა ჭაბუკი და ქალიშვილი მაღალი ცოდნით ყოფილიყო შეიარაღებული.

თავისთავზე ნაკლებად ზრუნავდა. ზოგჯერ ძველი და დაკერებული პალტოთი დადიოდა.— რამ გაგიჭირვა, რომ ასეთი პალტოთი დადიხარო, — ზოგიერთები გაუბედავდნენ მას. — ამდენი ფული რომ პალტოში გავიმეტო, ჩემს შვილებს რაღა ეშველებაო, — მიუგებდა პასუხად.

ილიას უახლოესმა ნათესავმა ვახტანგ წინამძღვრიშვილმა, რომელიც ამჟამად პენსიონერია და წინამძღვრიანთკარში ცხოვრობს, ილიას ცხოვრებიდან ერთი ასეთი ეპიზოდი გაგვაცნო:

— ჯერ კიდევ პატარობისას თბილისში ვსწავლობდი, კვირაობით ილია წინამძღვრიანთკარში დადიოდა, მეც გამოვუვლიდი. ჩამისვამდა ეტლში და წამომიყვანდა. ერთხელ, კვირა დილას ჩვეუ-

---

[1] რ. გ ე დ ე ვ ა ნ ი შ ვ ი ლ ი — ილია წინამძღვრიშვილი, 1958, გვ. 21—24.

[2] გ. თ ო დ უ ა. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი — საქართველოში უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო განათლების ისტორიისათვის, 1961, გვ 17.

ლებრივად გამოვცხადდი ილიას სახლის წინ. კარებთან მაა ეტლი უცდიდა. მეეტლემ მითხრა:

— შედი სახლში, გაიგე რატომ არ მოდის ამდენხანსო. ოთახში რომ შევედი იგი პურსა და კარტოფილს შეექცეოდა. მე ვუთხარი:

— რატომ უკეთეს საჭმელს არ ჭამ?

— უკეთესი საჭმელი რომ ვჭამო ჩემს შვილებს მოაკლდება, — მიპასუხა მან.

გამიკვირდა, როგორც ვიცოდი ილიას შვილები არ ჰყავდა, მაგრამ რაიმეს თქმაც ვერ მოვახერხე. ხოლო, როდესაც წინამძღვრიანთკარში მოვედი, დიდედას ვუთხარი — ილიას შვილები ვინ არიან მეთქი. — აი, ისინია. — მიპასუხა მან და სკოლის ეზოში მოფუსფუსე მოწაფეებზე მიმითითა. ეს უფრო გასაგები შეიქნა ჩემთვის შემდეგ, როდესაც წამოვიზარდე და მოწმე გავხდი ილიას უსაზღვრო შრომის და თავდადებისა თავისი მოწაფეებისთვის.

იმავე ვახტანგ წინამძღვრიშვილის გადმოცემით, ერთხელ, როდესაც ილია ეტლით მიდიოდა სოფელში და წინამძღვრიანთკარს მიუახლოვდა, შენიშნა ბარგაკიდებული მოწაფე, რომელიც მცხეთის მიმართულებით მიდიოდა. ილიამ ეტლი მოწაფესთან გააჩერა, გამოკითხა თუ სად მიდიოდა, გამოირკვა, რომ მოწაფე რაღაც მიზეზის გამო, გამგეს სკოლიდან დაუთხოვია. ილიამ უკან დააბრუნა იგი. ხოლო როდესაც სკოლაში მივიდა, მაშინვე გამგე ინახულა. მე მესმოდა მაბი ლაპარაკი. გამგე ეუბნებოდა, რომ ამ მოწაფემ ვენახი გააფუჭა, ვერ ისწავლა მისი გასხვლაო.

— ჩემო ძმაო, — უთხრა ილიამ გამგეს, — თუ აქ ვენახი შვიდჯერ გააფუჭა და ვერ ისწავლა, სახლში ასჯერ შვიდს გააფუჭებს. თქვენ ვერ გაგიგიათ ჩვენი სკოლის დანიშნულება და ამიტომ სკოლიდან უნდა წახვიდეთო. თან სამი თვის ხელფასი აღუთქვა და შეპირდა, რომ ამ ხნის განმავლობაში ხელს შეგიწყობ სადმე სამსახურში მოსაწყობადო.

წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სკოლის მოწაფე ვ. ნახუცრიშვილი, რომელმაც შემდეგში წარჩინებით დაამთავრა არა მარტო წინამძღვრიანთკარის სკოლა, არამედ იალტაში ნიკიტის სკოლაც, იგონებს:

„პირველად ძალიან გამიკვირდა უცხო მხარეში ყოფნა. მუდამ გაპარვაზე ვფიქრობდი. და აი სწავლის დაწყებიდან ორი თვეც არ იყო გასული, რომ სასწავლებლიდან გავიპარე. სოფელ ცხვარიკამიასთან დამეწივნენ და გაქცეული უკან დამაბრუნეს.

მასწავლებლებმა ჯერ დამტუქსეს, მერე მომეფერნენ. დამიყვავეს და მითხრეს: ცუდი რამ განგიზრახავს. გულიდამ ამოიგდე ეგ ფიქრები. ისწავლე და შენი სწავლით მშობლები გაახარეო. კიდევ რომ არ გავპარულიყავი. სკოლის მღვდელთან გიორგი ასათიანთან მაცხოვრეს“ (გაზ. „კომუნიზმის გზა“. 1961. 1 ოქტომბერი).

ილია განსაკუთრებულ ქველმოქმედებას იჩენდა თავისი სოფლელების მიმართ. გარდა იმ 50 დესეტინა მიწის ფართობისა, რომელიც ილიამ სკოლას გადასცა, ის ფლობდა კიდევ 850 დესეტინა მიწის ფართობს, რომელიც არაგვის ნაპირებზე იყო გადაჭიმული. ილიამ აღნიშნული მიწის ფართობი მთლიანად გადასცა გლეხებს უსასყიდლო და უნადელო სარგებლობაში. ამასთან, შეადგინა სოფელ წინამძღვრიანთკარის კეთილმოწყობილად დასახლების გეგმა, გაიყვანა ქუჩები, სახლები მწკრივად უნდა აეშენებინათ. ილია წინამძღვრიშვილის მიერ იმ დროს ჩატარებული მუშაობის კვალი დღესაც ამჩნევია სოფელს.

ილია დიდ გულისხმიერებას იჩენდა აგრეთვე ქვრივ-ობლებისა და ხელმოკლე ადამიანების მიმართ. წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სკოლის კურსდამთავრებული ნ. ნაედარიშვილი იგონებს, რომ ილია წინამძღვრიშვილს შეკედლებული ჰყავდა უთვისტომო და უპატრონო ვინმე თალია, მას ილიამ მისცა ბინა და მიუჩინა 2—3 დესეტინა მიწა სახნავად, რითაც იგი სიკვდილამდე სარგებლობდა.

ფშავის სოფლის—არტანის მცხოვრებმა ქვრივმა ბაბალემ, რომ გაიგო წინამძღვრიანთკარში სკოლის გახსნა, თავისი პატარა შვილი იოსებ მინდოდაური ილია წინამძღვრიშვილთან მიიყვანა, ილიამ ბაბალეს სკოლაში ჯამაგირიანი სამსახური მისცა — იგი პურის მცხობლად დააყენა, ხოლო იოსები ჯერ წინამძღვრიანთკარის სკოლაში ჩარიცხა, ხოლო ამ სკოლის კურსის დამთავრების შემდეგ გაგზავნა სოფელ ედმონდოვის ვერეშჩაგინის რძის მეურნეობის სასწავლებელში, სადაც ასწავლიდნენ საქონლის მოვლა-მოშენებას, ერბო-კარაქის მომზადებას, შვეიცარიული, ფრანგული და

ხვა სახის ყველის კეთებას. სკოლის ლაბორატორიაში სწავლობდა რძის სნეულებაა და სხვა დაავადებებს.

ი. მინდოდაური, ვერეშჩაგინის სკოლის დამთავრების შემდეგ, დაბრუნდა სამშობლოში, მან ფშაველებისაგან შექმნა მეყველეობის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება, ბოლოს კი მუშაობდა ბორჩალოში ცნობილ უერმასა და ყველის სახარშ ქარხანაში, რომელიც ადრე ბარონ კუჩემბახს ჰქონდა იჯარით აღებული.

ერთხელ ბაბალე ილია წინამძღვრიშვილმა მასთან სტუმრად მყოფ ილია ჭავჭავაძეს წარუდგინა და ლექსები ათქმევინა. ბაბალემ თუმცა წერა-კითხვა არ იცოდა, მაგრამ ლექსებს ზეპირად კარგად ამბობდა. დიდმა მწერალმა სიამოვნებით მოუსმინა ფშაველ ქალს და ლექსების კარგად თქმისათვის შეაქო იგი, შემდეგ კი ბაბალეს ნათქვამი ლექსები „ივერიაში“ (1886, № 204, 220) გამოაქვეყნა სათაურით „ფშაველური ლექსები (ფშავის სოფლის არტანელის ბაბალე მინდოდაურისაგან გაგონილი)“.

დიდმა ილიამ „ივერიაში“ (1894, № 103) გამოაქვეყნა აგრეთვე ბაბალეს საკუთარი ვრცელი ლექსი — „ცეცხლის გაჩენა“, რომელშიც აღწერილია წინამძღვრიანთკარში ხანძრის გაჩენა და სკოლის შენობის დაწვა. ლექსი შეიცავს 118 სტრიქონს, იგი იწყება ასე:

„წინამძღვრიანთკარის სკოლაში
თერთმეტ ქრისტესშობისთვესა,
უცებ დამაკლდა თვალსაო,
ნუმც დავსწრებივარ იმ დღესა...
ვაჰმე ნეტავი მამკლაო;
არ უყიელავის მამალსა,
მეხი დაგვადგა თავსაო,
წინამძღვაროვის სახლებმა
ალი მოარტყა ცასაო“.

ეს ლექსი საინტერესოა, როგორც ისტორიული ფაქტის ამსახველი დოკუმენტი, აგრეთვე იმის გამოც, რომ იგი ილია ჭავჭავაძის ყურადღების ღირსი გამხდარა.

იოსებ მინდოდაურისა და ბაბალეს შესახებ ჩვენ ვესაუბრეთ იოსების შვილიშვილს, ამჟამად მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატს, ნიკო ქუმსიაშვილის ქალიშვილს როდამ ქუმსიაშვილს, რომელმაც გადმოგვცა შემდეგი:

ბაბალეს მიუღწევია 110 წლამდე და გარდაცვლილა 1923 წელს. სიკვდილამდე დიდი მადლიერების გრძნობით იგონებდა ილია წინამძღვრიშვილს, მუდამ იყო მისი მლოცველი. ისე უყვარდა ლექსი, რომ ჩვეულებრივი ლაპარაკიც ხშირად ლექსად გამოუდიოდა. რუსეთში სასწავლებელში მყოფ თავის შვილს წერილებს ლექსად წერდა. როდამმა მოიგონა აღნიშნული წერილებიდან დიდედის ნათქვამი შემდეგი ერთი ტაეპი:

„წერილის მოწერა მინდოდა,
შეეხვეწევი ღმერთსაო,
ილია წინამძღვრიშვილმა
დიდხანს უმზიროს მზესაო"..

ილია ჭავჭავაძეს და ილია წინამძღვრიშვილს, რომლებიც მეზობელ სოფელში — საგურამოსა და წინამძღვრიანთკარში ცხოვრობდნენ, მტკიცე მეგობრობა აკავშირებდათ ერთმანეთთან. მათი მეგობრობა გასული საუკუნის ათმოციანი წლებიდან დაიწყო და სიკვდილამდე არ შეუწყვეტიათ.

აღსანიშნავია, რომ სრულიად ახალგაზრდა ილია ჭავჭავაძემ თავისი შესანიშნავი პოემა „აჩრდილი" უძღვნა ილია წინამძღვრიშვილს, რაც უთუოდ საქმიანი და გულწრფელი მეგობრობის გამოხატულებას წარმოადგენდა.

ჯერ კიდევ სტუდენტი იყო ილია ჭავჭავაძე, როცა პეტერბურგიდან ილია წინამძღვრიშვილს გამოუგზავნა მეტად საიდუმლო პირადი წერილი[1], რომლის შინაარსი ასეთია:

„საყვარელო ძმაო და მეგობარო ილიკო!

ამ სტატიას გიგზავნი, ჩემი საკუთარია, თუმცა სხვა გვარი აწერია; მე არ მინდა გამოვაჩინო, რომ ეს ჩემი დაწერილია მიზეზებისა გამო სხვისა და სხვისა. შენც ძალიან შეგეხვეწები, რომ არ გამო

ამას გარდა, თუ ვინიცობაა კერესელიძემ არ დაბეჭდოს, უთხარ როგორმე, რომ ეს ზუმბერიძე რომელიმე რუსის ჟურნალში ან ვაზეთში გიჩივლებს თქო ქართველებთან და გაგირჩევს შენ საკუთარ ლექსებს თქო. ვიცი. კერესელიძეს თავად რევაზ შალვასძე ერისათავისა ეშინიან და იქნება იმისათვის არ დაბეჭდოს. ეს სტატია ჩიკვაიძეს მიხაკოს უნდა მიუტანო. აქამდის ის ქალაქში იქნება მოსული. ესე, შენი ჭირიმე და შენი კუჭისა, როგორც გეუბნები ისე მოიქეცი, ჩიკვაიძესათვის მე აქ ყველაფერი მითქომს, როგორ მიუტანოს კერესელიძეს.

შენი ძმა და მეგობარი ილიკო ჭავჭავაძე".

მკითხველი ადვილად მიხვდება, რომ სტატია, რომელიც ილია ჭავჭავაძემ გამოუგზავნა ილია წინამძღვრიშვილს კერესელიძისათვის გადასაცემად, არის ილია ჭავჭავაძის ცნობილი პირველი კრიტიკული სტატია: „ორიოდე სიტყვა რევაზ ერისთავის მიერ კოზლოვის „შეშლილის" თარგმნაზედა".

აქ საგულისხმო ის არის, რომ წერილი უაღრესად გულთბილად, მეგობრული ტონით და ნდობით აღსავსე სიტყვებითაა დაწერილი, რაც ორი სახელოვანი ილიას დიდ მეგობრობაზე ღაღადებს. ამიტომაც იყო, რომ წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლის დაარსებისა და შემდგომ ამ სკოლის მუშაობაში ილია ჭავჭავაძე ყოველთვის მხურვალედ უჭერდა მხარს ილია წინამძღვრიშვილს და აღნიშნული სკოლის ერთგული მფარველი და გულშემატკივარი იყო.

ილია ჭავჭავაძემ წინამძღვრიანთკარის სკოლას ცოდნისკარი და მეცნიერების აკვანი უწოდა. დიდი ილიას მიერ, სკოლის ამ მაღალმა შეფასებამ მრავალი ქართველი აამოძრავა სკოლისათვის დახმარების გასაწევად.

ერთხელ ილია წინამძღვრიშვილს ეწვია დიდი ილია. მეგობრები სუფრასთან საუბრობდნენ საქმიან საკითხებზე. ამ დროს ნათ ახლოს გაიარა გლეხმა თედო ბექაურმა. ი. წინამძღვრიშვილმა ის სუფრაზე მიიწვია და ღვინო დაალევინა, შემდეგ უთხრა, იცნობ თუ არა ილია ჭავჭავაძესო. ბექაურმა უპასუხა: „როგორ არ ვიცნობ ბატონო, ორივენი ღმერთმა გადღეგრძელოთ, კარგი ქომაგები გვყევხართ გლეხებს, მაგრამ ეს კი არ მომწონს, რომ ორივენი უშვილონი ბრძანდებით. ცოდო არ არის, თქვენისთანა კარგ კაცებს

შვილი არ ჰყავდეთ. მე და ჩემმა ღმერთმა, საკუთარი შვილების მამებიც რომ ყოფილიყავით, მაგას რაღა ემჯობინებოდაო".

ამ ორი დიდებული ადამიანის თანამედროვე, მცხეთელი პეტრ მარტოლეკი გადმოგვცემს შემდეგს: ერთხელ წინამძღვრიანთკარში ჭავჭავაძე ჩვენს ილიას ეწვია. აივანზე ჩაისა სვამდნენ. მე და ჩემი ამხანაგი იქვე ახლოს ვსაქმიანობდით და მათი საუბარი კარგად გვესმოდაო. უეცრად საიდანღაც გამოჩნდნენ გლეხები, ქუდები მოიხადეს და თითქმის ერთდროულად თქვეს: ბატონები ადღეგრძელოს ღმერთმაო. შემდეგ გლეხებმა წინამძღვრიშვილის გასაგონად დაიწყო თხოვნა. ერთმა თქვა, ბატონო ილია, დამიბრუნე ჩემი შვილი, სკოლიდან სულ დაითხოვე. ბატებში უნდა გავგზავნოვო. მეორემ უთხრა: ბატონო, მეხრე არა მყავს და ჩემი შვილი გამითავისუფლეო. მესამემ დაუმატა: მე ჩემი ბიჭი ნახირში უნდა გავუშვა და ახლავე მომეციო. ორივე ილიამ მათ ლაპარაკზე შეეხლები შეიკრეს. ისინი კარგა ხანს ესაუბრებოდნენ გლეხებს სწავლის მნიშვნელობაზე. გლეხები სურვილშეუსრულებელნი წავიდნენ. მწერალმა ილიამ კი ჩვენს ილიას უთხრა: ამ გლეხებს თანდათანობით დავავიწყებთ ასეთ გამოსვლებსო. ი. წინამძღვრიშვილს ხშირად დიდი აგიტაციის გაწევა სჭირდებოდა იმისათვის, რომ გლეხები დაეჯერებინა სწავლის საჭიროებაში, რომ მათ უარი არ ეთქვათ თავიანთი შვილების სკოლაში მიბარებაზე.

ილია წინამძღვრიშვილი უზომოდ დაამწუხრა დიდი ილიას მკვლელობის ამბავმა. ნაღველს იმით იქარვებდა, რომ ყოველთვის, როდესაც კი წიწამურში გაივლიდა, მკვლელობის ადგილზე დიდხანს ჩერდებოდა და ცრემლებს აფრქვევდა.

მადლიერი თანასოფლელი გლეხები ილია წინამძღვრიშვილს ხშირად აფრთხილებდნენ: ბატონო, წიწამურის გზით ნუ ივლით ხშირად, შეუბრალებელი მკვლელები თქვენც არ დაგხვდნენო. (გაზ. „ახ. კომუნისტი", 1962, № 137).

ილია წინამძღვრიშვილის სახელმძღვანელოები

ილია წინამძღვრიშვილის მიერ ქართულ ენაზე შედგენილი პირველი სახელმძღვანელო წიგნი — „ვაზის მოშენება“, გამოცემულ იქნა 1889 წელს, სწორედ წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლის კურსდამთავრებულთა პირველი გამოშვების წელს. მის თავფურცელს ამშვენებს XVIII საუკუნის დიდი ქართველი მწერლის დ. გურამიშვილის ლექსის ცნობილი სტრიქონები...

„თუ კაცსა ცოდნა არა აქვს,
„გასტანჯავს წუთი სოფელი“.

თუ რა დიდი მუშაობა გაუწევია და რა მდიდარი მასალები გამოუყენებია ავტორს აღნიშნული სახელმძღვანელოს შესადგენად, გარკვევით ჩანს წიგნის წინასიტყვაობაში, რომელშიც ვკითხულობთ შემდეგს:

„ამ წიგნის საწყის წყაროებად ჩვენ მივიღეთ მსწავლულ კაცების თხზულებანი, მაგალითად: დუბრიელისა, ბაბოსი, ფოექსისა, ცაბელისა, ვეენბერისა, ბერშისა, ედვარდ რეგოსი, აგრონომ ოქრომჭედლიშვილისა[1] და სხვათა: უხილავ და ხილულ საგნების

[1] აგრონომი ივანე ლაზარეს ძე ოქრომჭედლიშვილი (1833—1868). რომელიც იყო პროფესორ ილია ოქრომჭედლიშვილის უფროსი ძმა, 1859 წელს მეცნიერების კანდიდატის ხარისხით ამთავრებს გორიგორეცკის სამიწათმოქმედო ინსტიტუტს (იმ დროს ერთადერთი უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი რუსეთის იმპერიაში).

ინსტიტუტის კურსის დამთავრებისთანავე იგი ბრუნდება სამშობლოში და, როგორც აგრონომი, აქტიურ მონაწილეობას ღებულობს სოფლის მეურნეობის კავკასიის საზოგადოების მუშაობაში. მან 1861 წელს დააარსა პირველი ქართული სასოფლო-სამეურნეო გაზეთი „გუთნის-დედა“, რომელსაც უშუალოდ ხელმძღვანელობდა გარდაცვალებამდე.

სახელები (ტერმინები) კი ზოგი საბა ორბელიანის ლექსიკონიდამ ამოკრეფილია, ზოგი სხვადასხვა წიგნებიდამ და ზოგიც ხალხის გამოთქმიდამ".

წიგნი შედგება ოთხი კარისაგან (თავისაგან). პირველ კარში, რომელსაც ეწოდება „მცენარეთ ცხოვრება", ზოგადი საკითხებია მიმოხილული. აქ საუბარია ნიადაგის შედგენილობაზე. გარჩეულია თიხა-მიწა, ქვიშა-მიწა, კირნარი-მიწა, ნიადაგის ნაყოფიერება და მისი სხვა თვისებები. დახასიათებულია მცენარის სხვადასხვა სახეობები და მათი აგებულებანი — თესლი, ფესვი, ღერო, ფოთოლი, ყვავილი და ნაყოფი. აგრეთვე ჰაერის მნიშვნელობა მცენარის ზრდა-განვითარებისათვის. აქვე მოცემულია უჯრედისა და ქლოროფილის დახასიათება, ცალკეა საუბარი მცენარის აღმოცენების შესახებ და სხვა.

მეორე კარით, რომელსაც ავტორი „ვაზის მოშენებას" უწოდებს, იწყება სახელმძღვანელო წიგნის სპეციალური ნაწილი, რომელშიაც წარმოდგენილია ვაზის ველური და კულტურული ჯიშების ბოტანიკური და ბიოლოგიური დახასიათება.

ავტორი, როგორც მიღებულია, ვაზის სამშობლოდ თვლის ჩვენს მხარეს, ის დაწვრილებით ჩერდება ვაზის ზრდა-განვითარებისათვის საჭირო ხელის შემწყობ პირობებზე, რომელთა შორის პირველ რიგში გულისხმობს ვენახისათვის ისეთი ნაკვეთის შერჩევას, სადაც ნიადაგს საკმაო სინოყივრე გააჩნია, იმ მხარეში არ იცის ვაზის დამაზიანებელი ყინვები და ნაკვეთი დაცულია ჩრდილოეთისა და დასავლეთის ქარებისაგან. უმჯობესია ვაზის გაშენება ფერდობზე რომ მზის სხივები ყურძენს ყოველმხრივ მოხვდეს და იგი კარგად დამწიფდეს. სარწყავ ადგილებში უნდა არსებობდეს ვაზის მორწყვის საშუალებები და სხვა.

სახელმძღვანელოში დაწვრილებითაა განმარტებული, თუ როგორ უნდა ხდებოდეს ნიადაგის განოყიერება, აგრეთვე ჩამოთვლილი და დახასიათებულია ვაზის გამრავლების საშუალებები: თესლით, კვირტით და სხვა.

განმარტებულია აგრეთვე ვაზის გამრავლება რქის დაწიდვნით. ავტორი წერს, რომ დაწიდვნით ვაზის გამრავლების წესი მრავალ-

---

ივანე ოქრომჭედლიშვილი ითვლება ერთ-ერთ პირველ ქართველ აგრონომად. მას მინიჭებული ჰქონდა მაგისტრის წოდება შრომისათვის—„თამბაქოს მოყვანის შესახებ", რომელიც ცალკე წიგნად იქნა გამოცემული პეტერბურგში.

გვარია, რომელთაგან სახელმძღვანელოში მოყვანილია მხოლოდ ერთი. ამ წესის განმარტება სავსებით ისეა მოცემული, როგორც მას თანამედროვე პირობებში ასრულებენ ჩვენში ვენახის სპეციალისტები. ამასთან, წიგნში მოყვანილია ილუსტრაციები, რომლებიც უჩვენებენ ვაზის ჩაწიდვნის წესით გამრავლებას როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ.

შემდეგ სახელმძღვანელოში ლაპარაკია, თუ როგორ უნდა მომზადდეს ნიადაგი ვენახის გასაშენებლად, როგორ უნდა მოვუაროთ ვენახის ახალშენს გაშენების პირველ, მეორე და მესამე წლებში, ცალ-ცალკე წლების მიხედვით, აგრეთვე დახასიათებულია გასასხლავი, დასამყნობი და სხვა იარაღები, რომლებიც საჭიროა ვაზის მოვლა-მოშენებისა და მისი მოსავლის ასაღებად.

სახელმძღვანელოს მესამე კარში განხილულია ვაზის მოშენება ამიერ- და იმიერკავკასიაში, უფრო ფართოდაა ნაჩვენები თბილისისა და ქუთაისის გუბერნიები. გარჩეულია თელავის, სიღნაღის, გორისა და დუშეთის მაზრების, იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის, გურიისა და სამეგრელოს მევენახეთა მიერ შემუშავებული წესები ვაზის მოვლა-მოშენების საქმეში, გადმოცემულია ვაზის გასხვლის, ნიადაგის დაბარვისა და დათოხნის, ვაზის ახვევისა და გაფურჩქვნის წესები.

გარდა ამისა სახელმძღვანელოში ვენახის მოვლა-მოშენების მაგალითები მოყვანილია ელისავეტოპოლისა (განჯის) და ბაქოს გუბერნიებიდან, ყიზლიარიდან, ყაზი-კუმუხიდან და ყუბანიდან.

სახელმძღვანელოს ბოლო—მეოთხე თავი მთლიანად ეძღვნება ვაზის ავადმყოფობათა და მავნებელთა განხილვას და მათ წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებს. ვაზის ავადმყოფობებიდან და მავნებლებიდან აღნიშნულია: დაძვრა, ტყირპი, ლორწ-სიუხვე, ყვავილთ-დაცვივნა, სიყვითლე, დაშარვა, ანტონის ცეცხლი, კორძი, ნაცარი, ფილოქსერა, მილდიუ—ობი და სხვა.

ავტორს კარგად აქვს გამოყენებული თავისი დროის მეცნიერული მონაცემები მევენახეობის დარგში. ამ წიგნის გამოცემის შემდეგ, რა თქმა უნდა, მეცნიერება წინ წავიდა და ამდენად, მევენახეობაში, ბევრი რამ შეიცვალა, ბევრი რამ მოძველდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, აღნიშნულ წიგნს მაინც არ დაუკარგავს დღემდე მნიშვნელობა, როგორც ეთნოგრაფიულ-ისტორიული, ისე თანამედროვე პირობებში გამოყენების თვალსაზრისით. აკადემიკოსი

ივანე ჯავახიშვილი თავის წიგნში „საქართველოს ეკონომიური ისტორია“ (ტომი II), სამგან ასახელებს ი. წინამძღვრიშვილის „ვაზის მოშენებას“. აღნიშნული წიგნის 314-ე გვერდზე იგი იმოწმებს ი. წინამძღვრიშვილის სახელმძღვანელოდან იმ ადგილს, სადაც ლაპარაკია იმაზე, რომ „იმ ვაზს, რომლის რქასაც გადააწვენდნენ, დედა-ვაზი ეწოდებოდა, გადაწვენილს კი წიდნე. როდესაც დაწიდნული ვაზი ნიადაგში ფესვებს გაიდგამდა. მაშინ მას დედა ვაზს აშორებდნენ და ამნაირად ერთის მაგიერ კიდევ ახალი ვაზის ძირი ჩნდებოდა და ამ საშუალებით ვენახის თავისუფალ ადგილს ვაზებით ავსებდნენ“. 333-ე და 363-ე გვერდებზე ივანე ჯავახიშვილს კიდევ აქვს დასახელებული ი. წინამძღვრიშვილის სახელმძღვანელო. მას სწორად მიაჩნია ამ სახელმძღვანელოში მოყვანილი ტერმინები ვაზის „შეყელვა“ და „გაფურჩქვნა“.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ი. წინამძღვრიშვილს, როდესაც აღნიშნულ წიგნს ადგენდა, თვითონვე უხდებოდა ქართული ტერმინების შემუშავება, მართალია, ზოგიერთი ტერმინი თანამედროვე თვალსაზრისით ზუსტად არა აქვს გამოთქმული, მაგრამ მათ მაინც დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ იმ მხრივ, რომ შემდეგ ეს ტერმინები დაიხვეწა და დაზუსტდა. მაგალითად, ი. წინამძღვრიშვილი თავის წიგნში ხმარობს „წყალდედას“, რომლის საფუძველზედაც შემდეგში დამუშავდა ტერმინი — „წყალბადი“. ამ წიგნიდან ასეთი მაგლითების მოყვანა მრავლად შეიძლება.

შეიძლება ითქვას, რომ ი. წინამძღვრიშვილის „ვაზის მოშენება“ ერთ-ერთი პირველი ცდაა ქართულ ენაზე თანამედროვე ტიპის საშუალო სასწავლებლების სახელმძღვანელოების შედგენისათვის მევენახეობაში.

ილია წინამძღვრიშვილმა მეორე სახელმძღვანელო წიგნი — „მიწათმოქმედების საერთოდ და კერძოდ მოქმედების საუბარი“ შეადგინა და გამოსცა ღრმა მოხუცებულობის ჟამს — 1919 წელს. წიგნის თავფურცელზე და ეარეკანზე ეპიგრაფად წარწერილია:

„დედა-მიწაა ძარღვი ყველა ცხოველთა
და მცენარეთა ცხოვრებისა“.

განმეორებულია აგრეთვე პირველი სახელმძღვანელო წიგნის ეპიგრაფი დ. გურამიშვილის ლექსიდან:

„თუ კაცსა ცოდნა არა აქვს,
გასტანჯავს წუთი სოფელი“.

წიგნის შესავალი ნაწილი, რომელსაც ეწოდება „პირი ბუნებისა“ პირველი სახელმძღვანელო წიგნიდანაა თითქმის უცვლელად გადმოტანილი, ამიტომ აქ ამაზე მკითხველის ყურადღებას არ მოვაცდენთ.

მეორე თავში, რომელსაც ეწოდება — „მიწად-მოქმედება“, ზოგადადაა დახასიათებული ნიადაგი, აქ ლაპარაკია „მსუქანი, ალქათი, მჩატე, გამოფიტული და ჯანდაკი“ მიწის შესახებ. „მსუქანი მიწა, — ვკითხულობთ სახელმძღვანელოში, ის მიწაა, რომელსაც სინოყიერე და საკვები აქვს. ამისათვის შავ მიწას ნოყიერ მიწას ეძახიან“. შემდეგ ავტორი ახასიათებს ორგანული სასუქის შემადგენლობას და მნიშვნელობას. „მიწა, — ამბობს იგი, — კაცს აძლევს საკვებს, პურს, ხორცს და ყველა სანოვაგეს დღიური ცხოვრებისათვის. ამ გარემოებით ჩვენ უნდა გვიყვარდეს ჩვენი მიწა-წყალი. მიწას ისე უნდა მოვუაროთ, ყური ვუგდოთ, როგორც ჩვენ თავს“.

აქ ავტორი აკეთებს მოკლე ისტორიულ ექსკურსს, აღნიშნავს ადამიანის ველურ პირობებში ცხოვრებას, როდესაც არ იცოდნენ მიწის დამუშავება, შემდეგ კი აღწერილია თუ როგორ ისწავლეს კულტურული მიწათმოქმედება და სხვა.

შემდეგ თავში, რომელსაც ავტორი უწოდებს „რამდენად იყოფება აგრონომიის სწავლა მოქმედება“ დახასიათებულია მიწის დამუშავების წესები, განმარტებულია თუ როგორ შეიძლება მლაშე მიწის გამოკეთება სისტემატური მოხვნითა და მასზე სხვადასხვა მცენარეების დათესვის გზით.

დახასიათებულია მიწის ფორების მნიშვნელობა თესლის აღმოცენებისათვის, აღნიშნულია თუ რამდენი თესლი მოუნდება ერთ დღიურ მიწას. აღწერილია გუთანი და მისი ნაწილები, ქართული გუთნის ნაკლოვანებანი, პურის თესლი და სათესლე მასალის შენახვა, პურის სამშობლო, პურის მარცვლის შედგენილობა. მოთოხნა, დაფარცხვა, მკა, ლეწვა. შემდეგ ლაპარაკია ქერის, სიმინდის, ლობიოს, შვრიის, ფეტვის, ოსპის, მუხუდოს, უგრეხელის, სართავი მცენარეებისა და სხვათა შესახებ.

მესამე თავს ავტორი უწოდებს „საუბარი სანოვაგე მცენარეთა გამრავლებაზე“, რომელშიც მოცემულია ლობიოს, სელის, ზეთოვანი მცენარეების, მდოგვის, მზესუმზირას, ბოლქვოვანი და საღებავი (ენდროს) მცენარეების ფართოდ დახასიათება.

აღნიშნულმა წიგნებმა თავის დროზე ჩვენს მოსწავლე ახალგაზრდობას დიდი სამსახური გაუწიეს ვაზის მოვლა-მოშენებისა და მიწათმოქმედების საფუძვლების შესწავლის საქმეში, ისინი ამჟამადაც მნიშვნელოვან მემკვიდრეობას წარმოადგენენ სოფლის მეურნეობის აღნიშნული დარგების ლიტერატურაში.

ილია წინამძღვრიშვილი პუბლიცისტი

ილია წინამძღვრიშვილი სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა XIX საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში, როდესაც იგი უკვე ჩამოყალიბებული იყო, როგორც საზოგადო მოღვაწე და უაღრესად საქმიანი ადამიანი.

მისი სტატიები იბეჭდებოდა თავისი დროის თითქმის ყველა ჟურნალსა და გაზეთში: „დროებაში", „ივერიაში", სახალხო გაზეთში", „კვალში", „საქართველოში", „ცნობის ფურცელში", „სასოფლო გაზეთში", „თემში"; ჟურნალებში: „ივერიაში", „მოსავალში", „თეატრში", „ჯეჯილში", „განათლებაში", „მეურნეში"...

ი. წინამძღვრიშვილის პუბლიცისტური სტატიები და ნარკვევები უმთავრესად ეხებოდა — საყოფაცხოვრებო, პედაგოგიურ, კულტურულ-საგანმანათლებლო, ეთნოგრაფიულ და სხვა საკითხებს, აგრეთვე მეფის მოხელეთა ბიუროკრატიულ მოქმედებას, უმთავრესად კი სოფლის მეურნეობასა და სოფლის ცხოვრებას.

ილიას ფსევდონიმები იყო: ხორეშან გვერდწითელი, ხორეშან ლოყაწითელი, ზოგჯერ პირდაპირ ნამდვილი გვარითა და სახელით გამოდიოდა. ბევრი სტატია ხელმოუწერლად აქვს გამოქვეყნებული, ზოგს კი ინიციალებს აწერდა და სხვა.

1881 წლის „დროების" ნომრებში, ხორეშან გვერდწითელის ფსევდონიმით, ი. წინამძღვრიშვილმა გამოაქვეყნა რამდენიმე სტატია, რომელთა საერთო სათაური იყო: „ახალი სნეულება".

პირველ სტატიაში („დროება" № 168) ლაპარაკია ჩვენი წინაპრების ოჯახურ ყოფა-ცხოვრებაზე, რომელსაც ახასიათებდა: სიწმინდე, ზრდილობა, სიდარბაისლე, ცოლ-ქმარს შორის ხათრი, დედ-მამისა და უფროსებისადმი მორიდება. ამავე დროს ავტორი უკმაყოფილებას გამოსთქვამდა თავისი დროის საზოგადოების იმ ნაწილისადმი, რომელსაც ახასიათებდა მხოლოდ მოდებით გატაცება, ოჯახში უსიამოვნება. რის შედეგადაც ცოლი გაურბოდა

ქმარს, ან ქმარი ტოვებდა ცოლს. უპატრონოდ რჩებოდა ბავშვები და სხვა.

„ჩვენ, — აღნიშნავს ილია. შენიშნული გვყვანან ბევრი ყმაწვილ ქალობა, რომელთაც თითქმის არ იციან თავიანთი დედა-ენა. ვინც კი იცის წერა-კითხვა ისიც ერიდება ქართული წიგნების კითხვას. არა აქვთ სურვილი გაიგონ, რომ ყველა ტომს უნდა უყვარდეს, უმეტესად თავისი სიცოცხლისა, თავისი ქამული და დედა-ენა. ვინც თავისი ენა არ იცის — ის სხვა ენასაც კარგად ვერ შეისწავლის".

ი. წინამძღვრიშვილი მოითხოვდა, რომ მოწაფემ პირველად საგნები უნდა ისწავლოს თავის მშობლიურ ენაზე, შემდეგ კი შეუდგეს სხვა ენის სწავლასო.

„ქალი თუ ვაჟი, — ამბობდა იგი, უნდა იყვნენ შეროშაში შეზრდილნი, დედ-მამის მეგობარნი და ჰქონდეთ იმათ ის ახლი გამოხატული, რომ არა თუ ადამიანს, არამედ პირუტყვსაც კი უყვარს თავისი შვილები".

ილიას აზრით ოჯახი უნდა იყოს ცოლ-ქმრისათვის წმინდათა-წმინდა ტაძარი. ისინი მტკიცედ უნდა ედგნენ მხარში ერთმანეთს და ერთიანი ძალით ზრუნავდნენ ოჯახის კეთილდღეობისათვის, ზრდიდნენ სამშობლოსათვის სახელოვან შვილებს.

მეორე წერილში („დროება" № 180), ილია ეხება ნდობისა და რწმენის საკითხებს. „ძველ დროში, — ამბობს იგი, — ჩვენს წინაპრებს ერთმანეთის ნდობა და რწმენა ჰქონდათ. ჭირში და ლხინში ერთმანეთის თანამოზიარენი იყვნენ, მაგრამ მოვიდა დრო, როდესაც შეიძლება კაცმა კაცი მოატყვილოს, კაცმა კაცს ულალატოს, სიკეთის მაგივრად ბოროტი გადაუხადოს და ქვეყნისა და სამართლის წინაშე მაინც მართალი გამოვიდეს".

ილია დიდ უკმაყოფილებას გამოსთქვამდა ჩინოვნიკობით გატაცებულობისა და იმ პირებისადმი, რომლებიც გონებას ჰკარგავდნენ ჩინ-მედლებისათვის. იგი ამბობდა:

„ამგვარმა ყმაწვილებმა ბევრი ოჯახი დაღუპა, ისინი კარგად ჩაცმულნი, გაწკეპილნი, წინათვე დაბრმავებულნი, გახდნენ კარდა კარ მატანტალანი, ქუჩების მტკეპნავნი...".

მესამე წერილის („დროება". № 210) საუბრის საგანია შვილების აღზრდა. ილიას არ მოსწონს თავისი დროის ზოგიერთი ოჯახი, სადაც ბავშვებს აღმზრდელებად მიჩენილი ჰყავთ ბრიყვი და გაუზრდელი „გუვერნანტკები", „ლაქიები" და „პოვრები", რო-

მელთაგან ბავშვები სწავლობენ მხოლოდ უწმაწურ სიტყვებს, ცრუმორწმუნოებას, სიავესა და ყოველგვარ უწესოებას.

„ცუდი მაგალითები, — ამბობს ილია, — შინაურ ცხოვრებისა, თავიანთ დედ-მამისა და მოსამსახურეებისა, იმათთვინ ხდება დიდ მაგალითად. ამით ჩვენი ყმაწვილები ოჯახშივე ირყვნებიან".

მეოთხე წერილი („დროება", № 222) მიძღვნილია ქართული თეატრისადმი. ილია ჩვენი თეატრის ადრეულ საქმიანობას ახალ მოზარდ დაკოპლებულ ყმაწვილს ადარებს, მაგრამ კმაყოფილებას იამოსთქვამს იმის გამო, რომ უკანასკნელ ხანებში ეს მდგომარეობა ცოტათი გამოსწორდა. სცენაზე გამოჩნდნენ ნიჭიერი მსახიობები: საფაროვა, გაბუნია, აბაშიძე, ყიფიანი, მესხი და სხვები. რომელთა თამაშს აღტაცებაში მოჰყავდა თეატრის მოყვარული საზოგადოება.

ი. წინამძღვრიშვილი მიმოიხილავს ქართული თეატრის მაშინდელ დადგმას — „დაქცეული ოჯახი", რომელშიაც წარმოდგენილი იყო სუსტი ნებისყოფის მქონე ცოლ-ქმრის ურთიერთობა, რამაც საბოლოოდ ოჯახი დაქცევამდე მიიყვანა.

„საფაროვას ასულმა და მესხიევმა,—წერს ილია,—რამდენიმე საათის განმავლობაში გამოიარეს ის ტანჯვა, რა ტანჯვაშიაც ყოფილიყვნენ მაიკო და მისი ქმარი.. ესრეთი თამაში ამტკიცებს მოთამაშეთა დიდ ნიჭიერებასა და ღირსებას. თავის როლებში შეუდარებელნი იყვნენ ყიფიანი და გაბუნიას ქალი".

ი. წინამძღვრიშვილი თავის წერილში მიუთითებს თეატრისა და მსახიობების მაღალ დანიშნულებაზე. აღნიშნავს, რომ აქტიორებს კარგად უნდა ესმოდეთ თეატრის მნიშვნელობა. ჰქონდეთ განათლება, იჩენდნენ ნიჭსა და ხელოვნების სიყვარულს, ახსოვდეთ, რომ თეატრი არის სახალხო ტაძარი, სადაც ლამპარივით უნდა ბრწყინავდეს სინიდისი და პატიოსნება".

მეხუთე წერილში („დროება", № 267) კვლავ თეატრის ცხოვრებაზეა ლაპარაკი. აღწერილია ის მუშაობა,, რომელიც ჩაატარა თეატრის „ამხანაგობის მმართველობამ" 1880 წლის 22 ივნისამდე. გაკრიტიკებულია „დრამატიული საზოგადოების" საქმიანობა.

ი. წინამძღვრიშვილმა ორი წერილი მიუძღვნა „ვეფხისტყაოსნის" ცნობილი ილუსტრატორის მიხაი ზიჩის ღვაწლს ჩვენი ხალხისათვის. მან აღწერა მ. ზიჩის მიერ მოწყობილი ცოცხალი სურათების სცენები, რომელშიაც მონაწილეობას ღებულობდნენ სპეციალურად შერჩეული ქართველი ტიპები.

„რამდენიმე საათში,- წერდა ილია („დროება“, 1882, № 27).— ზიჩმა დაგვანახა ჩვენ სცენიდან რუსთაველის ცოცხალი გმირები და გადმოგვცა „ვეფხის ტყაოსნის“ მთელი შინაარსი. ამ შემთხვევაში მიიღეს მონაწილეობა ჩვენმა ქართველმა ქალებმა, იმ ქალებმა, რომელნიც არიან ჩვენში გამოჩენილნი თავისი სილამაზით, ნაზობით და სახის მეტყველებით. ამათ თავისი თვისებებით და ჩაცმა-დახურვით წარმოგვიდგინეს ის ძველი ქართველი ქალები, რომელნიც ცხოვრობდნენ მეთორმეტე საუკუნეში რუსთაველის დროს

ნეტარება იყო ის ათი ცოცხალი სურათი, რომელიც ჩვენ ვნახეთ 6 ამა თებერვალს. ბევრი სურათი გვინახავს სცენაზე, მაგრამ ამ სურათებს არ შეედრება-რა. ეტყობა, რომ აქ მოქმედი პირი პოეტი მეცნიერი კაცი იყო, თუმცა ამ პოეტმა მხატვარმა ზიჩიმ ქართული არ იცის, მაგრამ საქართველოს მდიდარმა ბუნებამ შთააგონა. გააგებინა იმის დიდებული რუსთაველის აზრი“.

წერილში დაწვრილებითაა დახასათებული თითოეული სურათი და ლაპარაკია იმის შესახებ, თუ რა დიდი მნიშვნელობა ექნებოდა ამ ცოცხალი სურათების ჩვენებას რუსეთსა და ევროპაში რუსთველისა და საქართველოს გასაცნობად.

ილ. წინამძღვრიშვილი მადლობით იხსენიებს იმათ, ვინც აქტიურად ეხმარებოდა მ. ზიჩს მუშაობაში, განსაკუთრებით ბარბარე ბარათაშვილსა და სხვებს, რომლებმაც შრომა არ დაიზარეს აღნიშნული საქმის დასაგვირგვინებლად.

მეორე წერილში ი. წინამძღვრიშვილი, კვლავ აღნიშნავს მ. ზიჩის დიდ დამსახურებას, ამავე დროს შეაქვს წინადადება მ. ზიჩის მიერ დახატული „ვეფხისტყაოსნის“ აღნიშნული ათი ილუსტრაციის გამრავლების შესახებ რამდენიმე ათას ეგზემპლარად, რომ ამ გზით შემოსული თანხა მოხმარდეს ქართულ თეატრს („დროება“ 1882, № 30).

ი. წინამძღვრიშვილი წერილში—სომეხ ქალთა საქველმოქმედო საზოგადოების შესახებ, იწონებდა საზოგადოების ღონისძიებებს. მაგრამ მიუთითებდა მდიდართა ცოლებზე, რომლებიც კმაყოფილდებოდნენ მხოლოდ საწევრო გადასახადის გადახდით. ასეთ პირებს ილია სასტიკად კიცხავდა („დროება“, 1882, № 50).

ილიამ გაზ. „თემში“ (1911, № 12) ვრცელი წერილი გამოაქვეყნა ცოლქმრობის კანონმდებლობის შესახებ, რომელშიც მოცემუ-

ლია ცოლქმრობის მაღალი დანიშნულების ფართო ახსნა. აღწერილია აგრეთვე შეუწყნარებელი შემთხვევები ოჯახური ცხოვრებიდან. ი. წინამძღვრიშვილი დიდ მფარველობას იჩენს ქმრებისაგან დამონებული და გატანჯული ქალებისადმი. უკმაყოფილებას გამოთქვამს მთავრობის მიმართ იმის გამო, რომ აღნიშნულის ძოსაგვარებლად კანონმდებლობაში იმ დროს არ იყო გათვალისწინებული საჭირო ღონისძიება.

მიუხედავად აღნიშნული საკითხებისადმი ასეთი ყურადღებისა ი. წინამძღვრიშვილის მთავარი და პირველი რიგის საზრუნავი მაინც სოფლის მეურნეობა იყო. მას კალამი მომარჯვებული ჰქონდა უფრო მეტად სოფლად ცოდნის გავრცელების, გლეხის ცხოვრების პირობების გაუმჯობესების, მოსავლის გადიდების, სოფლად გზების გაყვანის, ვაჭრობის და სხვა საჭირბოროტო საკითხების გასაშუქებლად.

„მეურნეობის დაცემა სოფლად", ამ სათაურით გამოაქვეყნა სტატია ი. წინამძღვრიშვილმა „დროებაში" (1909, № 153). მასში აღწერილია იმ დროს ჩვენი სოფლის მოსახლეობის, კერძოდ გლეხების, აუტანელი პირობები, მათი ცხოვრება მიწურებში, რომელშიც სინათლე მხოლოდ ბანიდან ჩადის. იქვე აქვთ ბოსელი და საქონლის დასადგომი. სანამ კაცი არ მიადგება სოფელს, მანამ ვერ გაიგებს სოფელშია თუ სხვაგან. სოფელს არ გააჩნია აბანო, ირგვლივ ჭუჭყი და სიბინძურეა გამეფებული, რის შედეგადაც ჩნდება ავადმყოფობანი.

ილ. წინამძღვრიშვილი მიუთითებს სართიჭალაში გერმანელების კოლონიის დაარსების შესახებ, სადაც მოკლე ხანში კეთილმოწყობილი სოფლები შეიქმნა თავისი ქუჩებით, ლამაზად ჩამწკრივებული საცხოვრებელი სახლებით და სხვა.

ბოლოს ი. წინამძღვრიშვილი სვამს საკითხს, თუ რა არის ჩვენი ჩამორჩენის მიზეზი, რასაც თვითონვე უპასუხებს: უცოდინარობა და უსწავლელობა არის ადამიანის დაბეჩავების მთავარი მიზეზი. ამიტომ, ი. წინამძღვრიშვილი აყენებს საკითხს, რათა სოფლად გაგზავნილ იქნეს სოფლის მეურნეობაში თეორიულად მომზადებული და პრაქტიკულად დახელოვნებული სპეციალისტები, რომლებსაც შეეძლებათ სოფლისათვის საჭირო დახმარების გაწევა. აღნიშნული სპეციალისტი უნდა დაუახლოვდეს სოფლის მცხოვრებთ, კარგად შეისწავლოს ადგილობრივი პირობები, მის-

ცეს მოსახლეობას სათანადო რჩევა და ახსნა-განმარტება სოფლის მეურნეობაში მეცნიერულ საფუძვლებზე დამყარებული საშუალებების გამოყენებისა და გაუმჯობესებული სასოფლო-სამეურნეო იარაღების შეძენა-ხმარებისათვის. უნდა მოაწყოს საცდელი მინდვრები და სანერგეები, აჩვენოს ხალხს მამულისა და ჭირნახულის მოვლის საუკეთესო გზები.

ამ ღონისძიებების პრაქტიკულად განხორციელების მიზნით ი. წინამძღვრიშვილი თხოვს სოფლის მეურნეობის კავკასიის საზოგადოებას, რათა ამ საზოგადოებამ თავის საშუალებებით უზრუნველყოს აღნიშნული სპეციალისტების დანიშვნა სოფლად, რასაც დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია ხალხისათვის.

ი. წინამძღვრიშვილს კარგად ესმოდა, რომ სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის საჭირო იყო გზები. მან ამ საკითხს სპეციალური წერილი უძღვნა („დროება", 1909, № 163), რომელშიც აღწერა იმ დროის ჩვენი სოფლების გზების სრულიად მოუგვარებლობა, რის გამოც გლეხს არ ჰქონდა საშუალება თავისი ნაწარმი გაეტანა სოფლიდან. უვარგისი გზების გამო გლეხს კვირეები სჭირდებოდა, რომ ურმით ახლობელ ქალაქამდე ძისულიყო. იტანჯებოდა როგორც გლეხი, ისე პირუტყვი.

ი. წინამძღვრიშვილი შეაგონებდა სოფლის მოსახლეობას რომ: „კანონით სოფლის მეურნენი მოვალენი არიან თავიანთი სოფლიდან მომიჯნავე სოფლამდის გზა გაიყვანონ, სიგანით 2 საჟენი. გზის ორივე მხრივ, წყლის სადენად ამოიღონ არხები, სიღრმით ერთი არშინი, საცა ხევ-ხუვებია, მკვიდრი ბოგირები გააკეთონ, გზას ორივე მხრივ ალმაცერად ქვიშა დააყარონ, სისქით ნახევარი არშინი. ასე მოწყობილი გზა ქვა-ტკეცილს დაემსგავსება. რომ გზა არ გაფუჭდეს სოფლის საზოგადოებამ მას უნდა მიუჩინოს კაცი, შემკეთებელი, მომვლელი გზისა და ბოგირებისა".

ილია საყვედურს გამოსთქვამდა სოფლელების მიმართ იმის გამო, რომ ისინი საერთო საქმისადმი უზრუნველობას იჩენდნენ, რითაც საკუთარ საქმეს დიდ ზიანს აყენებდნენ.

„დრო მოვიდა, — ამბობდა ილია, — რომ ყველამ უნდა შევიგნოთ და გავარჩიოთ კერძო კაცის და საზოგადოების მოვალეობა. კერძო საქმის პატრონი თვითონ კერძო კაცია, საზოგადო საქმეში კი — მთელი საზოგადოება".

წერილში — „ბაზარია საჭირო მეურნის ნაწარმისათვის" („დროება", 1909, № 165) ი. წინამძღვრიშვილი ეყრდნობა

პოლიტიკური ეკონომიის სწორ დებულებებს. აქ ყურადღებას იპყრობს საკითხი ბაზარსა და სოფელს შორის კავშირ-ურთიერთობის შესახებ. ავტორი აყენებს საკითხს იმის შესახებ, რომ მეურნე მჭიდროდ უნდა იყოს დაკავშირებული ბაზართან, იცოდეს თუ სოფლის მეურნეობის რომელ ნაწარმზეა მეტი მოთხოვნილება, რომ დაამზადოს ის საქონელი, რომელსაც მეტი გასავალი და ფასი აქვს.

გარდა ამისა, იგი ყურადღებას აქცევს პროდუქციის ხარისხს, რისთვისაც მეურნემ თავის მამულში ისეთი გამოჩენილი მცენარეები უნდა გაამრავლოს, რომ იმათი კარგის ნაყოფით მყიდველები მიიმხროს. კარგ მცენარედ და იმათ ნაყოფს ბევრი მსყიდველი ეყოლება, სახელს გაუკეთებს და ფასიც ბაზარში მეტი ექნება".

ი. წინამძღვრიშვილი თავის წერილში აგრეთვე ეხება მაზანდის საკითხს, რომ საქონელს სათანადოდ შემუშავებული, ერთიანი ფასი ჰქონოდა დაწესებული. ამავე დროს მოითხოვდა ვაჭრობაში პატიოსნებასა და წესრიგს. მაგრამ აღნიშნული საკითხების სწორად გადაჭრა იმ პერიოდში შეუძლებელი იყო კონკურენციისა და კერძო კაპიტალის რაც შეიძლება მეტი მოგებისაკენ ნისწრაფების გამო. ამით შეწუხებული ილია წერდა:

„ყველა აქ გამოთქმული, საუბედუროდ, არ ეთანხმება ნამდვილ ვაჭრობის თვისებებს და მოთხოვნილებას. ნამდვილი ვაჭრობის წესი და რიგი ჩვენში შეშლილია. ახლა უფრო გაბატონებულია ჩარჩობა, ვიდრე ნამდვილი ვაჭრობა. ამ გარემოებით მეურნე იღუპება, გული უტყდება თვალთმაქცობისაგან".

ასეთი მდგომარეობიდან გამოსასვლელად ილია წინამძღვრიშვილი აყენებს წინადადებას, რათა მეურნეები შეერთდნენ, დააარსონ დაბა-ქალაქებში ამხანაგობანი, რომლებსაც ექნებათ სავაჭრო სახლი, იქ ყველა მეურნე მიიტანს საქონელს და გაყიდვის შემდეგ მიიღებს თავის ხვედრ ფულს.

ი. წინამძღვრიშვილის კეთილი სურვილები განხორციელდა მხოლოდ ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შედეგად, როდესაც ჩვენში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება.

ი. წინამძღვრიშვილი მხურვალედ მიესალმა ჟურნალ „მოსავალის" დაარსებას. თავის სტატიაში — „რა არის ცოდნა", რო-

მელიც აღნიშნული ჟურნალის მესამე ნომერში გამოქვეყნდა. ილია ამბობდა, რომ მეურნეობა მარტო მიწის აქეთ-იქით ჩიჩქნა კი არაა, არამედ მთელი მეცნიერებაა, რომლის გავრცელებას ხალხში უნდა ემსახურებოდეს ჟურნალი, გაზეთები, წიგნები.

აღნიშნულ წერილში („მოსავალი", 1909, № 3) განმარტებულია ცოდნის დიდი მნიშვნელობა. ავტორი მიუთითებს იმაზე, რომ შრომა და ცოდნა ადამიანში ნერგავს პატიოსნებას, თავისი ხალხის სიყვარულს. ცოდნა კაცს ლამპარივით უნათებს გზას, უადვილებს შრომას, ცოდნით მდიდარი ადამიანი თავისუფალია. იგი არავის არ ემონება, ცოდნა ბრმასაც კი აძლევს საშუალებას იცხოვროს თავისი შრომით. ცოდნით შეიარაღებული მეურნე უკეთესად იყენებს სასოფლო-სამეურნეო გაუმჯობესებულ მანქანებსა და იარაღებს, ნაკლები შრომით მეტ მოსავალს ღებულობს და ბუნებასთან ბრძოლაში გამარჯვებული გამოდის.

ი. წინამძღვრიშვილი გაზეთ „ივერიაში" (1889, № 22, 41) აქვეყნებს წერილებს ვაზის ობისა (ჭრაქის) და ფილოქსერას შესახებ. იგი, იმ დროის მონაცემების მიხედვით, საკმაოდ ვრცლად აღწერს ვაზის აღნიშნული დაავადებების ბიოლოგიურ თვისებებს. წარმოშობისა და ჩვენში გავრცელების ისტორიას, მათ წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებს და სხვ.

ცხადია, ეს ღონისძიებები შემდგომში თანდათან გაუმჯობესდა. მაგალითად, ი. წინამძღვრიშვილის რჩევით ფილოქსერას საწინააღმდეგოდ მეურნეს უნდა შეესრულებინა: „ა) ან ვენახში წყალი ერთი თვიდამ სამ თვემდე დააგროვოს, ბ) ან თითო ვაზის ძირის მიწა წყალში გახსნილი ნახშირმჟავათი მორწყას და გ) ან ვაზი სრულიად ამოაგდოს".

მეცნიერებმა დროთა განმავლობაში ფილოქსერას საწინააღმდეგოდ უკეთესი საშუალებები გამონახეს. გოგირდმჟავა შეცვლილ იქნა დიქლორეთანით. უკანასკნელ ხანებში შეიმუშავეს ახალი სითხე — ჰექსაქლორბუტადიენი, რომელიც ამჟამად ფილოქსერას მოსპობის საუკეთესო საშუალებად ითვლება.

იმ დროისათვის კი ი. წინამძღვრიშვილის აღნიშნულ სტატიებს უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

გარდა აღნიშნულისა ცნობილია ი. წინამძღვრიშვილის სტატიები — სკოლისა და ოჯახის შესახებ („დროება", 1881, № 272). მკითხავი მელანა („დროება". № 19), დედაკაცის მაღალი დანიშნულების შესახებ („სახალხო გაზეთი", 1912, 19 იანვარი), საჭიროა თუ არა დედაკაცისათვის სამეურნეო ცოდნა („სახალხო გაზეთი",

1915, № 1) და სხვა მრავალი, რომელთა მთლიანად გარჩევა აქ შეუძლებელია.

ილია წინამძღვრიშვილი გარდაიცვალა ღრმა მოხუცებულობაში 1920 წლის 2 სექტემბერს, როდესაც გადაცილებული იყო 83 წლის ასაკს. მისი ნეშთი, თავისი ანდერძის მიხედვით, წასვენებულ იქნა წინამძღვრიანთკარში. დაკრძალულია ცაცხვის გორაზე, რომელიც დაჰყურებს მის მიერ დაარსებულ სკოლას.

ილია წინამძღვრიშვილს ყოველთვის დიდად აფასებდა ჩვენი ხალხი. მას პატივს სცემდნენ, როგორც ხალხისათვის თავდადებულს, ხალხის სამსახურისათვის დაფერფლილ ადამიანს, მაგრამ ყველაზე უკეთესად დაფასდა ილიას ღვაწლი საბჭოთა ხელისუფლების წლებში. მთავრობის დადგენილებით მიმდინარე წლის სექტემბერში ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები დიდი ზეიმით აღნიშნავენ წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სასწავლების დაარსების 80 წლისთავს. წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის ეზოში დაიდგმება ი. წინამძღვრიშვილის ძეგლი. ცაცხვის გორა, ის ადგილი, სადაც ილია არის დაკრძალული, უფრო კეთილმოწყობილი გახდება.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, რომელიც თავის ერთ-ერთ წინამორბედად თვლის წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სკოლას, აღნიშნული სკოლის ბაზაზე შექმნილ წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმს ყოველმხრივ დახმარებას უწევს სასწავლო მეთოდურ მუშაობაში, აგრეთვე ლაბორატორიებისა და ბიბლიოთეკის მოწესრიგების საქმეში.

ნაკვალევზე

ილია წინამძღვრიშვილის თაოსნობა წინამძღვრიანთკარში სამაგალითო გახდა საქართველოს სხვა კუთხეებისათვის. 1893 წელს ქუთაისში გაიხსნა პირველი თანრიგის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი, რომლის ფუძემდებელი იყო სოფლის მეურნეობის კავკასიის საზოგადოების ქუთაისის განყოფილება. სკოლა დაფინანსებას ღებულობდა მიწათმოქმედების სამინისტროსა და ქუთაისის გუბერნიის სათავადაზნაურო ბანკის. აგრეთვე სკოლის მეურნეობის შემოსავლიდან.

სკოლა ამზადებდა დაბალი განათლების სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს — მევენახეობაში, მეღვინეობაში, მებაღეობაში, მებოსტნეობასა და მეფუტკრეობაში.

სკოლაში ღებულობდნენ 14 — 15 წლის ასაკის ჭაბუკებს. პირველ კურსზე იმათ, ვისაც დამთავრებული ჰქონდა სასოფლო სკოლის პირველი კლასი, ხოლო პირველ სპეციალურ კლასში — არა ნაკლებ სოფლის სკოლის ორკლასიანი სასწავლებლის კურსდამთავრებულისა.

სკოლაში ასწავლიდნენ შემდეგ საგნებს: რუსულ ენას. არითმეტიკას, ისტორიას. გეოგრაფიას. გეომეტრიას. ხაზვას. გეოდეზიას, ფიზიკას, ქიმიას. ზოოლოგიას. ბოტანიკას. მებოსტნეობას, მიწათმოქმედებას. მებაღეობას, მევენახეობას, მეღვინეობას, კანონმდებლობას, მეფუტკრეობას, მეაბრეშუმეობას, მართლწერასა და ხაზვას[1].

სკოლას ჰქონდა კარგად მოწყობილი სასწავლო პრაქტიკის ბაზები — სასწავლო მეურნეობა, სათბური, სამეცადლო და სხვა. ხშირად მოწაფეები სასწავლო პრაქტიკის გასაველელად მიჰყავდათ

---

[1] Отчет о состояний Кутаисской сельскохозяйственной школы I разряда 1915 г.

ნიკო ნიკოლაძის[1] მამულში, რომელიც მდებარეობდა სოფელ დიდ ჯიხაიშში. აქ მოწაფეები სწავლობდნენ მიწის რაციონალურად დამუშავებას, ვენახის მოვლას, ღვინის დაყენებასა და სხვა. პრაქტიკულ სწავლებას პირადად ნიკო ნიკოლაძე ხელმძღვანელობდა (ილია ბასტაძე. გაზ. „საბჭოთა აგრონომი", 1960, № 1).

ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო სკოლამ. რომელიც შემდეგ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმად გადაკეთდა და არსებობდა 195[illegible] წლამდე, დიდი წვლილი შეიტანა საშუალო ცოდნის სასოფლო-სამეურნეო დარგის სპეციალისტების მომზადების საქმეში.

დიდი შრომისა და ენერგიის დახარჯვით 1909 წელს კ. ამირაჯიბი[2] ახერხებს სოფელ ავლევში (გორის მაზრა) სასოფლო-სამეურნეო სკოლის დაარსებას. აქაც ყველა საგნის სწავლა ქართულ ენაზე წარმოებდა. სკოლის პროგრამა, თეორიული სწავლების გარდა, პრაქტიკულ მეცადინეობაში ითვალისწინებდა: ლითონის ცივ და ცხელ დამუშავებას, ხის დამუშავებას, სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების, აგრეთვე სტაციონარული დანადგარების დაშლა-აწყობას, ელექტროსამონტაჟო საქმეს და სხვა[3].

ილია წინამძღვრიშვილი აღნიშნულ სკოლას საუკეთესო შეფასებას აძლევდა.

„ამირაჯიბს, — წერდა იგი, — ბევრი მუშაობა და ხარჯიც მოსვლია. გაუშენებია ვენახი, ხეხილის ბაღი, ბოსტანი, დაუარსებია საფუტკრე, მეწველი ძროხისა და ცხენების ფერმა, მოუწყვია წესიერად ამორჩეული მეწველი ძროხებისა და ცხენებისათვის

---

[1] ნიკო ნიკოლაძემ თავის მამულში (დიდჯიხაიშში) გააშენა ისეთი დენდროპარკი, რომელიც დღესაც დიდ ყურადღებას იმსახურებს. ის დამოუკიდებლად სწავლობდა აგრონომიულ მეცნიერებას. დედამიწის სხვადასხვა კუთხიდან იწერდა მცენარეების თესლნერგებს.

[2] კონსტანტინე მიხეილის ძე ამირაჯიბი, შემდეგში საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ერთ-ერთი ფუძემდებელია. მის სახელთანაა დაკავშირებული ჩვენში პირველი ტრაქტორის შემოტანა. იგი არის საქართველოში სოფლის მეურნეობის მექანიზატორთა კადრების აღზრდის პირველი ორგანიზატორი.

[3] გ. ე ღ ე ნ ტ ი—კ. ამირაჯიბი, 1959, გვ. 21.

ორი ბოსელი, გაუხსნია სამეუდლო. ერთ-ყველის გასაკეთებელი სადგური. ყველა დარგი ფაქიზად, წესიერად მოწყობილია თავისი იარაღით, მანქანებით, მოვლილი, როგორც სწავლა-მეცნიერება მოითხოვს.

კ. ამირაჯიბი, მოსურნე სამეურნეო სკოლის გაუმჯობესებისა, სოფელ ავლევში თავის რიგიანად მოწყობილ მამულში ღირსია თანაგრძნობის, პატივისცემისა და მადლობის" (გაზ. „თემი", 1911, № 29).

ყურადღებას იპყრობს აგრეთვე ეკატერინე ლევანის ასული ჯანდიერი, პირველი ქართველი აგრონომი ქალი, რომელმაც 1912 წ. დაასრულა მილანის აგრონომიული ინსტიტუტი. იმ დროს ის მილანის ინსტიტუტში ყოფილა ერთადერთი ქალი, არა მარტო საქართველოდან, არამედ მსოფლიოს ყველა კუთხიდან.

ეკატერინე ჯანდიერის დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ იგი, ინსტიტუტის კურსის დამთავრების შემდეგ, დაბრუნდა თავის მშობლიურ სოფელ — ვაჩნაძიანთკარში (სიღნაღის მაზრა) და ხელი მიჰყო მეურნეობის სამაგალითოდ მოწყობას. მან იქ დააარსა ქალთა სამეურნეო სკოლა.

„იმისმა კეთილშობილურმა მოღვაწეობამ, — წერს ილ. წინამძღვრიშვილი, — გამოიწვია მკვიდრ ქალთა თანაგრძნობა და იმათგან შედგა ქალმუშაკთა სკოლა. მოსწავლენი ამ სკოლისა, გლეხ-კაცის ქალები, ჯანდიერის ხელმძღვანელობით მეშაობენ ვენახში, ბაღში, ბოსტანში, საფუტკრეში. სწავლობენ ჭიის მოვლა-მოშენებას. კარგია ჩვენმა მანდილოსნებმა იმათ მიბაძონ და თავი გამოიჩინონ"[1].

მაგრამ იმ დროს მთელი რუსეთის იმპერია „ხალხთა საპყრობელეს" წარმოადგენდა და სწავლა-აღზრდის საქმეს დიდი დაბრკოლება ეღობებოდა წინ.

ახლოდ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ და ჩვენში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ გახადა შესაძლებელი ხალხთა კეთილდღეობის სწრაფი ტემპით განვითარება, რასაც მოჰყვა კულტურული რევოლუცია და ჩვენი ქვეყნის ყოველმხრივი განვითარება.

---

[1] ი. წ ი ნ ა მ ძ ღ ვ რ ი შ ვ ი ლ ი — მიწათმოქმედების საერთოდ და კერძოდ. „მოქმედების საუბარი, 1919, გვ. 6—7.

ახლა, როდესაც ვადარებთ დღევანდელ ვითარებას 80 წლის წინანდელ მდგომარეობას, წარმოუდგენელი განსხვავება გვეშლება წინ.

80 წლის წინათ მთელი ქართველი საზოგადოებრიობა შეტრფოდა ერთადერთ სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელს, რომელშიც სწავლობდა 22 მოწაფე. ამჟამად კი საქართველოში არის 21 სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი, რომლებშიაც სწავლობს 7650 მოსწავლე.

80 წლის წინათ საქართველოში არც ერთი უმაღლესი სასწავლებელი არ იყო. ამჟამად კი რესპუბლიკაში მოქმედებს 18 უმაღლესი სასწავლებელი, მათ შორის სამი სასოფლო-სამეურნეო უმაღლესი სასწავლებელია, რომლებშიც 15 სპეციალობაზე სწავლობს 14.557 სტუდენტი, აქედან 11.319 წარმოებისაგან მოუწყვეტლად ეუფლება უმაღლეს სასოფლო-სამეურნეო განათლებას.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი საბჭოთა ხელისუფლების პირმშოა. იგი შეიქმნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტის ბაზაზე, რომელიც ჩამოყალიბდა 1921 წელს. თავის მხრივ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ბაზაზე წარმოიშვა კიდევ ორი ინსტიტუტი: ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-კვლევითი და საქართველოს სუბტროპიკული ინსტიტუტები, აგრეთვე მრავალი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება და საცდელი სადგური.

80 წლის წინათ წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელს ემსახურებოდა 5 მასწავლებელი, ერთი ზედამხედველი და ერთი მზრუნველი. ამჟამად რესპუბლიკის უმაღლეს სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელსა და ტექნიკუმებში ასწავლის 1200-მდე მასწავლებელი, მათ შორის არიან აკადემიკოსები, მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები, დოცენტები, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწეები, სახელმოხვეჭილი ადამიანები, რომელთაც თავიანთი მეცნიერული მიღწევებით იცნობენ ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთაც.

წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელმა თავისი არსებობის მანძილზე (1933 წლამდე) გამოუშვა 800-მდე საშუალო განათლების სოფლის მეურნეობის სპეციალისტი. ამჟამად რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმები ყოველ-

წლიურად უშვებენ 1500—2000 სოფლის მეურნეობის საშუალო განათლების სპეციალისტს. მარტო 1962 წელს რესპუბლიკის სამივე უმაღლესმა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტმა ჩვენს ქვეყანას მისცა ათასამდე უმაღლესი განთლების სოფლის მეურნეობის სპეციალისტი.

ასეთია ის ნაკვალევი, რომელიც მხოლოდ ბატარა წერტილი იყო ამ 80 წლის წინათ და ახლა, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შედეგად, ფართო შარაგზად გადაიქცა, რომელსაც ათეული ათასობით ახალგაზრდა მიჰყავს მეცნიერების მწვერვალების დასაპყრობად.

ილია წინამძღვრიშვილის ნაწერების სია

წიგნები:

1. წ ი ნ ა მ ძ ღ ვ რ ი შ ვ ი ლ ი ი. ვაზის მოშენება (Vitis vinifera). ტფ. 1889. [4], 159 გვ.
2. წ ი ნ ა მ ძ ღ ვ რ ი შ ვ ი ლ ი ი ლ ი ა. მიწად მოქმედების საერთოთ და კერძოთ მოქმედების საუბარი. ტფ., 1919, 85 გვ.

სტატიები:

1. წ ი ნ ა მ ძ ღ ვ რ ი შ ვ ი ლ ი ი. ბატ. რედაქტორო! [პასუხი ივ. როსტომაშვილს სას.-სამ. სასწავლებლის წესდების შენიშვნის გამო].—გაზ. „დროება“, 6 თებ. № 27, გვ. 3.
2. წ ი ნ ა მ ძ ღ ვ რ ი შ ვ ი ლ ი ი ლ ი ა. განმარტებითი წერილი [სოფ. წინამძღვრიანთ-კარში სას.-სამ. სკოლის დაარსების გამო].—გაზ. „დროება“, 1881, 6 თებ. № 27, გვ. 3.
3. წ ი ნ ა მ ძ ღ ვ რ ი შ ვ ი ლ ი ი ლ ი ა. ბატონო რედაქტორო! [სას.-სამ. სკოლის პროექტის განხილვა ჟურ. „ივერიის“ მიერ].—გაზ. „დროება“, 1881, 17 თებ. № 36, გვ. 2.
4. [წ ი ნ ა მ ძ ღ ვ რ ი შ ვ ი ლ ი ი.] ხორეშან გვერდწითელისა. ახალი სნეულება [ქართველი ქალების გადაგვარება].—გაზ. „დროება“, 1881, 13 აგვ. № 168. გვ. 1—2.
5. [წ ი ნ ა მ ძ ღ ვ რ ი შ ვ ი ლ ი ი.] ხორეშან გვერდწითელისა. ახალი სნეულება [XIX საუკუნეში ქართველი ხალხის ზნეობის შერყევა].—გაზ. „დროება“, 1881, 29 აგვ. № 180, გვ. 1—3.
6. [წ ი ნ ა მ ძ ღ ვ რ ი შ ვ ი ლ ი ი.] ხორეშან გვერდწითელისა. ახალი სნეულება [ქართველი ხალხის სიღატაკე. მოხელეთა თარეში და სხვ.].—გაზ. „დროება“, 1881, 11 სექტ. № 189, გვ. 1—2.
7. [წ ი ნ ა მ ძ ღ ვ რ ი შ ვ ი ლ ი ი.] ხორეშან გვერდწითელისა. ახალი სნეულება [ქართველი დედების ფუქსავატობა; შვილების აღზრდისადმი უყურადღებობა].—გაზ. „დროება“, 1881, 9 ოქტ. № 210, გვ. 1—2.

8. [წ ი ნ ა მ ძ ღ ვ რ ი შ ვ ი ლ ი ი.] ხორეშან გვერდწითელისა. ახალი სნეულება [თეატრის მნიშვნელობა. პიესა „დაქცეული ოჯახი“].—გაზ. „დროება“, 1881, 24 ოქტ. № 222, გვ. 1—2.

9. [წ ი ნ ა მ ძ ღ ვ რ ი შ ვ ი ლ ი ი.] ხორეშან გვერდწითელისა. ახალი სნეულების მუწუკები [„დრამატიული საზოგადოების“ სუსტი მუშაობა].—გაზ. „დროება“, 1881, 19 დეკ. № 267, გვ. 1—2.

10. [წ ი ნ ა მ ძ ღ ვ რ ი შ ვ ი ლ ი ი.] ხორეშან გვერდწითელისა. სომხების წერა-კითხვის საზოგადოების კრება. გაზ. „დროება“, 1881, 24 დეკ. № 271, გვ. 2.

11. [წ ი ნ ა მ ძ ღ ვ რ ი შ ვ ი ლ ი ი.] ხორეშან გვერდწითელისა. ახალი სნეულება [აღზრდა-განვითარება საერთოდ. უწესობა თბილისის ქალთა გიმნაზიაში].—გაზ. „დროება“, 1881, 29 დეკ. № 272, გვ. 1—2.

12. [წ ი ნ ა მ ძ ღ ვ რ ი შ ვ ი ლ ი ი.] ხორეშან გვერდწითელისა. მკითხავი მილანა.—გაზ. „დროება“, 1882, 17 იანვ. № 11, გვ. 2.

13. [წ ი ნ ა მ ძ ღ ვ რ შ ვ ი ლ ი ი.] ი. წ. განხორციელებულნი გმირნი შ. რუსთაველის „ვეფხის ტყაოსნისა“.—გაზ.—„დროება“, 1882, 9 თებ. № 27, გვ. 1—2.

14. [წ ი ნ ა მ ძ ღ ვ რ ი შ ვ ი ლ ი ი.] ი. წინ. თეატრის საფუძველი [თეატრის ფონდის საარგებლოდ, მ. ზიჩის სურათებია გაყიდვა]. გაზ. „დროება“, 1882, 12 თებ. № 30, გვ. 2.

15. [წ ი ნ ა მ ძ ღ ვ რ ი შ ვ ი ლ ი ი.] ი. წ. „გუშინდელმა გაზ. „კავკაზმა“... [ქართული და სომხური თეატრებისათვის შენობის გამონახვის საკითხი]—გაზ. „დროება“, 1882, 14 თებ. № 32.

16. [წ ი ნ ა მ ძ ღ ვ რ ი შ ვ ი ლ ი ი.] ი. წ. სომეხთ ქალების ქველმოქმედი საზოგადოება ტფილისში.—გაზ. „დროება“, 1882, 10 მარტი, № 50, გვ. 2.

17. [წ ი ნ ა მ ძ ღ ვ რ ი შ ვ ი ლ ი ი.] ხორეშან ლოყაწითელი. ბ. „საკენკის“ და „ნარევის“ რედაქტორო! [ა. მოჩხუბარიძის (ა. ყაზბეგის) შესახებ].—გაზ. „დროება“, 1883, 17 ივლ. № 139, გვ. 3.

18. წ ი ნ ა მ ძ ღ ვ რ ი შ ვ ი ლ ი ი. საზოგადოებისადმი [სოფ. წინამძღვრიანთ-კარში დაარსებული სკოლის მნიშვნელობა].—გაზ. „დროება“, 1883, 21 ივნ. № 142, გვ. 3—4.

19. წ ი ნ ა მ ძ ღ ვ რ ი შ ვ ი ლ ი ი. პირველი სექტემბერი მოდის [განცხადება სოფ. წინამძღვრიანთ-კარში სკოლის გახსნის შესახებ].— გაზ. „დროება“, 1883, 24 აგვ. № 167, გვ. 4.

20. [წ ი ნ ა მ ძ ღ ვ რ ი შ ვ ი ლ ი ი. სიტყვა] სამეურნეო სკოლის გახსნისას ს. წინამძღვრიანთ-კარში.—გაზ. „დროება“, 1883. 8 სექტ. № 177, გვ. 1—3. იგივე დაიბეჭდა ჟურ. „ივერია“-ში. 1883. № 9, გვ. 106—107; აგრეთვე იხ. „ი. ჭავჭავაძის თხზულებათა“ ტ. V, 1955, გვ. 287.

21. [წ ი ნ ა მ ძ ღ ვ რ ი შ ვ ი ლ ი ი ლ ი ა] ი. წ. ვაზის ობი (მილდიუ).—გაზ. „ივერია“, 1889, 29 იანვ. № 22, გვ. 3—4.

22. [წ ი ნ ა მ ძ ღ ვ რ ი შ ვ ი ლ ი ი ლ ი ა] ი. წ. ფილოქსერა.—გაზ. „ივერია“, 1889, 24 თებ. № 41, გვ. 2.

23. წ ი ნ ა მ ძ ღ ვ რ ი შ ვ ი ლ ი ი ლ ი ა. „4 სექტემბერს 1883 წლისას ს, წინამძღვრიანთ-კარში დაარსდა სას.-სამ. სკოლა...“ [ზოგიერთი მშობლის უყურადღებობა. მოწაფეთა შესანახი ფულის გადაუხდელობა]. გაზ. „ივერია“, 1890, 17 აგვ. № 176, გვ. 4. აგრეთვე: ჟურ. „მოამბე“, 1890, № 21, გვ. 2.

24. წ ი ნ ა მ ძ ღ ვ რ ი შ ვ ი ლ ი ი ლ ი ა. რა სწავლაა ჩვენთვის საჭირო. გაზ. „ივერია“, 1891, 15 მაისი, № 101, გვ. 1—2.

25. [წ ი ნ ა მ ძ ღ ვ რ ი შ ვ ი ლ ი ი.] მ. ტფილისი, 10 აპრილი [სოფლის მეურნეობის განვითარების საჭიროება].—გაზ. „ივერია“, 1892, 11 აპრ. № 74, გვ. 1—2.

26. [წ ი ნ ა მ ძ ღ ვ რ ი შ ვ ი ლ ი ი.] ლ. ტფილისი, 7 მაისი [მოძრავი წიგნთ-ვაჭრობის მოწყობის საჭიროება].—გაზ. „ივერია“, 1892, 8 მაისი № 96, გვ. 1—2.

27. [წ ი ნ ა მ ძ ღ ვ რ ი შ ვ ი ლ ი ი.] ი. წ. საშუალება მეურნეობის ცოდნის გასავრცელებლად ხალხში.—გაზ. „ივერია“, 1894, 14 მაისი, № 100, გვ. 1—2.

28. წ ი ნ ა მ ძ ღ ვ რ ი შ ვ ი ლ ი ი. წერილი რედაქციის მიმართ [კ. ბერეკაშვილის, სასწავლებლად რუსეთში გაგზავნისათვის შემოწირულების მიღება].—გაზ. „ივერია“, 1894, 25 ივნ. № 134, გვ. 4*.

თ. მაჭავარიანი

---

* მასალები ამოკრეფილია: 1852—1905 წლების ქართული ჟურნალებიდან და 1866—1900 წლების ქართული გაზეთებიდან. აღნიშნულ სიას უნდა დაემატოს:

1. წ ი ნ ა მ ძ ღ ვ რ ი შ ვ ი ლ ი ი. რა არის ცოდნა. ჟურნ. „მოსავალი“, 1909, № 3.

2. წ ი ნ ა მ ძ ღ ვ რ ი შ ვ ი ლ ი ი. წინამძღვრიანთკარის სკოლა. გაზ. „დროება“. 1909, № 87, 88.

3. წ ი ნ ა მ ძ ღ ვ რ ი შ ვ ი ლ ი ი. მეურნეობის დაცემა სოფელში. გაზ. „დროება“, 1909, № 153.

4. წ ი ნ ა მ ძ ღ ვ რ ი შ ვ ი ლ ი ი. მეურნეობისათვის გზაა საჭირო. გაზ. „დროება“, 1909, № 163.

5. წ ი ნ ა მ ძ ღ ვ რ ი შ ვ ი ლ ი ი. ბაზარია საჭირო მეურნეობის ნაწარმისათვის. გაზ. „დროება“, 1909, № 165.

6. წ ი ნ ა მ ძ ღ ვ რ ი შ ვ ი ლ ი ი. ახლო წარსულიდან (სოფლის მეურნეობის საქმე ჩვენში). გაზ. „დროება“, 1909, № 252.

წ ი ნ ა მ ძ ღ ვ რ ი შ ვ ი ლ ი ი. კანონმდებლობა ცოლ-ქმრის ცალკე ცხოვრების შესახებ. გაზ. „თემი“, 1911. № 12.

5. წ ი ნ ა მ ძ ღ ვ რ ი შ ვ ი ლ ი ი. ნანახი (სამეურნეო ცოდნის გავრცელების შესახებ) გაზ. „თემი“. 1911. № 29 და სხვა

ი. წინამძღვრიშვილის ნაწერების სრული ბიბლიოგრაფია ჯერ კიდევ არ არის დაზუსტებული. იგი მომავლის საქმეა.

ბ. თ.

სარჩევი

წინასიტყვაობა • 3

სასოფლო-სამეურნეო განათლების წინამძღვარი

გაიღო ცოდნისკარი არაგვის ხეობაში 19

ზეიმი წინამძღვრიანთკარში 32

ერის იმედი გაამართლა 41

ილია წინამძღვრიშვილის სახელმძღვანელოები 62

ილია წინამძღვრიშვილი პუბლიცისტი 88

ნაკვალევზე 97

ილია წინამძღვრიშვილის ნაწერების სია (შეღგენილი თ. მაკავარიანის მიერ) 102

რედაქტორი პროფ. ი. სარიშვილი

ტექ. რედაქტორი მ. დოლიძე
კორექტორი ნ. სვანიძე
კონტროლიორი კორექტორი ე. ხარახიშვილი

უე 03302 შეკ. 712 ტირაჟი 1000

გადაეცა წარმოებას 1/VIII-63 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 9/IX-63 წ.
ანაწყობის ზომა 6×10. სასტამბო თაბახი 6,75 +-9 სერათი. სააღ.-საგან. თაბახი 5,61.
საავტორო თაბახი 5,54

ფასი 40 კაპ.

შრომის წითელი დროშის ორდენის საქართველოს სასოფლო-სამეურნეო
ინსტიტუტის სტანბა.
თბილისი, ი. ჭავჭავაძის პროსპ. 33

Типография Грузинского ордена Трудового
Красного Знамени сельскохозяйственного института
Тбилиси, просп. И. Чавчавадзе, 33.